


№ 3 2011

მასწავლებელი



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
სქემა

რას კითხულობენ
ბავშვები

სკოლის
დაფინანსების
ფორმულა



საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი





მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე, სასერთიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შექმნის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადაიტანონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი“ ბანკის კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი: 202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ, ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
დ. უზნაძის ქ. №52
ტელ: 438621

ცენტრის გამოცემების შექმნა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009“ წიგნის მაღაზიაში, ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43
ტელ.: 96 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის



სტატიები განათლების საკითხებზე



მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო სამ ნაწილად
1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და პროფესიული გარემო



ჟურნალი „მასწავლებელი“

კითხვის ეფექტური მეთოდები სასწავლო მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი



დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი



მასწავლებლისა და სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსები და მოსწავლის ქცევის კოდექსი



რედაქტორისგან

სერტიფიცირებულ მასწავლებელს უკვე აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს პროფესიული განვითარების სქემაში.

სქემა მათთვის საკუთარი მიღწევებისა და პროფესიული ზრდის გზამკვლევიც იქნება, მასწავლებელი თავად წერს თავისი საქმიანობის ისტორიას ანუ პორტფოლიოს.

პორტფოლიო არის მასწავლებლის საქმიანობის და პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა დროის გარკვეულ პერიოდში.

სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის მობილური ჯგუფი და ცენტრის საიდენტიფიკაციო კომისია, პორტფოლიოზე დაყრდნობით აფასებს მასწავლებლის საქმიანობას და მის პროფესიულ განვითარებას.

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელი სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით იწყებს მასწავლებლის პორტფოლიოს წარმოებას, რომელიც სტრუქტურულად რამდენიმე საფეხურისგან შედგება.

მასწავლებლის სქემაში ჩართულობას აკონტროლებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის ჯგუფი.

მასწავლებელი სქემაში ჩართვის წინ ადგენს აქტივობათა გეგმას, სადაც მისაღები კრედიტების რაოდენობაა ჩამოთვლილი, რომელსაც ის რვა წლის მანძილზე დააგროვებს. ასე, რომ თავად მასწავლებელი აკვირდება მის მიერ დაგროვებული კრედიტების ოდენობას. კრედიტების აღიარებასა და მასწავლებლის კატეგორიის მინიჭებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან არსებული საიდენტიფიკაციო კომისია ახორციელებს.

ჟურნალის ამ ნომერში თქვენ შეგიძლიად თავად გაეცნოთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას, ხოლო მომდევნო ნომერებში, უფრო დაწვრილებით გესაუბრებით მის რაობაზე.

ჟურნალი „მასწავლებელი“ მასწავლებლებს საინტერესო და მშვიდობიან არდადეგებს უსურვებს, წარმატებებს, რომელიც თქვენ და ჩვენ აუცილებლად გვჭირდება.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი



მასწავლებელი N3(15),2011

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის. პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1
მ-374

რედაქციის მისამართი: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვიციანიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯეღაძე | მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე | სტილისტი: ირმა ტაველიძე | დიზაინი: ბესიკ დანელია | ფოტო: გელა ბედიანაშვილი | მხატვარი: მამუკა ტყემელაშვილი | კორექტორი: მაია მენაბდე.

ნომერზე მუშაობდნენ: თეო ნეფარიძე, მანანა რატიანი, ანა ჯანელიძე, მერაბ ლაბაძე, ალუდა გოგლიჩიძე, ქეთო ნინიძე, ზაქარია გიუნაშვილი, გიორგი გახეღაძე, რეზო ხოფერია, ნაირა ცხველიანი, ბელა ჩეკურიშვილი, ირმა კახურაშვილი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტიანიძე. ყველა უფლება გუთუნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, 0102 დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 43 86 22, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



34

ექსპერტი

თეო ნეფარიძე

5 მენტორი მასწავლებლის რაობა

ვინ არიან მენტორ-მასწავლებლები, როგორ უნდა იზრუნონ მომავალი მასწავლებლის ჩამოყალიბებაზე, როგორ უნდა შეითვისონ გიდისა და ადვოკატის ფუნქცია.

ალუდა გოგლიჩიძე

9 ზოგადი განათლების დაფინანსების ფორმულა

რატომ არის ეფექტური სკოლების დაფინანსების ახალი ფორმულა. რას გულისხმობს ის და როგორ ხდება მისი გაანგარიშება.

ზაქარია გიუნაშვილი

14 ინტერაქტიული კომპიუტერული სიმულაციების გამოყენება სასწავლო პროცესში

სიმულაცია, ისევე როგორც სხვა სახის ციფრული მასალა, შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ იმ ერთიანი სასწავლო გარემოს შემადგენელ ნაწილად, რომელსაც მასწავლებელი გეგმავს და ემნის.

გიორგი გახელაძე

18 ბუნებრივი ცნობისმოყვარეობიდან – ბუნებისმეტყველებამდე

როგორ გავხადოთ ბუნების შესწავლა საინტერესო და სახალისო. როგორ ჩავართოთ მოსწავლეები ბუნების შესწავლაში.

ქეთო ნინიძე

22 წიგნიერების პრობლემა და უახლესი საგანმანათლებლო გამოწვევები

რა გზებით შევუქმნათ მომავალ თაობებს ხელსაყრელი გარემო იმისათვის, რომ მათ მიიღონ ცოდნა აღნიშნული რესურსების შესახებ და ადეკვატურად განსაზღვრონ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი მონაპოვარის ღირებულება.

მერაბ ლაბაძე

34 გადაუდებელი პრიორიტეტი – საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაუმჯობესება

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ზუსტ მეცნიერებებთან დაკავშირებულ პროფესიებზე იფიქრონ, მათ უნდა იცოდნენ, თუ რას წარმოადგენს კარიერა თანამედროვე მეცნიერებასა თუ ტექნოლოგიაში.

ანა ჯანელიძე

38 სოციალური უთანასწორობა და განათლება

მასწავლებელს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სკოლაში ისეთი კულტურის ჩამოყალიბებაში, რომელიც თანაბრად შეუწყობს ხელს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ბავშვთა განათლებას.

27 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა





55

მრგვალი მაგიდა

ირმა კახურაშვილი

26 რას კითხულობენ ბავშვები

„მრგვალი მაგიდის“ მონაწილეები – საბავშვო მწერლები, საბავშვო ლიტერატურაზე მომუშავე გამომცემლები და განათლების ექსპერტები შეეცადნენ, გაერკვიათ, რა როლს ასრულებს მასწავლებელი ბავშვის წიგნიერების დონის ამაღლების პროცესში და შესაძლებელია თუ არა ამ მხრივ, ოჯახთან ერთად, სკოლაც აქტიური ხელშემწყობი იყოს.

რესურსი

მანანა რატიანი

42 პრეზენტაცია, როგორც სწავლების ეფექტური ფორმა

სკოლამ საზოგადოების მომავალ წევრებს უნდა განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, რაც არა მხოლოდ წერას, კითხვას, მოსმენასა და მეტყველებას გულისხმობს, არამედ საკუთარი ნააზრევის, კვლევის პრეზენტაციასაც.

პროფესია – მასწავლებელი

ბელა ჩეკურიშვილი

46 მემკვიდრეობა

როცა პროფესია ოჯახის ტრადიციადაა ქცეული, არჩევანის გაკეთება იოლია. მასწავლებლობა, რომელიც რთულიც არის და საამაყოც, ხშირ შემთხვევაში, შთამომავლობას მემკვიდრეობად გადაეცემა.

პრობლემა

ნაირა ცხვედიანი

49 ვეფხისტყაოსნის სწავლების პრობლემები

მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად შერჩეული ტექსტის სწავლება ყოველთვის სასურველ შედეგს იძლევა. არასწორად შერჩეული მასალის სწავლება, გამორჩეულად ღირებულისაც კი, არაეფექტურია.



რჩევები

რებო ხოფერია

52 მასწავლებლის პროფესიის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში

მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ძირითადი სამართლებრივი საფუძველია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. ეს კანონი განსაზღვრავს მასწავლებლის საქმიანობის წესსა და პირობებს.

ჩვენი პროექტები

ნათია ნაცვლიშვილი

55 წლის შემაჯამებელი კონფერენცია ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგებისთვის

სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნა წარმოადგენს საფუძველს, იმისა რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ თავი.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი

წელს 24 000-მდე მასწავლებელმა გამოთქვა სურვილი, მიიღოს მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში, რაც ადასტურებს იმას, რომ მათ სწორად გაიგეს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროცესი მათი ზრდისათვის.

ზაფხულის არდადეგები დგება – პირობითად, არდადეგები, რადგან წინ საქმიანი, ტრადიციულად, ცხელი და დატვირთული ზაფხული გველის. მოგვხვდება, რასაც სამაგისტრო და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები მოჰყვება. წელს 24 000-მდე მასწავლებელმა გამოთქვა სურვილი, მიიღოს მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში, რაც ადასტურებს იმას, რომ მათ სწორად გაიგეს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროცესი მათი პროფესიული ზრდისათვის. სახელმწიფო, თავისი მხრიდან, მთელ რიგ წახალისებებსა და მხარდაჭერას ჰპირდება სერტიფიცირებულ მასწავლებლებს: 1359 სერტიფიცირებული მასწავლებლიდან 200-ზე მეტი 15 სექტემბრიდან 1000 ლარზე მეტ ხელფასს მიიღებს; სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ექნებათ სრული განაკვეთი, ზოგიერთი მათგანი კი 200 ან 75 ლარიან სახელფასო დანამატს მიიღებს.

სერტიფიცირებული მასწავლებლების ფინანსურ წახალისებასთან ერთად მნიშვნელოვანია მათი შემდგომი ზრდა და პროფესიული განვითარება. მასწავლებლობა ისეთი პროფესიაა, სადაც ყოველდღიურად ახალი ცოდნის მიღება აუცილებელი. ამიტომ ვთავაზობთ მათ პროფესიული განვითარების სქემას, რომელშიც ყველა სერტიფიცირებულ მასწავლებელს ნებაყოფლობით შეუძლია ჩართვა და საკმარისი კრედიტ-ქულების დაგროვება, რათა სამომავლოდ აღარ დასჭირდეს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და თავად შექმნას საკუთარი პროფესიული ზრდისა და განვითარების პორტფოლიო.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მათ ყველა საგანში ჩაუტარებს ტრენინგებს და დაენმარება არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის, არამედ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასაც.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ წელს ჩატარდა სკოლის დირექტორების შესარჩევი კონკურსი, რომელიც 2014 წლამდე ნებაყოფლობითია. მოლოდინი გამართლდა: გამოჩნდნენ ენერგიული, ახალი იდეებისა და ნოვატორული შესაძლებლობების მქონე დირექტორობის მსურველები. ამ პროცესს ჰქონდა მეორე დადებითი მხარეც: მოქმედმა დირექტორებმა, საკონკურსო პირობებში, საგრძნობლად გაიუმჯობესეს ცოდნა და კვალიფიკაცია.

ძალიან მნიშვნელოვანი პროცესის პირველი ეტაპი ივნისის დასაწყისისთვის დამთავრდება. ჩვენ გვექნება ახალი, გრიფირებული სახელმძღვანელოები. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, თითოეულ საგანში ორი ან სამი ასარჩევი სახელმძღვანელო იქნება და მასწავლებელი თავად გადაწყვეტს, რომელი წიგნით ასწავლოს ბავშვებს. პირველ რიგში, სახელმძღვანელოები სტანდარტს დააკმაყოფილებს და ასევე, შესაძენად ხელმისაწვდომი იქნება მშობლისათვის. სახელმწიფო ყოველთვის დაარეგულირებს სახელმძღვანელოების ფასს.

ჟურნალ „მასწავლებლის“ გაცნობის შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის ყველა მასწავლებელს აქვს. ამიტომ მინდა, მათ ვუთხრა, რომ წელს პირველად წინასწარ მივეცით სკოლებს სამი თვის ბიუჯეტი. მისი ხარჯვისათვის თვალყურის დევნების უფლება თითოეულ მათგანს აქვს; მათ უნდა იცოდნენ, რაში იხარჯება სკოლისათვის გამოყოფილი თანხა. მე ვთხოვ მასწავლებლებს, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში. სკოლა აბსოლუტურად ავტონომიურია ფინანსების განკარგვის საკითხში, მან უკეთ იცის თავისი პრობლემები და პრიორიტეტები, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამოყოფილი თანხა მიზანმიმართულად და სწორად უნდა დაიხარჯოს.

მინდა, მშვიდობიანი, ნაყოფიერი და წარმატებული ზაფხული ვუსურვო მასწავლებლებს.

მენტორი მასწავლებლის რაობა

მენტორი მასწავლებლების ინსტიტუციონალიზაცია დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. მენტორობის პრაქტიკა საგანმანათლებლო ინსტიტუტების დაარსებისთანავე დამკვიდრდა და ცხადია, არაფორმალური სახით მანამდეც არსებობდა. ამ პერიოდში ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი მენტორობის ინსტიტუტის ყველაზე არსებითი ნაწილი: ერთი მხრივ, ფორმები და სტრატეგიები და მეორე მხრივ, მუშაობის შედეგები – უშუალო გავლენა დამწყები მასწავლებლის პროფესიულ წინსვლაზე.



თეო ნეფარიძე

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში არაერთი კვლევა ჩატარდა, რომელთა შედეგად დადასტურდა, რომ მენტორობს სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება, მუშაობის სტილი და სტრატეგიები აქვთ. სწორედ ამ პერიოდიდან გახდა აუცილებელი, შექმნილიყო მენტორობის ინსტიტუტის კონცეფცია და მენტორების მოსამზადებელი პროგრამები.

როგორია მენტორობის კონცეფცია დღეს?

დღეს მენტორობა ორი მიზნით გამოიყენება: მაძიებლობის პროგრამის შემადგენელ ნაწილად ან თანამშრომლების პროფესიული განვითარების ერთ-ერთ საშუალებად. მენტორების ძირითად მოვალეობად დამწყები მასწავლებლის ზედამხედველობა, ეფექტური სწავლების სტრატეგიების გაზიარება, რჩევების მიცემა, ინფორმაციის მიწოდება, სასკოლო და საკათედრო პოლიტიკის, წესებისა და პრაქტიკის გაცნობა და ინტერპრეტაცია, სანიმუშო მაგალითის ჩვენება, გიდისა და ადვოკატის ფუნქციის შეთავსებაა. ეს კონცეფცია ავტომატურად გულისხმობს, რომ შერჩეული მენტორები კომპეტენტური არიან არა მხოლოდ სწავლებაში, არამედ პროფესიული გადამზადების საკითხებშიც.

სტატისტიკურად დადგენილია, რომ მასწავლებლების მესამედი სწავლების პირველ სამ წელიწადში პროფესიას ტოვებს. ამიტომ მენტორობის ინსტიტუტს, მასწავლებლის მაძიებლობის პროგრამის ფარგლებში, განსაკუთრებული როლი ეკისრება. მაძიებელმა უნდა ისწავლოს, თუ როგორ უნდა გადასცეს ცოდნა მოსწავლეებს, როგორ უნდა განსაზღვროს მათი საჭიროებები, სწავლის სტილი და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეები.

სანამ მენტორობის პროგრამული სფეროების და რეკომენდაციების განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ მენტორობა, გარკვეულწილად, მოქნილობას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უნივერსალური და აპრობირებული პროგრამები, მათი სწორხაზოვნად დანერგვა და ადაპტირების გარეშე განხორციელება საუკეთესო შედეგამდე ვერ მიგვიყვანს. თითოეული მენტორისა და დამწყები მასწავლებლის მიზნები, ამოცანები და როლები ამ უკანასკნელის საჭიროებათა მოკვლევის შედეგების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

მენტორის მხარდაჭერის სფეროები

დამწყები მასწავლებლის მხარდაჭერა პოლისტიკურ და თანმიმდევრულ ჭრილში

იმისათვის, რომ მასწავლებელს მუდმივი განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობა ჰქონდეს, აუცილებელია, მას სასწავლო პროცესის ობიექტურად გაანალიზება და შეფასება შეეძლოს.



უნდა განვიხილოთ. მენტორის მხარდაჭერის ოთხი ძირითადი სფერო იმ ხანგრძლივობით და ქრონოლოგიით უნდა დაიგეგმოს, რომელიც კონკრეტული მასწავლებლისა და სასწავლო გარემოსთვის იქნება ეფექტური.

პიროვნული და ემოციური მხარდაჭერა	ტექნიკური მხარდაჭერა
სწავლების შეფასება და ანალიზი	ადმინისტრაციული მხარდაჭერა

პიროვნული და ემოციური მხარდაჭერა:

სწავლების პირველი წლები განსაკუთრებით სტრესულია, რადგან დამწყები მასწავლებელი ახალ სამუშაო გარემოსა და კოლეგებს უნდა შეეგუოს, მან უნდა გაითავისოს შიდა-სასკოლო წესები და პროცედურები, კონტაქტი უნდა დაამყაროს მოსწავლეებსა და მშობლებთან.

ასეთ ემოციურად დაძაბულ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილი კოლეგის დახმარებას, რომელიც დამწყებ მასწავლებელს მიუთითებს, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული ემოციები, თანაუგრძნობს მას და სტრესის დაძლევაში დაეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დახმარება პირდაპირ არ უკავშირდება დამწყები მასწავლებლის სწავლების უნარ-ჩვევების განვითარებას, მხარდაჭერის ეს ფაზა ზოგჯერ ყველაზე გადაამწყვეტი და ხანგრძლივიც კი შეიძლება აღმოჩნდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრესის დაძლევის გარეშე ყველაზე მაღალკვალიფიციური მასწავლებელიც კი ვერ შეძლებს სწავლების პროცესის წარმატებით გაგრძელებას.

პიროვნული და ემოციური მხარდაჭერის სტრატეგიებს შორის რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მენტორი, პირველ რიგში, კარგი მსმენელი უნდა იყოს. ერთ-ერთი კვლევით დადგინდა, რომ წარმატებული მენტორები დამწყებ მასწავლებელთან მუშაობის ორ მესამედ დროს მათ მოსმენაში

მენტორების ძირითად მოვალეობად დამწყები მასწავლებლის ზედამხედველობა, ეფექტური სწავლების სტრატეგიების გაზიარება, რჩევების მიცემა, ინფორმაციის მიწოდება, სასკოლო და საკათედრო პოლიტიკის, წესებისა და პრაქტიკის გაცნობა და ინტერპრეტაცია, სანიმუშო მაგალითის ჩვენება, გიდის და ადვოკატის ფუნქციის შეთავსებაა.

ატარებდნენ. საწყის ეტაპზე პიროვნული და ემოციური მხარდაჭერის ეს ტექნიკა პირველადი საჭიროებების მოკვლევის მექანიზმადაც შეიძლება გამოიყენებოდეს. ამდენად, მას ორმაგი სარგებლის მოტანა შეუძლია. მეორე სტრატეგია, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეხვედრებისთვის ისეთი ადგილის შერჩევაა, სადაც დამწყები მასწავლებელი თავს კომფორტულად იგრძნობს. პიროვნული და ემოციური მხარდაჭერის კიდევ ერთი მექანიზმია მენტორობის კოლაბორაციული ფორმის შერჩევა, როდესაც მენტორი არა მასწავლებელი-დიდაქტიკოსის, არამედ გუნდის წევრისა და კოლეგის სტატუსით თანამშრომლობს დამწყებ მასწავლებელთან.

მენტორობის პრაქტიკაში ემოციური მხარდაჭერის კიდევ ერთი ინოვაციური ფორმაა ერთი მენტორისა და რამდენიმე დამწყები მასწავლებლის ერთ გუნდად მუშაობა. მენტორობის ეს ფორმა დამწყებ მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების, სტრატეგიების გუნდურად შემუშავებისა და მენტორის დროისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

ადმინისტრაციული მხარდაჭერა

დამწყებ მასწავლებელს, რომელიც სწავლების, გაკვეთილის დაგეგმვისა და მოსწავლეებთან ურთიერთობის საკითხებზე კონცენტრირებული, ადმინისტრაციულ საკითხებში გარკვევა ტვირთად აწვევა. შიდა სასკოლო წესებისა და მოთხოვნების ცოდნა კი, პირველ რიგში, იმისთვის არის საჭირო, რომ დამწყებმა მასწავლებელმა კომპეტენტური პასუხები გასცეს მოსწავლეებს ყველა კითხვაზე და პროფესიონალის რეპუტაცია დაიმკვიდროს.

ადმინისტრაციული მხარდაჭერის ერთ-ერთი უპირველესი ელემენტია ზოგადი სასკოლო ორიენტაცია, რომლითაც დამწყები მასწავლებელი ეცნობა სკოლის გარემოს, შინაგანაწესს, თანამდებობრივ იერარქიას, არსებულ რესურსებს, შეხვედრებისა და თათბირების სიხშირეს და ხანგრძლივობას, თანამშრომლებს შორის ურთიერთობის ფორმებს და ა.შ.

ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მრავალმხრივი,

დროული და ზუსტი კომუნიკაცია, რომელიც დამწყები მასწავლებლის მხრიდან შეკითხვების ხშირად დასმას, პრობლემების დროულად წამოჭრას, იდეების გაუღერებას და დროულ ანგარიშგებას მოიცავს. მენტორის ვალდებულება კი ინფორმაციის სელექციურად და დროულად მიწოდება და ადმინისტრაციასთან დამწყები მასწავლებლის ინტერესების წარმოდგენა და დაცვა.

ადმინისტრაციული მხარდაჭერის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩავთვალოთ მშობლებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფასილიტაცია. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მშობლები, ძირითადად, სკეპტიკურად არიან განწყობილი დამწყები მასწავლებლების მიმართ. ამდენად, მშობლებთან ურთიერთობისას მენტორის პოზიტიური როლი და დამწყები მასწავლებლის ემოციური სტრესის შემსუბუქება მეტად მნიშვნელოვანია.

ტექნიკური მხარდაჭერა

მენტორის ტექნიკური მხარდაჭერა მენტორების პროგრამის ყველაზე ხანგრძლივი და ფუნქციური კომპონენტია, რომელიც მენტორების კურსის შედგენაში, გაკვეთილის დაგეგმვასა და ორგანიზებაში, კლასის მართვაში, ამოცანების განხილვაში, მოსწავლეების შეფასებასა და მრავალ სხვა ტექნიკურ კომპონენტში დახმარების აღმოჩენას გულისხმობს.

ტექნიკური მხარდაჭერის დაგეგმვა

ეტაპობრივად ხორციელდება და პირობითად, ოთხ ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს:

1. მენტორის გაკვეთილზე დასწრება

დამწყები მასწავლებელი აკვირდება მენტორის გაკვეთილს და აანალიზებს მის მიერ გამოყენებულ სწავლების სტრატეგიებსა და ტექნიკას. აუცილებელია, გაკვეთილზე დასწრებამდე დამწყები მასწავლებელი გაეცნოს გაკვეთილის გეგმას და დასწრების დროს გააკეთოს ჩანაწერები ან შეავსოს დაკვირვების ფურცელი. დაკვირვების ფურცელი, ამ შემთხვევაში, მენტორი მასწავლებლის უნარჩვევების იდენტიფიკაციასა და შეფასებას უნდა აიოლებდეს, რაც დამწყებ მასწავლებელს

პროფესიული სწავლებისა და განვითარების ამოცანების შემუშავებაში დაეხმარება.

2. წყვილში სწავლება

ამ ეტაპზე მენტორი და დამწყები მასწავლებელი ერთობლივად გეგმავენ და ატარებენ გაკვეთილს. წყვილში სწავლებისას დამწყები მასწავლებელი დროის სწორად განაწილებას, კლასის მართვის ტექნიკას, მასალის ახსნის სტრატეგიებსა და პრაქტიკას, აქტივობების განხორციელებასა და მართვას კოლაბორაციულ პროცესში სწავლობს.

3. დამოუკიდებელი სწავლება მენტორის ზედამხედველობით

ამ ეტაპზე მენტორი წინასწარ განიხილავს დამწყები მასწავლებლის მიერ შედგენილ გაკვეთილის გეგმას; აკვირდება გაკვეთილს: აფასებს, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს ის გაკვეთილის გეგმას; რამდენად ეფექტურ კავშირს ამყარებს მოსწავლეებთან; ახერხებს თუ არა ინდივიდუალური ყურადღება დაუთმოს მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში; რამდენად კარგად ესმის მას მოსწავლეების მიერ დასმული შეკითხვები და რამდენად ადეკვატურად პასუხობს მათ; რამდენად გასაგებად აწვდის მოსწავლეებს მასალას; როგორ იყენებს დაფასა და საკლასო ოთახში



არსებულ სხვა რესურსებს. ყოველი გაკვეთილის შემდეგ მენტორი და დამწყები მასწავლებელი ხვდებიან და შეფასებას დეტალურად განიხილავენ.

4. დამოუკიდებელი სწავლება

ეს ეტაპი ყველაზე მნიშვნელოვანია თავდაჯერებულობისა და დამოუკიდებლობის უნარჩვევების გამყარებისთვის. დამწყებმა მასწავლებელმა სანდო და კომპეტენტური მასწავლებლის სტატუსის მოპოვება უნდა შეძლოს. ამავე ეტაპზე მას საშუალება ეძლევა, თვითნაღობის საშუალებით განსაჯოს და შეაფასოს თავისი მუშაობის ხარისხი. წინა ეტაპის მსგავსად, გრძელდება გაკვეთილის შემდეგ მენტორთან საკონსულტაციო შეხვედრები, თუმცა წამყვან როლს, ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის თვალსაზრისით, არა მენტორი, არამედ დამწყები მასწავლებელი ასრულებს.

მას შემდეგ, რაც დამწყები მასწავლებელი ტექნიკურ უნარ-ჩვევებს წარმატებულად აითვისებს, მენტორის ძირითადი მიზანი უნდა იყოს მისთვის საკუთარ თავზე დაკვირვებისა და თვითკრიტიკის სტრატეგიებისა და უნარ-ჩვევების გაცნობა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში, პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სწავლების შეფასება და ანალიზი

იმისათვის, რომ მასწავლებელს მუდმივი განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობა ჰქონდეს, აუცილებელია, მას სასწავლო პროცესის ობიექტურად გაანალიზება და შეფასება შეეძლოს. ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „თვითკრიტიკული მასწავლებელი“ დეტალურად არის განხილული თვითშეფასებისა და თვითნაღობის სტრატეგიები.

მენტორის ინსტიტუტის კრიტიკა

მენტორის ინსტიტუტს ყველაზე ხშირად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ მენტორები ზოგჯერ სათანადოდ ვერ აფასებენ ახალ ტალანტსა და პოტენციალს. ახალ მასწავლებლებს ისინი



კონკურენტებად აღიქვამენ და შესაბამისად, მათთან თანამშრომლობის ნაკლები მოტივაცია აქვთ. თუ სკოლის ადმინისტრაცია მენტორ მასწავლებლებს სამუშაოს შენარჩუნების გარანტიას მისცემს და უფრო მეტიც, პრივილეგირებული თანამშრომლის სტატუსს მიანიჭებს, აღნიშნული პრობლემა მარტივად აღმოიფხვრება.

მენტორის ინსტიტუტის კრიტიკოსებისთვის მასწავლებლების მენტორად შერჩევის კრიტერიუმებიც მიუღებელია. მათი აზრით, მასწავლებლის გამოცდილება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ის მენტორი გახდეს. მენტორად ისეთი მასწავლებელი უნდა შეირჩეს, რომელიც რეგულარულად იღებს ინფორმაციას განათლების სფეროში ახალი ტენდენციების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მენტორმა შესაძლოა სწავლების ტრადიციული და მოძველებული სტრატეგიები და მეთოდები გაუზიაროს დამწყებ მასწავლებელს და ამით თანამედროვე რეფორმები შეაფერხოს.



ზოგადი განათლების დაფინანსების ფორმულა

ზოგადი განათლების დაფინანსების ფორმატში 2011 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბერის №395 დადგენილებით, ძალაში შევიდა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წესი.



ალუდა გოგლიძე

როგორც ცნობილია, განათლების სისტემა კლასის დაფინანსებიდან ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსების მოდელზე 2005 წლიდან გადავიდა (საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №182-ე დადგენილებით), რაც თავისი ფორმითა და შინაარსით რადიკალური ცვლილება გახლდათ. მართალია, მიმდინარე ცვლილება ასეთი რადიკალიზმით არ გამოირჩევა, მაგრამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში დაფინანსების ფორმულაში განხორციელებული რიგი ცვლილებების მიუხედავად, ის შინაარსობრივად მაინც მნიშვნელოვან სიახლეებს შეიცავს. აქამდე სტანდარტული ვაუჩერი სხვადასხვა იყო ქალაქის, სოფლის/დაბისა და მაღალმთიანი დასახლებული პუნქტის სკოლებისათვის, ანუ ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსება, ძირითადად, გეოგრაფიული

ფაქტორით განისაზღვრებოდა. ასევე 2009 წლიდან ვაუჩერის ოდენობა დამოკიდებული გახდა სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაზე (იხილეთ ცხრილი №1), ხოლო ბოლო ცვლილებების შედეგად ასეთი დიფერენცირება მოიხსნა და ახლა ვაუჩერის ოდენობა განისაზღვრება სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობითა და კლასების/პარალელების კატეგორიების მიხედვით, მაგალითად, 1-დან მე-8 და მე-9-დან მე-12 კლასებში მოსწავლეთა კონტინენტის მიხედვით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავებულია 1-დან 160 მოსწავლემდე კონტინენტის მქონე და სპეციალური სკოლების დაფინანსების განსაზღვრის ნორმა, ხოლო საბაზო დაფინანსების გარდა დამატებითი დაფინანსებაა განსაზღვრული 161-230 (30000 ლარი), 231-299 (17000 ლარი), 300-449 (14000 ლარი), 450-599 (10000 ლარი) მოსწავლეთა

ცხრილი №1. ერთ მოსწავლეზე გათვლილი ვაუჩერის ოდენობა 2009-2010 წლებში

ქალაქი	2009	2010
400 მოსწავლეზე	345 ლარი	415 ლარი
400 მოსწავლის შემდეგ	325 ლარი	380 ლარი
სოფელი	2009	2010
200 მოსწავლეზე	475 ლარი	545 ლარი
200 მოსწავლის შემდეგ	450 ლარი	505 ლარი
მაღალმთიანი რაიონი	2009	2010
ნებისმიერ რაოდენობაზე	565 ლარი	635 ლარი

კონტინენტის მქონე სკოლებისათვის. დაფინანსების განსაზღვრის წესი ასევე მოიცავს არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების დაფინანსების სპეციფიკურ რეგულაციასაც. სხვა მხრივ, სტანდარტული ვაუჩერის განსაზღვრის წესი ანალოგიურია და გამომდინარეობს ფინანსური ნორმატივისა (რომელიც 300 ლარს შეადგენს) და შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის კოეფიციენტის ნამრავლიდან (იხილეთ ცხრილი №2).

ზემოთაღწერილი ფაქტორების გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიაში, ინფორმაციის გადმოცემის გამარტივების მიზნით, 2005 წლიდან 2010 წლის ჩათვლით მოქმედ ფორმულას, პირობითად, მოვიხსენიებთ ტერმინით „პირველი ფორმულა“, ხოლო 2011 წლიდან მოქმედ ფორმულას – ტერმინით „მეორე ფორმულა“.

ზოგადი განათლების დაფინანსების სისტემაში 2005 წელს განხორციელებულ რადიკალურ რეფორმას წინ მეტად მძიმე მდგომარეობა უძლოდა. კერძოდ, 2003 წელს ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის შედეგად, გავკეთდა დასკვნა, რომ სკოლების დაფინანსების სისტემა არადემოკრატიული, არასამართლიანი, არარაციონალური და არაეფექტური¹ იყო. სისტემაში მეტად მწვავედ იდგა გამჭვირვალობის პრობლემა და შესაბამისად, ამ ფონზე რადიკალური ცვლილებების განხორციელება ობექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა.

აღნიშნული ცვლილებების ფარგლებში, მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა დაფინანსების სისტემაში ძალაუფლების განაწილების (დიაგრამა №1) კუთხით განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ, ზოგადი განათლების დაფინანსების ფუნქცია ადგილობრივი თვითმმართველობიდან ცენტრალურ ხელისუფლებას გადაეცა. ასევე, თვისობრივი ცვლილება განხორციელდა დაფინანსების ფორმის კუთხითაც.

ცხრილი №2. ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსების ფორმულა 2011 წლისთვის

მოსწავლელის რაოდენობა სკოლაში		კოეფიციენტები		ვაუნერული დაფინანსების ოდენობა		საბაზო დაფინანსება
min	max	I-VIII კლასების ფორმულა	IX-XII კლასების ფორმულა	I-VIII კლასების ფორმულა (დარი)	IX-XII კლასების ფორმულა (დარი)	
1	160			ინდივიდუალური გამოანგარიშება		
161	230	1.433	1.720	430	516	30,000
231	299	1.300	1.560	390	468	17,000
300	449	1.283	1.540	385	462	14,000
450	599	1.233	1.480	370	444	10,000
600	999	1.166	1.400	350	420	-
1000	და მეტი	1.100	1.320	330	396	-
ფინანსური ნორმატივი 300 ლარი						

მსოფლიოში ზოგადი განათლების დაფინანსება ორი მოდელით ხდება: 1) კლასის დაფინანსება და 2) ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსება. თავის მხრივ, ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსების სისტემა ორი გზით შეიძლება განხორციელდეს: 1) ვაუნერული ან 2) ფორმულის მიხედვით გათვლილი დაფინანსების სისტემით. საქართველოში გავრცელდა აზრი, რომ სისტემა გადავიდა დაფინანსების ვაუნერულ მოდელზე, რაშიც იგულისხმებოდა, რომ დაფინანსება მოსწავლეს მიჰყვება მის მიერ არჩეულ სკოლაში ვაუნერის სახით, ანუ სკოლა ფინანსდება მოსწავლეების რაოდენობიდან გამომდინარე. რამდენადაც კანონმდებლობის დონეზე არსებობდა სტანდარტზედა ვაუნერის ცნება, საქართველოში რეალურად დაინერგა ფორმული დაფინანსების მოდელი, რაც უდავოდ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა.


ერთ მოსწავლეზე გათვლილი ვაუნერული დაფინანსების ფორმულის პრინციპები გახლდათ: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და თანასწორობა.

მოსწავლეთა თანაბარი რაოდენობისა და განაწილების შემთხვევაში, მეორე ფორმულის შემოღებით მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდა მცირეკონტინგენტიანი სკოლების მდგომარეობა.

რადგან ფორმულით განსაზღვრული დაფინანსება ვაუნერის სახით მოსწავლეს სკოლაში მიჰყვება, სისტემა გამჭვირვალეა, ხოლო სკოლის ბიუჯეტი არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ და სამთავრობო წრეებთან მოლაპარაკებებზე, თანხების განაწილება მარტივი და გასაგებია, ერთნაირი (გეოგრაფიული ნიშნით) სკოლები ერთნაირადაა უზრუნველყოფილი, პედაგოგთა ხელფასი საჯარო და ფინანსური მოთხოვნები განსაზღვრულია.

ფორმულის ეფექტიანობის გამო ფონდების განკარგვისას სკოლებს მარტივად შეუძლიათ გაითვალისწინონ ადგილობრივი გარემოებები. სამეურვეო საბჭოში მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობის შედეგად შესაძლებელია სკოლის ბიუჯეტში მაქსიმალურად იყოს ასახული

დიაგრამა №1. განათლების დაფინანსების სისტემა (2003 წელი)



ადგილობრივი თემის ინტერესები. სკოლებს ასევე შეუძლიათ შექმნან საკუთარი ინდივიდუალური სახე.

ფორმულა ეფექტურია იმდენად, რამდენადაც სკოლების დაფინანსება მოსწავლეთა რაოდენობას უკავშირდება. მისი გაანგარიშება მარტივია და ფონდები პირდაპირ სკოლებს მიემართება, ხოლო თანასწორობის პრინციპი მიიღწევა სტანდარტზე და ვაუჩერის არსებობით. ასევე, პედაგოგთა ხელფასის სტანდარტის არსებობა უზრუნველყოფს სტანდარტულ მოლოდინებს, ის მოიცავს სახელფასო დანამატებს არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებლებისა და მულტი-კლასური მასწავლებლებისათვის. გეოგრაფიული ნიშნით ერთგვაროვან სკოლებში კი რესურსს უზრუნველყოფს.

კლასის დაფინანსებიდან ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფორმული დაფინანსებაზე გადასვლას, მრავალი დადებითი შედეგის მიუხედავად, გარკვეული ხარვეზები მაინც აღმოაჩნდა. პირველი ფორმულის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლების საბიუჯეტო უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად დამოკიდებული გახდა მოსწავლეთა კონტინენტის სიდიდზე, ხოლო, თავის მხრივ, სკოლების სიდიდემ უარყოფითად იმოქმედა სწავლის ხარისხზე. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ტერმინები „დეფიციტური სკოლები“, „მინუსიანი სკოლები“ და ა.შ. მცირეკონტინენტური სკოლებისაგან განსხვავებით, დიდკონტინენტური სკოლებს სავალდებულო ხარვეზების (შრომის ანაზღაურება, კომუნალური და გათბობის ხარვეზები) გარდა ე.წ. „თავისუფალი“ ანუ

„განვითარების“ სახსრები ჰქონდათ. ამდენად, ერთი და იმავე სტატუსის (ქალაქი, სოფელი/დაბა, მაღალკონტინენტური) მქონე სკოლები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. აღნიშნული მოსაზრებების გასამყარებლად ვთავაზობთ სტატისტიკურ მონაცემებს. კერძოდ ცხრილი №3-ში მოცემულია 2009, 2010 და 2011 წლებში მოსწავლეთა სხვადასხვა კონტინენტის სკოლების შემთხვევაში როგორ დაფინანსებას მიიღებდა სკოლები.


ქალაქის შემთხვევაში, წლების მიხედვით (2009, 2010, 2011)

ცხრილი №3. მოსწავლეთა სხვადასხვა რაოდენობის შემთხვევაში სკოლების შემოსავლები 2009, 2010 და 2011 წლებში

მოსწავლეთა რაოდენობა სკოლის დონეზე	60 (5)	120 (10)	240 (20)	480 (40)	720 (60)	960 (80)	1440 (120)	1920 (160)	2160 (180)
2011 წელი	105985	105985	116840	199440	268800	358400	506880	675840	760320
2010 წელი									
ქალაქი	24000	48000	96000	196400	287600	378800	561200	743600	834800
სოფელი	32700	65400	129200	250400	371600	482800	735200	977600	1098800
მაღალმთიანი	38100	76200	152400	304800	457200	609600	914400	1219200	1371600
2009 წელი									
ქალაქი	20700	41400	82800	164000	242000	320000	476000	632000	710000
სოფელი	28500	57000	113000	221000	329000	437000	653000	869000	977000
მაღალმთიანი	33900	67800	135600	271200	406800	542400	813600	1084800	1220400

სკოლების დაფინანსება მოსწავლეთა რაოდენობას უკავშირდება. მისი გაანგარიშება მარტივია და ფონდები პირდაპირ სკოლებს მიემართება, ხოლო თანასწორობის პრინციპი მიიღწევა სტანდარტზე და ვაუჩერის არსებობით.


დიაგრამა №2. 2011 წლის მონაცემებთან 2009 და 2010 წლების დაფინანსების მოცულობების შედარება ქალაქის დონეზე



სტატისტიკა პირველი ფორმულით გამოწვეულ დისბალანსზე მეტყველებს. მაგალითად, 2011 წელს ქალაქის 60-მოსწავლიანი სკოლის ბიუჯეტი, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, 85286 ლარით გაიზარდა, ხოლო, 2010 წლის მონაცემთან შედარებით – 81086 ლარით. 720-მოსწავლიანი სკოლის შემთხვევაში, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, ბიუჯეტი გაიზარდა 26800 ლარით, ხოლო 2010 წლის მონაცემთან

შედარებით, 18800 ლარით შემცირდა. 1920-მოსწავლიანი სკოლის შემთხვევაში, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, ბიუჯეტი გაიზარდა 43840 ლარით, ხოლო 2010 წლის მონაცემთან შედარებით, 67760 ლარით შემცირდა (იხ. დიაგრამა №2). სოფლის/დაბის შემთხვევაში, 2011 წელს 60-მოსწავლიანი სკოლის ვაუჩერული დაფინანსება, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, 77486

დიაგრამა №3. 2011 წლის მონაცემებთან 2009 და 2010 წლების დაფინანსების მოცულობების შედარება სოფლის/დაბის სკოლების დონეზე



ლარით გაიზარდა, ხოლო 2010 წლის მონაცემთან შედარებით – 73286 ლარით. 168-მოსწავლიანი სკოლის შემთხვევაში, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, გაუჩერული დაფინანსება 27256 ლარით გაიზარდა, ხოლო 2010 წლის მონაცემთან შედარებით 15496 ლარით გაიზარდა. 240-მოსწავლიანი სკოლის შემთხვევაში, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, გაუჩერული დაფინანსება 3840 ლარით გაიზარდა, ხოლო 2010 წლის მონაცემთან შედარებით, 12360


ლარით შემცირდა. 324-მოსწავლიანი სკოლის შემთხვევაში, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, გაუჩერული დაფინანსება 3744 ლარით შემცირდა, ხოლო 2010 წლის მონაცემთან შედარებით, 24654 ლარით შემცირდა (იხ. დიაგრამა №3).

მაღალმთიანი დასახლების შემთხვევაში, 2011 წელს 60-მოსწავლიანი სკოლის გაუჩერული დაფინანსება, 2009

35560 ლარით შემცირდა. 324-მოსწავლიანი სკოლის შემთხვევაში, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, გაუჩერული დაფინანსება 36004 ლარით შემცირდა, ხოლო 2010 წლის მონაცემთან შედარებით, 53684 ლარით შემცირდა (იხ. დიაგრამა №4).

ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეთა თანაბარი რაოდენობისა და განაწილების შემთხვევაში, მეორე ფორმულის

დიაგრამა №4. 2011 წლის მონაცემებთან 2009 და 2010 წლების დაფინანსების მოცულობების შედარება მაღალმთიანი დასახლების სკოლების დონეზე



ცხრილი №4. მოსწავლეთა სხვადასხვა რაოდენობის შემთხვევაში სკოლების შემოსავლები 2009, 2010 და 2011 წლებში

მოსწავლეთა რაოდენობა სკოლის დონეზე	230	231	სხვაობა
2011 წელი	135608	113252	22356
2010 წელი			
ქალაქი	95450	95865	- 415
სოფელი	124150	124655	- 505
მაღალმთიანი	146050	146685	- 635
2009 წელი			
ქალაქი	79350	79695	- 345
სოფელი	108500	108950	- 450
მაღალმთიანი	129950	130515	- 565

წლის მონაცემთან შედარებით, 72086 ლარით გაიზარდა, ხოლო 2010 წლის მონაცემთან შედარებით – 67886 ლარით. 168-მოსწავლიანი სკოლის შემთხვევაში, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, გაუჩერული დაფინანსება 12136 ლარით გაიზარდა, ხოლო 2010 წლის მონაცემთან შედარებით, მხოლოდ 376 ლარით გაიზარდა. 240-მოსწავლიანი სკოლის შემთხვევაში, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, გაუჩერული დაფინანსება 18760 ლარით შემცირდა, ხოლო 2010 წლის მონაცემთან შედარებით

შემოღებით მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდა მცირეკონტინგენტის სკოლების მდგომარეობა. მთავარი კი ის არის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სურს, იზრუნოს ფორმულის განვითარებაზე, რასაც ხელს უწყობს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების სათანადო მობილიზების სისტემის ფორმირება.

ფორმულის განვითარების საჭიროება განსაკუთრებული კვლევის გარეშე შეიძინება, მაგალითად, 230- და 231-მოს-

წავლიანი სკოლების შემთხვევაში, ერთი მოსწავლის გამო 2011 წლის დაფინანსების ფორმულის მიხედვით, განსხვავება დაფინანსებაში 22356 ლარია, მაშინ როდესაც 2009 და 2010 წლებში, მაღალმთიანი დასახლებების სკოლის შემთხვევაშიც კი, ის არ აღემატება 635 ლარს (იხილეთ ცხრილი №4). აქვე უნდა დავძინოთ, რომ მოქმედ ფორმულას ერთი შეხედვით ამ მხრივ კომპენსირების მექანიზმი გააჩნია, კერძოდ სკოლა 231 მოსწავლეზე (231-დან 300 მოსწავლემდე) ვაუჩერული დაფინანსების გარდა იღებს საბაზისო დაფინანსებას 17000 ლარის ოდენობით, მაგრამ განსხვავება რეალურად უფრო დიდია, რამეთუ 230 მოსწავლეზე სკოლა საბაზო დაფინანსებას 30000 ლარის ოდენობით იღებს, მაგრამ საბაზო დაფინანსების მექანიზმის დახვეწა შედარებით მარტივ ამოცანას წარმოადგენს, რამეთუ ფორმულის განვითარება დღის წესრიგში აქტიურად დგას.

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, მოცემულ ეტაპზე ბუნებრივია, სკოლისათვის აქტუალური ხდება, თუ რა რაოდენობის მოსწავლე იყრის თავს და როგორ ცვლის

დაფინანსების სურათს, რაც შემთხვევებში, ერთი მოსწავლის დამატებაც კი. თუმცა სკოლას აქვს საშუალება, ხარჯები შეამციროს კლასში მოსწავლეთა რაოდენობის კუთხით მოქმედი რეგულაციის საფუძველზე, კერძოდ 1-რ კლასის დონეზე მას შეუძლია კლასი 35-მდე მოსწავლით დააკომპლექტოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით. მას ასევე შეუძლია კლასში 30-ზე მეტი მოსწავლე მიიღოს მე-რ კლასის ზემოთ. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, აქტუალური ხდება სასწავლო პროცესის ხარისხი, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ არსებული სისუსტეები უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრება ფორმულის განვითარებით. 2011 წლიდან ახალი ფორმულის შემოღება ხომ მყისიერი რეაგირება გახლდათ პირველი ფორმულის შედეგად შექმნილ სირთულეებზე.


სწორედ ამ ფორმულის საშუალებით შეიძლება ისეთი მიზნების მიღწევა, როგორებიცაა: არჩევანის თავისუფლება, თანასწორობა, ეფექტიანობა. ასევე, ფორმულის უპირატესობებზე მეტყველებს მისი შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალიც: ეფექტიანობა, გამჭვირვალობა, პროდუქტიულობა, მიუკერძოებლობა, რეაგირება ადგილობრივ პირობებზე და ა.შ.

შენიშვნა:

¹ კოალიციური პროექტი „განათლების სისტემის დემოკრატიზაცია და ფინანსური გამჭვირვალობა“ განხორციელებული სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის (CAP) ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე განათლების სისტემის ფინანსური მართვის მონიტორინგის ანგარიში, 2003-2004 წწ.



 **ONLINENEWS.GE**
უახლესი ამბების პორტალი



www.onlinenews.ge





ზაქარია გვინაშვილი

ინტერაქტიული კომპიუტერული სიმულაციების გამოყენება სასწავლო პროცესში

სიმულაციები უნიკალური საშუალებებია, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია განსხვავებების მინიმუმამდე დაყვანა ისეთ სასწავლო აქტივობებს შორის, როგორცაა: ლექციის ტიპის გაკვეთილი, საშინაო დავალება, საკლასო სამუშაო და ლაბორატორიული სამუშაო.

რა არის ინტერაქტიული კომპიუტერული სიმულაციები?

ბოლო წლებში სულ უფრო მეტად ინტერესდებიან, თუ როგორ შეიძლება ციფრული მოწყობილობებისა და ინტერნეტის გამოყენება სწავლის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ინტერაქტიული სიმულაციები სასწავლო დანიშნულების ციფრული რესურსების ერთ-ერთი მაგალითია. მათი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სასწავლო გარემოში: ლექციაზე, კვლევის ტიპის აქტივობების დროს, საშინაო დავალებების შესრულებისას და ლაბორატორიული სამუშაოს დროს.

ინტერაქტიული კომპიუტერული სიმულაცია კომპიუტერული პროგრამაა, რომელიც წარმოადგენს რომელიმე მოვლენის (მაგ., ბუნებრივი, ისტორიული, ასტრონომიული) ციფრულ მოდელს. სიმულაცია თვალსაჩინოების ტიპის მედია მასალა არ არის (მაგ., ვიდეო რგოლი, პრეზენტაცია), რომელიც მხოლოდ დემონსტრირების მიზნით გამოიყენება. მომხმარებელს მასში წარმოდგენილი მოდელის პარამეტრების ცვლილება შეუძლია, რაც კვლევისა და კანონზომიერების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, მისი გამოყენება შეიძლება უკვე ნასწავლი კანონზომიერების (მაგ., სიტყვიერად ჩამოყალიბებული წესის, მათემატიკური ფორმულის, ბუნებისმეტყველების კანონის) თვალსაჩინოების მიზნითაც.

ინტერაქტიული სიმულაცია შესაძლოა იყოს ძალიან ეფექტური საშუალება სასწავლო პროცესში, მაგრამ თუნდაც საუკეთესო

სიმულაცია არ შეიძლება განიხილებოდეს წარმატების ავტომატურად მომტან საშუალებად. მას შეუძლია ხელი შეუწყოს მასწავლებელს სასწავლო გეგმისა და მიზნების რეალიზაციაში, მაგრამ ბუნებრივია, ის პედაგოგს ვერ შეცვლის. სიმულაცია, ისევე როგორც სხვა სახის ციფრული მასალა, შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ იმ ერთიანი სასწავლო გარემოს შემადგენელ ნაწილად, რომელსაც მასწავლებელი გეგმავს და ქმნის.

სიმულაციების ეფექტიანად გამოყენების ძირითადი სტრატეგიები არ განსხვავდება ეფექტიანი სწავლების სტრატეგიებისაგან, რომლებიც მოიცავს:

- კონკრეტული სასწავლო მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბებას;
- მოსწავლეთა წახალისებას კვლევისა და დამოუკიდებელი აზროვნებისათვის;
- ახალი სასწავლო მასალის დაკავშირებას მოსწავლის ცოდნასა და უნარებთან (მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის მცდარი წარმოდგენებისა და ცნებების არასწორი გააზრების გათვალისწინება);
- ახალი ცოდნის დაკავშირებას რეალურ ვითარებებთან და რეალური სამყაროდან მომდინარე გამოცდილებასთან; ამ ვითარებების გააზრებას ახალი ცოდნის კონტექსტში;
- მოსწავლეთა ნაყოფიერი თანამშრომლობის წახალისებას;
- მოსწავლის კვლევითი აქტივობის გათავისუფლებას შეზღუდვებისაგან;


- მოსწავლის მიერ აზრის გამოთქმას სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით (მათ შორის, სიტყვებით, დიაგრამებით, გრაფიკული და ვიდეო მასალით);
- მოსწავლის მხრიდან ახალი ცნების, ობიექტისა თუ პროცედურის გააზრების პროცესზე დაკვირვებას.

სიმულაციების გამოყენების ფორმები

კომპიუტერული სიმულაციის გამოყენება შესაძლებელია: ახალი საკითხის შემოტანისას, ახალი ცნების გააზრებისას ან უნარების განვითარებისას. მოსახერხებელია მისი გამოყენება შემაჯამებელი მიმოხილვისა და რეფლექსიის დროს. სიმულაციები უნიკალური საშუალებებია, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია განსხვავებების მინიმუმამდე დაყვანა ისეთ სასწავლო აქტივობებს შორის, როგორცაა: ლექციის ტიპის გაკვეთილი, საშინაო დავალება, საკლასო სამუშაო და ლაბორატორიული სამუშაო. ერთი და იმავე სიმულაციის გამოყენება შესაძლებელია ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში. გარდა ამისა, სიმულაცია უზრუნველყოფს მასალის ისეთ ვიზუალიზაციას, რომელიც საერთოა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის, ეს კი ხელს უწყობს კომუნიკაციას და ამარტივებს მოსწავლისათვის მითითებების მიცემას.

გაკვეთილზე სიმულაცია შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ანიმაციური ილუსტრაცია, რომლითაც ხდება ცნების, პროცედურის ან მოვლენის დემონსტრირება. ინტერაქტიურობა პარამეტრების ცვლის საშუალებას იძლევა, რითიც პროცესის მსვლელობა შეიძლება დაჩქარდეს ან შენეიდეს, რათა მოსწავლეები უკეთ დააკვირდნენ მოვლენას. მისი საშუალებით შესაძლებელია ისეთი ობიექტებისა და პროცესების ვიზუალიზაცია, რომლებიც რეალურ ვითარებაში უხილავია, ან დროსა და სივრცეში დაშორებული, მაგალითად: ფოტონები, ელექტრონები, ელექტრომაგნიტური ველი, დედამიწის ქერქის შრეები, ასტრონომიული მოვლენები, ისტორიული მოვლენები. აგრეთვე შესაძლებელია ერთი და იმავე მოდელის მრავალგვარი რეალიზაციის ერთმანეთთან დაკავშირება, მაგალითად, საგნის მოძრაობის ტრაექტორიის, წყლის ჭავლის ფორმისა და ისეთი მათემატიკური ობიექტის,

როგორცაა პარაბოლა. სიმულაციის გამოყენება ეფექტურად შეიძლება მოსწავლის ცოდნის შემოწმების დროს, როდესაც საჭიროა დასმულ შეკითხვაზე მიღებული პასუხების უშუალო და თვალსაჩინო შეფასება. ამ დროს მოსწავლეებს შეუძლიათ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე მსჯელობა და სწორი პასუხის შესახებ გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება (მაგალითად, იხ. ნახ. 1).




გაკვეთილზე სიმულაციის გამოყენების ერთ-ერთი მაგალითი შესაძლოა იყოს გაკვეთილის წარმართვა შემდეგი სცენარის მიხედვით:

- I. სიმულაციის გაშვებამდე მასწავლებელი აღწერს რომელიმე მოვლენას ან ვითარებას, რომელიც წარმოდგენილია მოცემულ სიმულაციაში;
- II. მასწავლებელი ავალეს მოსწავლეებს, დაწერონ ამ მოვლენასთან (ვითარებასთან) დაკავშირებული პროგნოზი (ჰიპოთეზა);
- III. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ინდივიდუალურად დაწერენ საკუთარ მოსაზრებებს, მასწავლებელი ავალეს მათ, გამართონ მსჯელობა ჯგუფში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ამის შემდეგ შესაძლოა დარჩეს რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება;
- IV. მასწავლებელი ავალეს მოსწავლეებს, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები კლასის წინაშე;
- V. ამ საფეხურზე მასწავლებელი უშვებს კომპიუტერულ სიმულაციას და კლასი აკვირდება, თუ როგორია შედეგი;
- VI. მასწავლებელი ავალეს მოსწავლეებს, დაწერონ, თუ რა მოხდა „სინამდვილეში“ (სიმულაციის მიხედვით) და რა განსხვავებაა მათ მიერ აღწერილ მოვლენასა და სიმულაციის მიხედვით მომხდარს შორის;

შეკითხვა: ბავშვი ეშვება გორგოლაჭებიანი დაფით A წერტილიდან. რომელ წერტილში იქნება მის კინეტიკურ და პოტენციურ ენერგიებს შორის ისეთი თანაფარდობა, როგორიც გამოსახულია წრიულ დიაგრამაზე?

VII. ბოლო ეტაპზე მიმდინარეობს ერთობლივი დისკუსია ნანახის შესახებ და იმის ახსნა, თუ რატომ მოხდა ასე. ახსნის დროს მოსწავლეები შესაძლოა დაეყრდნონ იმ ცოდნას, რომელიც მათ უკვე აქვთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის დახმარებით მათ თავად მიაგნონ ახალ კანონზომიერებებს, გაიღრმავონ ცოდნა. ეს აღმოჩენით სწავლის ერთ-ერთი ნიმუშია.

ამ ყველაფერს თუ შევაჯამებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმულაციის გამოყენების ეს ნიმუში გულისხმობს გაკვეთილის წარმართვას სამსაფუძვრიანი სქემის მიხედვით (იხ. ნახ. 2).



კომპიუტერული სიმულაციები, რეალური ცდები და რეალურ მოვლენებზე დაკვირვებები

მაღალი ხარისხის, კარგად გააზრებულ კომპიუტერულ სიმულაციებს ხშირად თითქმის იგივე შესაძლებლობები აქვს, რაც რეალურ ლაბორატორიულ მოწყობილობებს. გარდა ამისა, სიმულაციების გამოყენებას რამდენიმე დამატებითი უპირატესობაც აღენიშნება:

1. მათი გამოყენება შესაძლებელია ისეთ საკლასო ოთახში, სადაც რეალური ლაბორატორიული მოწყობილობების განთავსება შეუძლებელია ამა თუ იმ მიზეზის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ რეალურ მოვლენებზე დაკვირვება (როგორც ლაბორატორიულ, ასევე ბუნებრივ პირობებში) და რეალური მონაცემების მოპოვება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი

შემადგენელი ნაწილია, მაგრამ სიმულაციები შეგვიძლია განვიხილოთ როგორც „ყოველდღიური მოხმარების“, იაფი და ეფექტიანი საშუალება;

2. სიმულაციების მეშვეობით შესაძლებელია ისეთი ცდების ჩატარება, რომლებიც შეუძლებელია ჩატარდეს რეალური მოწყობილობების გამოყენებით. მაგალითად, არსებობს სათბურის ეფექტის კომპიუტერული სიმულაცია, რომელიც იძლევა ატმოსფეროში ე.წ. სათბურის გაზის კონცენტრაციის ცვლილების საშუალებას. მოსწავლეს შეუძლია ნახოს, თუ რა შედეგები მოყვება ამგვარ ცვლილებას. არსებობს კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ, თუ როგორ ვრცელდება დედამიწის ზედაპირზე ტალღები მიწისძვრის დროს. არსებობს კომპიუტერული თამაშები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ მოვლენას ასახავს. მოთამაშეს შეუძლია ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პარამეტრის ცვლილება (მაგ., სამხედრო რესურსების, ფინანსური რესურსების, სასურსათო რესურსების), რის შემდეგაც შესაძლებელია დაკვირვება იმაზე, თუ როგორ შეიძლება განვითარებულიყო წარმოდგენილი ისტორიული მოვლენა იმ შემთხვევაში, რეალური ვითარება სიმულაციის მიხედვით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისი რომ ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ასეთი სახის სიმულაციები არ შეიძლება ჩაითვალოს რეალური ვითარების ზუსტ მოდელად, მაგრამ ისინი იძლევა დისკუსიების წარმართვის საშუალებას, რასაც, თავის მხრივ, მოვლენების უფრო ღრმა გააზრება მოყვება;
3. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, რეალური ლაბორატორიული ცდების დროს მოსწავლეებს უჩნდებათ შეკითხვები, რომლებიც ასე იწყება: „რა მოხდება, რომ...“. მათ აინტერესებთ, როგორი იქნებოდა ცდის შედეგი, თუ ამა თუ იმ პარამეტრს შევცვლიდით (მაგალითად, ქიმიური ცდის დროს გავზრდიდით ან შევამცირებდით რომელიმე ნივთიერების კონცენტრაციას). პარამეტრების სწრაფად ცვლილება, რეალური ცდის შემთხვევაში, ხშირად შეუძლებელია, ხოლო ინტერაქტიული კომპიუტერული სიმულაცია ადვილად იძლევა ამის საშუალებას.
4. სიმულაციების საშუალებით შესაძლებელია მოვლენის უხილავი მხარეების წარმოჩენა

და მრავალგვარი წარმოდგენის ერთმანეთთან დაკავშირება;

- 5. რეალური ცდისაგან განსხვავებით, მოსწავლეს შეუძლია ვირტუალური ცდის მრავალჯერ გამეორება სახლში, კანონზომიერების უკეთ გააზრებისა და მიღებული ცოდნის გაღრმავების მიზნით;

გარდა ზემოჩამოთვლილი უპირატესობებისა, კომპიუტერულ სიმულაციებს აქვს კიდევ ერთი ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ მნიშვნელოვანი უპირატესობა: უსაფრთხოება. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთ შემთხვევებში, როდესაც რეალურ მონაცემებზე დაკვირვება (ლაბორატორიულ თუ ბუნებრივ პირობებში) დაკავშირებულია გარკვეულ საფრთხესთან, რის გამოც მოსწავლეს არ შეუძლია ამის დამოუკიდებლად განხორციელება.

ინტერაქტიული სიმულაციების ძირითადი მახასიათებლები

არსებობს კომპიუტერული სიმულაციების ძირითადი მახასიათებლები, რომელთა გათვალისწინება სასარგებლოა სასწავლო აქტივობების დროს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რითიც ინტერაქტიული სიმულაცია განსხვავდება სხვა სახის ციფრული რესურსებისაგან:

1. სიმულაცია ზრდის მოსწავლის მოტივაციას;
2. სიმულაციის საშუალებით ხდება კომპლექსური მოდელის ციფრული რეალიზაცია;
3. მაღალი ხარისხის სიმულაციაში, როგორც წესი, გათვალისწინებულია ამა თუ იმ ცნების არასწორი გააზრება, მცდარი წარმოდგენა და მისი დაძლევის გზები;
4. სიმულაციაში შესაძლებელია პარამეტრების განსაზღვრული ნაწილის ცვლილება განსაზღვრულ ფარგლებში, რასაც დაუყოვნებლივ მოყვება შედეგის ცვლილება. მასზე დაკვირვება და მისი აღწერა ადვილად შესაძლებელი. მაგალითად, სიმულაციაში, რომელიც დაკავშირებულია ელექტრული წრედის აგებასთან, ძალიან ადვილია იმის შემჩნევა, თუ როგორ უნდა მიუერთდეს წრედის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთს, ხოლო არასწორი მიერთების შემთხვევაში, თვალსაჩინოა წრედის „დაზიანება“ (მაგ., „მოკლე ჩართვა“). ამ სახის ირიბი მინიშნება მოსწავლეს უადვილებს ინსტრუმენტის სწორად გამოყენებას და ამცირებს დროის დაკარგვის შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს

ინსტრუმენტის გამოყენებაში გარკვევამ. გარდა ამისა, მოსწავლეს შეუძლია მასალის სიღრმეში წვდომა მასწავლებლის უშუალო მითითებების გარეშე. თუმცა, მეტად კომპლექსურ და ისეთ მოვლენებთან დაკავშირებული სიმულაციების შემთხვევაში, რომლებიც ყოველდღიურობაში არ გვხვდება, მასწავლებლის დახმარება აუცილებელია. მაგალითად, სიმულაცია, რომელიც დაკავშირებულია კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობასთან, თითქმის არ მოითხოვს მასწავლებლის დახმარებას, იმ დროს, როცა მაგნიტურ რეზონანსთან დაკავშირებული სიმულაციის გამოყენება მასწავლებლის მნიშვნელოვან ჩარევას ითხოვს. ამგვარი კომპლექსური სიმულაციების გამოყენების დროს აუცილებელია, მასწავლებელი წინასწარ გაერკვეს ინსტრუმენტის გამოყენების წესებში.

სიმულაცია, ისევე როგორც სხვა სახის ციფრული მასალა, შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ იმ ერთიანი სასწავლო გარემოს შემადგენელ ნაწილად, რომელსაც მასწავლებელი გვგმავს და ქმნის.

ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების გათვალისწინებით, სიმულაციების საშუალებით შეიძლება შეიქმნას უნიკალური სასწავლო გარემო. მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად და მეტად ნაყოფიერად გამოიყენონ ეს ციფრული მასალა. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მეტი ეფექტის მისაღწევად საჭიროა, მასწავლებლის მხრიდან, რაც შეიძლება, მცირე ჩარევა და მოსწავლეების მეტი დამოუკიდებლობა სიმულაციებთან მუშაობის დროს. უნდა შეიქმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც მოსწავლე დამოუკიდებლად მოიპოვებს ცოდნას და მასწავლებელი მხოლოდ ცოდნის მოპოვების პროცესის ხელშემწყობია. კომპიუტერული სიმულაციის გამოყენებისას მასწავლებლის დახმარება აუცილებლობით უნდა იყოს გამოიწვეული.

სიმულაციაში წარმოდგენილი თვალსაჩინოების ხარისხის გამო მოსწავლეს შესაძლოა გარკვეული მენტალური მოდელი ჩამოუყალიბდეს, მაგრამ ის არ უნდა ჩაითვალოს რეალური მოვლენის ზუსტ შესაბამისობად. აუცილებელია მოსწავლის წახალისება იმ მიმართულებით, რომ ამ მენტალურ მოდელზე დაყრდნობით მან უფრო ზუსტი და მეცნიერულად სრულყოფილი მოდელი შექმნას. ამის გამო, სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ციფრული მასალის რეალურ მოვლენასთან შესაბამისობის ანალიზი და შეფასება.



ბუნებრივი ცნობისმოყვარეობიდან ბუნებისმეტყველებამდე



გიორგი გაბელაძე

თანამედროვე ზოგადი განათლების მიზანია, ადამიანი მოამზადოს უწყვეტი თვითგანვითარებისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. კაცობრიობის სწრაფი პროგრესი ადამიანს სულ უფრო მეტ ცოდნა-გამოცდილებასა და ახალ-ახალ გამოწვევებს სთავაზობს. მეცნიერების მიღწევები და ცოდნა სამყაროს შესახებ ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. ამდენად, მოსწავლე ცოდნის პასიურ მიმღებად კი არ უნდა დარჩეს, არამედ აქტიურ შემმეცნებლად უნდა ჩამოყალიბდეს. მას უნდა შეეძლოს მიღებული ცოდნა გამოიყენოს როგორც პროფესიული წარმატებისათვის, ასევე საზოგადოების სასიკეთოდ.

იმისათვის, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებამ აღნიშნული კრიტერიუმები დააკმაყოფილოს, საჭიროა მოსწავლეს:

- გაუჩნდეს ინტერესი გარემომცველი სამყაროს კვლევის, სიახლეების აღმოჩენისა და შეცნობის მიმართ;
- განუვითარდეს ბუნებისმეტყველისათვის საჭირო ელემენტარული უნარ-ჩვევები და შეეძლოს მათი სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება;
- გაცნობიერებული ჰქონდეს სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთიანობა;
- ჩამოუყალიბდეს გარემომცველ სამყაროზე ზრუნვის უნარ-ჩვევები;
- გამოუმუშავდეს კრიტიკული აზროვნების და კომუნიკაციის უნარი;

- განუვითარდეს თვითშეფასებისა და თვითკონტროლის, განსხვავებული აზრის მოსმენისა და შეფასების უნარი; შეეძლოს საზოგადოებაში თავისი ადგილის განსაზღვრა;
- მიეცეს ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაუფლების შესაძლებლობა;
- გაცნობიერებული ჰქონდეს მეცნიერების როლი კაცობრიობის პროგრესში;
- გააზრებული ჰქონდეს ადამიანთა თანამშრომლობის აუცილებლობა კაცობრიობის განვითარებისთვის¹.

მისი კანონზომიერებებით ვცხოვრობთ. სწავლებაც მარტივდება, თუ მასწავლებელს შესწევს უნარი, ყოველდღიურ მოვლენებში უნივერსალური იდეები ამოიცნოს.

იაკობ გოგებაშვილის თანახმად, ბუნების შესწავლის უმთავრესი მიზანია, „გაუხსნას ყმაწვილს თანაგრძნობა ბუნებისა, შეაყვაროს მისი გამოძიება და მისი განხილვა“ („ბუნების კარი“, I გამოცემის წინასიტყვაობა)².

წარმოგიდგინთ თანამედროვე დაწყებით სკოლაში ბუნებისმეტყველების სწავლების 7 ტიპს³, მეცნიერების არსებითად შესწავლისა და გააზრებისათვის.

კითხვების დასმა, კრიტიკული აზროვნება, გამოკითხვა,

გამოკვლევა, ჰიპოთეზის წამოყენება და სხვა ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერების შესწავლასა და გააზრებაში მოსწავლეთა დასახმარებლად.


სინათლისავენ? საიდან ჩნდება ცისარტყელა? ეს მიდგომა გაკვეთილს მოსწავლისათვის უფრო საინტერესოს გახდის.

კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაში, როდესაც უსვამთ კითხვებს იმ გამოკვლევის შესახებ, რომელსაც

დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ბუნებისმეტყველების სწავლება მომავალში მათ წარმატებებს განაპირობებს. რასაკვირველია, მოსწავლეებმა გარკვეული ფაქტები უნდა დაიმასსოვრონ, მაგრამ ყველაფრის დამასსოვრება მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობასა და გარემომცველი სამყაროს აქტიურად შემეცნების სურვილს აქრობს.


ბუნების შესწავლა საინტერესო და სახალისო უნდა იყოს. როდესაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ბუნების შესწავლაში, ისინი ბევრად მეტს იძენენ. მიეცით საშუალება მათ, რომ თავად აღმოაჩინონ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზები.

1. მოსწავლეები სვამენ კითხვებს – ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა კითხვების დასმას განაპირობებს. ხელი შეუწყვეთ მოსწავლეებს ისეთი კითხვების ჩამოყალიბებაში, რომლებიც მათ ინტერესს გაუღრმავებს. მოსწავლეები უნდა გრძნობდნენ, რომ გამოკვლევაში მონაწილეობენ. მაგალითად, ჰკითხეთ მათ: რატომ მიიწევენ მცენარეები მზის



მოსწავლე ცოდნის პასიურ მიმღებად კი არ უნდა დარჩეს, არამედ აქტიურ შემეცნებლად უნდა ჩამოყალიბდეს. მას უნდა შეეძლოს მიღებული ცოდნა გამოიყენოს როგორც პროფესიული წარმატებისათვის, ასევე საზოგადოების სასიკეთოდ.

2. მასწავლებლები სვამთ კითხვებს – თქვენ ეხმარებით მოსწავლეებს ისინი აწარმოებენ. მაგალითად, სთხოვეთ მათ, დაგისახელონ



წრიული დიაგრამის ნიმუში თემისათვის „წელიწადის დროები და ტანსაცმელი“

ბუნებისმეტყველების შესწავლა უნდა ეფუძნებოდეს იმ პრაქტიკულ მოქმედებებს, რომლებიც მოსწავლისგან კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვს.

ნებისმიერი სხვა ხერხი, რომლითაც შეუძლიათ გაზომონ მოცემული წიგნის წონა.

3. მონაცემების შეგროვება – შესრულებული ლაბორატორიული ცდების ან სახელმძღვანელოში მოცემული მონაცემების ნაცვლად, მოსწავლეებს მიეცით საშუალება, თავად შეაგროვონ მონაცემები. ეს მნიშვნელოვანია გამოკვლევაში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისათვის. მაგალითად,

ჰკითხეთ მათ: რა მანძილზე გორდება ბურთი სხვადასხვა მასალაზე?

4. სამეცნიერო პრობლემების ყოველკვირეული – კვირაში ერთხელ კლასი რაიმე პრობლემას განიხილავს. ამ დროს მოსწავლეები მიმდინარე სასწავლო საკითხების ცოდნას ავლენენ. ეს ავითარებს თანამშრომლობის უნარს პრობლემის გადაჭრისას. მაგალითად, ჰკითხეთ მათ: რა იწვევს მიწისძვრას?

5. სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოყენება – ეს ეხმარება მოსწავლეებს მიმდინარე სასწავლო საკითხის უფრო მრავალფეროვნად და საინტერესოდ გააზრებაში, ასევე იშვიათი ბუნებრივი მოვლენებისა თუ კანონზომიერებების გაცნობაში.

6. ხელით და გონებით – ბუნებისმეტყველების შესწავლა უნდა ეფუძნებოდეს იმ პრაქტიკულ

მოქმედებებს, რომლებიც მოსწავლისგან კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვს. მაგალითად: მოსწავლეები იყენებენ სამეცნიერო ხერხებს მცენარეებისათვის დამატებული ნივთიერებების შესასწავლად, რათა გაარკვიონ, თუ რომელი მათგანი აჩქარებს ზრდას. ისინი ვალდებული არიან, ცდამდე გააკეთონ დასაბუთებული პროგნოზი, შემდეგ ჩაატარონ ცდა, აღწერონ შედეგები და შეადარონ ისინი საკუთარ პროგნოზს.

მიზანი: ცოცხალის და არა-ცოცხალის ერთმანეთისაგან გარჩევა, ობიექტების დახასიათება და დაჯგუფება

თემა: ცოცხალი და არაცოცხალი

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რომელია თქვენ გარშემო ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტები? რატომ თვლით ასე?

შეეცადეთ, მოსწავლეებს გამოავლენინოთ განსხვავება

სამუშაო ფურცლები (დანართი №1). მათ ევალუატირებათ, ცოცხალი ობიექტები შემოხაზონ მწვანედ, ხოლო არაცოცხალი – ლურჯად. მასწავლებელი რიგრიგობით ეკითხება თითოეულ მოსწავლეს, თუ რა ფერით შემოხაზა ესა თუ ის ობიექტი და რატომ. შემდეგ ის კითხულობს, თუ ვის აქვს მსგავსი პასუხი, ვის – განსხვავებული. კლასი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რომელი პასუხია სწორი.

ბუნებისმეტყველების სწავლებისას, სხვა ბევრ მნიშვნელო-

7. ექსპერიმენტის დიზაინი – მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ, თავად დაგეგმონ ექსპერიმენტი ნასწავლის საფუძველზე. მაგალითად, მოსწავლეები გეგმავენ ექსპერიმენტს, თუ როგორ განსაზღვრონ სათამაშო ავტომობილის გადაადგილებაზე ხახუნის გავლენა.

მოსწავლემ თავიდანვე უნდა გააცნობიეროს, რომ სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობს, მრავალფეროვანია და შედგება ცოცხალი და არაცოცხალი კომპონენტებისაგან, რომლებიც ერთმანეთს მჭიდროდ და დინამიკურად უკავშირდება. გთავაზობთ წლების განმავლობაში 100-მდე სკოლაში აპრობირებულ პირველკლასელთა აქტივობის აღწერას, როგორც აქ მოტანილი მიდგომების თვალსაჩინოდ და მარტივად განხორციელების ნიმუშს⁴:

 ბუნების შესწავლა საინტერესო და სახალისო უნდა იყოს. როდესაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ბუნების შესწავლაში, ისინი ბევრად მეტს იძენენ. მიეცით საშუალება მათ, რომ თავად აღმოაჩინონ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზები.

ამ ორი ჯგუფის ობიექტებს შორის. შეეცადეთ, გამოავლენინოთ მსგავსება ერთ ჯგუფში გაერთიანებულ ობიექტებს შორის (პირველკლასელ მოსწავლეებთან ამ თემაზე საუბრის დროს სასურველია, ისინი უშუალოდ ხედავდნენ საუბრის ობიექტებს). როგორც პრაქტიკიდან ჩანს, პირველკლასელები ცოცხალში აერთიანებენ, ძირითადად, იმას, რაც ახლაა ცოცხალი, ან ადრე იყო ცოცხალი (მაგალითად, მოწყვეტილი ყვავილი). მოსწავლეებს ურიგდებათ

ვან უნართან ერთად, არსებითია მოსწავლეებში ინფორმაციის მოპოვებისა და ორგანიზების უნარის განვითარება. ძალიან მოხერხებულია ინფორმაციის მოწესრიგების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს მოვლენების, სიტყვების ქრონოლოგიის მიხედვით დალაგებას – დასაწყისიდან ბოლომდე, მოვლენების წარმოშობის მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით.



შენიშვნები:

- ¹ ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წწ., <http://www.ncac.ge>
- ² ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წწ., <http://www.ncac.ge>
- ³ David R. Wetzel - 10 Science Teaching Tips for Elementary School, Aug 21, 2008: <http://www.suite101.com/content/10-science-teaching-tips-for-elementary-school-a65420>
- ⁴ სასარგებლო რესურსები მასწავლებლებისთვის, ნაწილი 1, 2007, ესგმც.

წიგნიერების პრობლემა და უახლესი საგანმანათლებლო გამოწვევები



ქეთო ნინიძე

ქართული საგანმანათლებლო სფეროს გამოწვევად კვლავაც რჩება წიგნიერების დონის ამაღლების საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შორის. არადამაკმაყოფილებელი სტატისტიკის განმსაზღვრელ მიზეზებად ექსპერტები სხვადასხვა პრობლემას მოიხსენიებენ, მათ შორის, მოსწავლეთა ოჯახების წიგნიერების დონეს, თანამედროვე ლიტერატურის არახელმისაწვდომობას სასკოლო თუ მუნიციპალურ ბიბლიოთეკებსა და ინტერნეტ-სივრცეში, და ბოლოს, რაც ყველაზე საყურადღებოა, სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ მთელ რიგ სირთულეებს.

იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას, საჭიროა პროცესის შემაფერხებელი ფაქტორების საფუძვლიანად კვლევა და იმ ძირითადი რგოლების (მშობელი, მასწავლებელი, სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მედია) ინტერაქცია, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ აღნიშნული პროცესების განვითარებაზე.

ბოლო პერიოდის ქართული სატელევიზიო სივრცე გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გულსტკივილით აღვნიშნოთ: საზოგადოება ასეთი მგზნებარებით არ უნდა კიცხავდეს ყმაწვილებს იმის გამო, რომ მათი გარკვეული ნაწილი კითხვას დიდ დროს არ უთმობს. თუმცა საზოგადოება სავალალო მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს ნამდვილად უნდა ეძებდეს. უნდა ეწყობოდეს სასკოლო დისკუსიები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, განათლების ექსპერტები. მნიშვნელოვანია, პროფესიულმა საზოგადოებამ ის საგანმანათლებლო პრობლემები იკვლიოს, რომლებიც წიგნის მიმართ მოსწავლეების გაუცხოებას განაპირობებს. სტატიაში შევეცდებით, მოვნიშნოთ რამდენიმე ასეთი საკითხი სასწავლო პროცესის თითოეულ საფეხურზე:

დაწყებითი საფეხური

ქართულის საგანში, დაწყებით საფეხურზე, განსაკუთრებით პირველი კლასის სახელმძღვანელოებში, დგება მასალებისა და აქტივობების უპირობო ოპტიმიზაციის საკითხი. არაერთი ფილოლოგი მიიჩნევს, რომ მოსწავლეთა ლექსიკური ფონდის შევსება ისეთი სიტყვებით, რომლებიც შეკრებილი იყო იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ (მაგ.: მაჟალო,

ორშიმო, მაშა და სხვ.), ერთგვარად დაკავშირებულია ნაციონალურ იდენტობასთან. სწორედ ამ რომანტიკული და არა პრაგმატული დამოკიდებულებების გამო თანამედროვე „დედაენები“ ჯერ კიდევ „ვერ ელევა“ იმ ტექსტს, რომელიც არანაირად არ უკავშირდება ნაციონალურ იდენტობას და ცხადია, პრაქტიკულ ღირებულებასაც მოკლებულია.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ პირველ „დედაენაში“ სწორედ პრაქტიკული მოსაზრებით იყო გამართლებული ნებისმიერი სახის მასალის არსებობა – ის უკავშირდებოდა წიგნის ბენეფიციარების ყოველდღიურობას, ყოფას (როგორც ვიცით, მოსწავლეები სასოფლო-სამეურნეო საქმეებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი). „დედაენის“ ავტორის გამოწვევად კი რჩებოდა ყოველი დროისთვის აქტუალური პრიორიტეტი – მოსწავლეთა პირადი გამოცდილების დაკავშირება სასწავლო პროცესთან. იაკობ გოგებაშვილი არაერთ პუბლიკაციაში აღნიშნავდა, რომ კითხვა მოსწავლისთვის არა მხოლოდ მექანიკურ პროცესთან – გრაფემების სინთეზთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული, არამედ – შემეცნებასთანაც. შესაბამისად, „დედაენაში“ არც ერთი თემატური ერთეული და ტექსტური თუ ვიზუალური მასალა მოზარდთა ემპირიულ გარემოს მოწყვეტილი არ ყოფილა. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია მართებულად, რომ თანა-

მედროვე მოსწავლესაც ჰქონდეს საშუალება, წაკითხული პირად გამოცდილებებს დაუკავშიროს, შეძლოს შესწავლილი მასალებისა და საკუთარ გამოცდილებათა სინთეზი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იკითხოს ტექსტი, რომელიც მოწყვეტილი არ იქნება მის ყოველდღიურ სინამდვილეს.

მეორე პრობლემას ქმნის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი საკითხავი ტექსტების სიმწირე. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს მათი გადანაწილება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საათობრივ ბადეზე. თუმცა, მეორე მხრივ, მასალების ხელოვნური გავრცობა (ტექსტებისათვის 2-3 აკადემიური საათის გამოყოფა) ე.წ. „ცრუ კითხვას“ იწვევს. არაერთი მასწავლებლისგან გვსმენია, რომ არ არის საჭირო უნიკალური მეხსიერება იმისათვის, რათა რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ ტიპური 30-40-სიტყვიანი ტექსტი მოსწავლემ ზეპირად დაიმახსოვროს. მართალია, დავალების ჩაბარებისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის წარმატებით ფლობს კითხვის ტექნიკას, მაგრამ დაკვირვებული მასწავლებელი შეამჩნევს, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ტექსტებს ზეპირად იმახსოვრებს თუ არა. ეს ყველაფერი, ერთი მხრივ, ხელს უშლის სამეცნიერო და კითხვის ტექნიკების დაუფლებას, მეორე მხრივ კი სასწავლო პროცესს აიგივებს მოვალეობის მოხდის მოსაწყენ პროცესთან, რაც მოტივირებული მოსწავლისთვის განუწყვეტელ ფრუსტრაციებს უკავშირდება. კითხვის ტექნიკის განვითარებისთვის აუცილებელია მდიდარი მასალების არსებობა, რათა თავიდან ავიცილოთ „ცრუ კითხვის“ ჩვევა.

ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ სახელმძღვანელოებში ნაკლებად არის გათვალისწინებული სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტერესები, მაგ..., ჰიპერაქტიური, უნარშეზღუდული და სხარტად მოაზროვნე მოსწავლეების შესაძლებლობები. ვფიქრობთ, ინდივიდუალური მიდგომების ხელშეწყობა, რაც თანამედროვე საგანმანათლებლო რეფორმის აუცილებელი კომპონენტია, სასურველ შედეგებს გამოიღებს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ეს და სხვა პრობლემები მოსწავლის წიგნთან და სასწავლო პროცესთან გაუცხოებას განა-

პირობებს. მასწავლებელს სჭირდება დამატებითი ძალისხმევა, რათა შეძლოს დამხმარე ლიტერატურის მოძიება, აქტივობების გამრავალფეროვნება იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი თითოეული მოსწავლისათვის სახალისო და საინტერესო იყოს.

საბაზო საფეხური

ამ ასაკის მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიძიებენ მათთვის საინტერესო მასალებს, აქტიურად იყენებენ ინტერნეტს, აგროვებენ ინფორმაციას და არიან უფრო მოტივირებული, ჩაერთონ კოლექტიურ აქტივობებსა და თემატურ პროექტებში. საბაზო საფეხურზე, საშუალოსთან შედარებით, გასაგები მიზეზების გამო, მასწავლებელი გარკვეულწილად შეუზღუდავია როგორც დამხმარე მასალებისა და აქტივობების გამრავალფეროვნების, ასევე მოსწავლეთათვის მეტი თავისუფლების მინიჭების თვალსაზრისით. აუცილებელია, სასწავლო მასალის შესაბამისად გამოვიყენოთ კითხვის სხვადასხვა ტიპები (ჩუმი, ხმამაღალი, სწრაფი, ჩალრმავებული, პაუზებით, გაცნობითი კითხვა და სხვ.), ასევე, მრავალფეროვანი სტრატეგიები:



I დონე

თვალის გადავლება

- ტიქსტის სტრუქტურული ერთეულებისთვის თვალის გადავლება; ტექსტის სათაურის / თავების დასახელებების / ილუსტრაციების / სქოლიოს / სხვა მახასიათებლების მიხედვით ტექსტის სავარაუდო თემისა და პრობლემატიკის წინასწარი განჭვრეტა;
- დასახელებული თემების შესახებ ძველი ცოდნის გააქტიურება.

II დონე

კითხვა

- ტიქსტის ჟანრობრივი და სიუჟეტური სპეციფიკის შესაბამისად კითხვის სხვადასხვა ტიპის გამოყენება: ხმამაღალი, პაუზებით კითხვა, ხელმეორედ გადაკითხვა, ჩუმი კითხვა (საკვანძო სიტყვების, ფრაზების ხაზგასმა, მინდორზე სპეციალური მინიშნებების გაკეთება, შენიშვნების გამოტანა ისრებით, შენსკა, ტექსტში მნიშვნელოვანი პასაჟების მონიშვნა); ჩაღრმავებული კითხვა (პარალელების გავლენა – ძველი ცოდნის გააქტიურება; ამბის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება; ისტორიულ, კულტურულ, საავტორო კონტექსტთან მიმართების გარკვევა, კონტექსტუალიზაცია) და მისთ.
- პაუზებით კითხვა. თითოეული ეტაპის შემდეგ სიუჟეტური ქარგის მომდევნო საფეხურის წინასწარი განჭვრეტა;
- შეჯამება: გამართლდა თუ გაცრუვდა ჩემი მოლოდინი? (ეს უკანასკნელი მეტად აცხოველებს ტექსტისადმი ინტერესს);
- ინდუქციური და დედუქციური მიდგომების გამოყენება (ამოვიდვართ საგნის ბუნებიდან / მოვლენიდან; ან საგნების ბუნებას / მოვლენებს მოვარგებთ შუა მოდელებს, დავუწესებთ მათ წინასწარ დასაზღვრულ ჩარჩოებს);
- ტიქსტის საკვანძო ეპიზოდების, ფრაზების განსაზღვრა;
- იმპლიციტური და ექსპლიციტური ინფორმაციის შეჯერება (ზოგიერთი ინფორმაცია (ექსპლიციტური) ავტორის / გმირების ნარატიულ პასაჟებსა და დიალოგებში პირდაპირაა გადმოცემული, ზოგიერთი – მოვლენების მსვლელობიდან იკვეთება (იმპლიციტური));
- უცხო სიტყვები – სასურველია, უცნობი ლექსიკური ერთეულები განმარტოთ ტექსტის წაკითხვის შემდეგ, თუ კონტექსტი ამის საშუალებას იძლევა.

III დონე

კითხვის შემდგომი

- ტიქსტების სხვადასხვა დონის (სიუჟეტი და ფაბულა, გმირები, ისტორიული და პოლიტიკური მოვლენების ასახვა ნაწარმოებში) ანალიზი;
- კითხვები და პასუხები. აუცილებელია, რომ კითხვა არ გულისხმობდეს პასუხებს, ან არ უბიძგებდეს მოსწავლეებს კონკრეტული პასუ-

მომავალ თაობებს ხელსაყრელი გარემო შეეუქმნათ იმისათვის, რომ მათ მიიღონ ცოდნა აღნიშნული რესურსების შესახებ და ადეკვატურად განსაზღვრონ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი მონაპოვარის ღირებულება.



ხისკენ. კითხვის დასმისას, ასევე, ეფექტურია ტექსტის პერიფრაზირება. სასურველია, არ გამოვიყენოთ უშუალოდ ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მოცემულია ნაწარმოებში). ნუ დავუთმობთ დიდ ყურადღებას ემპირიულ ინფორმაციას (კლასიკური მაგალითი: საზრიანი მოსწავლე ყოველთვის არ იმახსოვრებს, თუ რა ერქვა გოგია უიშვილის ძაღლს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ანალიზებს ნაწარმოების ჟანრობრივ, ისტორიულ, ავტორის შემოქმედებით თავისებურებებს და სხვა ფაქტორებს);

- დისკუსიების გამართვა
- ესეს დაწერა ნაწარმოების რომელიმე პრობლემის შესახებ (საკლასო დავალება);
- ცხრილების / დიაგრამების / გრაფიკების შედგენა
- სქემა – „ვიცი / მინდა ვიცოდე / ვისწავლე“. ეს აქტივობა გამოგადგებათ წინარე და კითხვის შედეგად შექმნილი ცოდნის შედარებისთვის;
- რა კითხვები დაგვრჩა პასუხგაცემელი?
- ავტორთან დაპირისპირება. რამდენად დამაჯერებელია ამბავი? აქვე მნიშვნელოვანია ავტორისა და მკითხველის (მოსწავლე, მასწავლებელი) შეხედულებების კონტექსტუალიზაცია (ხედვის პერსპექტივების განსაზღვრა).
- შეჯამება და რეზუმირება – მთავარი და დამხმარე იდეების გამოკვეთა და მათი გამყარება შესაბამისი არგუმენტებით.

დაგეგმეთ და განახორციელოთ მრავალფეროვანი სასწავლო პროექტები; მიანიჭეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლობა სასწავლო პროექტების სასკოლო მასშტაბის კონკურსების გამოცხადებით. ასეთ შემთხვევაში, მათ განუვითარდებათ პრობლემათა ხედვისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის უნარი, ასევე, კომუნიკაციისა და პრეზენტაციისთვის აუცილებელი ჩვევები. მოსწავლეთა იდეების საფუძველზე მოაწყვეთ ლიტერატურული კვირეულები და აქციები. მნიშვნელოვანია არა საჩვენებელი ღონისძიებებისა და ე.წ. „ღია გაკვეთილების“ ორგანიზება, არამედ მოსწავლეთა მოტივირება მათი სასწავლო პროცესში გააქტიურების მიზნით.

დაავალეთ მოსწავლეებს, შექმნან ბლოგები, სადაც წარმოადგენენ საშინაო დავალებებს; ქართულენოვან ინტერნეტ-წყაროებში მოიძიებენ შესაბამის ინფორმაციას და ტექსტურ მასალას მიამაგრებენ მულტიმედიაურ ბმულებს ან დოკუმენტებს. ამ დავალებას უფრო დიდ აზარტს შესძენს ონლაინ-გამოკითხვების წარმოება და საყვარელი ავტორებისა და წიგნების რეიტინგების შედგენა, რის საშუალებასაც არაერთი უფასო ონლაინ-ხელსაწყო იძლევა. გახსოვდეთ, რომ სასწავლო



პროცესის მიზანია არა ცალკეული მეთოდებისა და ისტ-ის თვითმიზნურად გამოყენება, არამედ სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

საშუალო საფეხური

მშობელთა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა ყურადღება, უმეტესწილად, საშუალო საფეხურის შედეგებზეა მიმართული. ვითარებას ამძაფრებს სასწავლო მასალების სირთულე და სიუხვეც. ამდენად, შემოქმედებითი თავისუფლება რამდენადმე იზღუდება და მთელი პედაგოგიკური ენერგია ქართული ლიტერატურული ძეგლების, მათი ისტორიული და ლიტერატურული თავისებურებების შესწავლისკენ მიემართება. საშუალო საფეხურზე, განსაკუთრებით, ძველი ქართული ლიტერატურის სწავლებისას თავს იჩენს ერთი ტიპური პრობლემა: მოსწავლეები ვერ ახერხებენ ტექსტთან გაშინაურებას ენობრივ (ლექსიკურ-გრამატიკულ) და თემატურ დონეებზე. მეორე მხრივ, განჩნდა ასეთი შეხედულება: ჰაგიოგრაფიული ტექსტები თანამედროვე მოზარდისთვის უსიცოცხლო, „მკვდარი“ ძეგლებია. ვფიქრობთ, აუცილებელია, რომ მოსწავლეებს ეს ტექსტები (მაგ.: „შუშანიკის წამება“, „აბო ტფილელის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და აგრეთვე, „ვეფხისტყაოსანი“) მიეწოდოს იმ დონეებით, რაც მათი ასაკისთვის ბუნებრივი და მისაღებია.

სასურველი იქნებოდა, თუ სასწავლო ბაზრის აგენტები (სახელმძღვანელოს ავტორი, მასწავლებელი) სასწავლო მასალას ეფექტურად შეფუთავდნენ, წარმოაჩინდნენ ძეგლების

უნიკალურობას, რაც მათს სიძველესა და მხატვრულ ღირსებაში მდგომარეობს და დაანახებდნენ მოსწავლეებს მათ ადგილს მსოფლიოს ლიტერატურული მემკვიდრეობის კონტექსტში. ვფიქრობთ, მოზარდები მეტი ინტერესით მოეკიდებოდნენ საქართველოს უნიკალური სამწერლობო მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს და მათ გაუჩნდებოდათ ამ სიძველეების უკეთ გაცნობის სურვილი. თუ მოსწავლეები სათანადოდ არ ეპყრობიან ქართულ მწერლობას, ამის მიზეზები საოჯახო თუ სასკოლო პრაქტიკებსა და საზოგადოებრივ პრიორიტეტებში უნდა მოვიკითხოთ.

სახელმძღვანელოებში ალტერნატიული, ადაპტირებული ტექსტების არსებობა, როგორც გარკვეული „საცდური“ და უმართებულო ორიენტირი, კიდევ ერთხელ უკარგავს მოზარდებს ორიგინალ ტექსტთან მიახლოების მოტივაციას. გვავიწყდება, რომ ამგვარი ლოგიკით ნებისმიერი ექსპონატი, რომელიც მუზეუმშია დაცული, ისეთივე სტატიკური და „მკვდარია“, როგორც რომელიმე ტექსტი ძველი ქართული მწერლობიდან. მიუხედავად ამისა, ექსპონატის ფასეულობის განსაზღვრისას ჩვენი მიზანია არა მისი აქტუალური ფუნქციის წარმოჩენა, არამედ იმ კულტურული გარემოს რეკონსტრუქცია, რომელშიც ფუნქციონირებდა აღნიშნული ობიექტი.

ქართული ლიტერატურა მდიდარი რესურსია მათთვის, ვინც მოტივირებულია, კვალიფიციურად შეაფასოს და დროის გამოწვევების ადეკვატურად შეფუთოს იგი. მნიშვნელოვანია, ძალისხმევა არ დავიშუროთ, რათა მომავალ თაობებს ხელსაყრელი გარემო შევუქმნათ იმისათვის, რომ მათ მიიღონ ცოდნა აღნიშნული რესურსების შესახებ და ადეკვატურად განსაზღვრონ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი მონაპოვარის ღირებულება.

იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას, საჭიროა პროცესის შემაფერხებელი ფაქტორების საფუძვლიანად კვლევა და იმ ძირითადი რგოლების (მშობელი, მასწავლებელი, სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მედია) ინტერაქცია, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ აღნიშნული პროცესების განვითარებაზე.



რას კითხულობენ ბავშვები

საქართველოში ბავშვთა წიგნიერების დონე არცთუ მაღალია. ამ ყურადსაღებ დასკვნამდე საერთაშორისო ორგანიზაციების – PIRLS-ის სპეციალისტები 2006-2007 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად მივიდნენ. მხოლოდ 2012 წელს შევითქვით, შეიცვალა თუ არა მდგომარეობა. კვლევები ადასტურებს, რომ მოსწავლეთა წიგნიერებაზე ყველაზე დიდ ზეგავლენას მასწავლებელი და ოჯახი ახდენს, შედარებით მაღალი შედეგები კი იმ მოზარდებს აქვთ, რომელთა მშობლებს კითხვა სიამოვნებას ანიჭებთ; მათ ოჯახებში ბევრი წიგნი ინახება და ბავშვები ადრეული ასაკიდანვე არიან ჩართულნი წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში.

„მრგვალი მაგიდის“ მონაწილეები – საბავშვო მწერლები, საბავშვო ლიტერატურაზე მომუშავე გამომცემლები და განათლების ექსპერტები შეეცადნენ, გაერკვიათ, რა როლს ასრულებს მასწავლებელი ბავშვის წიგნიერების დონის ამაღლების პროცესში და შესაძლებელია თუ არა ამ მხრივ, ოჯახთან ერთად, სკოლაც აქტიური ხელშემწყობი იყოს.

ირმა კახურაშვილი

მრგვალი მაგიდის მონაწილეები:

- გია მამულაშვილი** – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი
- თეა კვინტრაძე** – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
- თეონა კუპაძაძე** – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
- ვლადიმერ ვარდოსანიძე** – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მსოფლიო კულტურის ჯგუფის ხელმძღვანელი
- ირმა მალაციძე** – საბავშვო მწერალი, საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი
- თამარ ლებანიძე** – გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორი
- ვასილ გულეური** – საბავშვო მწერალი
- სანდრო ასათიანი** – საბავშვო მწერალი, მხატვარი, გამომცემლობა „სანდროს წიგნების“ დირექტორი
- ირაკლი კაკაბაძე** – ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი
- შეხვედრას უძღვებოდა
- ნატო ინგოროყვა** – ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი.

ნატო ინგოროყვა: დღევანდელი შეხვედრის თემა ბავშვთა წიგნიერების დაბალი დონეა. ჩვენს საზოგადოებაში ბევრს საუბრობენ ამ პრობლემაზე, სახელდება სხვადასხვა მიზეზი. საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები, რომელთაც გული შესტიკვით და რომლებიც ზრუნავენ ამ პრობლემის მოგვარებაზე. ქალბატონო ირმა, თქვენ საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი ბრძანდებით. რას ემსახურება ფონდი და რა რეკომენდაციას მისცემდით ჩვენს მასწავლებლებს?

ირმა მალაციძე: ფონდი ექვსი წლის წინ ჩამოყალიბდა. მისი მიზანია თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის ხელშეწყობა და იმ ავტორების პოპულარიზაცია, რომლებსაც საზოგადოება და ბავშვები ნაკლებად იცნობენ. ამ კუთხით ცოტა რამ შევძელით კიდევ, მაგალითად, ჩვენი ხელშეწყობით დაწესდა საბავშვო წიგნის დღე – 25 ოქტომბერი

(იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე). ოქტომბრის ბოლოს ბევრი სკოლა ატარებს წიგნის კვირეულს, რომელიც ბავშვისა და წიგნის დაახლოებას ემსახურება. ფონდი ხშირად აწყობს მკითხველისა და ავტორების შეხვედრებს. თუმცა გვექონდა წარუმატებელი მცდელობაც, როდესაც თავი კომპლექსურმა პრობლემებმა იჩინა: შარშან გამოვაცხადეთ კონკურსი „ბავშვების რჩეული“, სხვადასხვა სკოლაში დაგვბავნეთ ბოლო წლის განმავლობაში ქართველი ავტორების მიერ გამოცემული საბავშვო წიგნების ჩამონათვალი და ვთხოვეთ მასწავლებლებს, რომ ბავშვებს ისინი წაეკითხათ, შემდეგ კი ხმა მიეცათ სასურველი წიგნისათვის. ამით გააქტიურდებოდა საბიბლიოთეკო სისტემა, რადგან სკოლა „იძულებული“ იქნებოდა, შეეძინა ახალი წიგნები, ხოლო ბავშვები თანამედროვე ლიტერატურას გაეცნობოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენს წამოწყებას მხოლოდ რამდენიმე სკოლა გამოეხმაურა.

ახლახანს თემქის ერთ-ერთ სკოლაში სასიამოვნოდ

გაოცებული დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, რომ იქ ყოველწლიურად ტარდება კონკურსი, რომელიც ავლენს, თუ რომელმა კლასმა და მოსწავლემ წაიკითხა ყველაზე მეტი წიგნი. ასეთი ინიციატივები ძალიან ცოტაა. ასევე, ჯერჯერობით მოუგვარებელი პრობლემაა სკოლის ბიბლიოთეკის ფონდი.

ვასო გულეური: ბიბლიოთეკების განახლება სკოლებში ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, თუმცა მასწავლებლებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. წიგნისადმი ინტერესის გაღვივება სკოლაშივე უნდა მოხდეს. ამჟამად კარგი ხარისხის წიგნები გამოიცემა, მაგრამ ყველას არა აქვს მათი შეძენის საშუალება. ამ პირობებში ბიბლიოთეკებს განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ.

ნატო ინგოროყვა: წიგნის კითხვის კულტურა ოჯახიდან იწყება. ცხადია, მასწავლებლებზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. ასევე, გამომცემლობის კომერციული ინტერესია,

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების საგანი და რეგულირების სფერო

1. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა (შემდგომში – სქემა) აერთიანებს მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის აუცილებელ გზებსა და საშუალებებს, რაც განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21⁷ მუხლის მიხედვით (მასწავლებლის პროფესიული განვითარება).
2. სქემა განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) მასწავლებლის სქემაში ჩართვას, მასწავლებლობის უფლების განახლებისა და მასწავლებლის კატეგორიის მინიჭების სავალდებულო კრედიტების ოდენობასა და მათი დაგროვების შესაძლებლობებს.
3. სქემის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელზე, რომელიც სერტიფიცირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. სქემის მიზანი

სქემის მიზანია ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ ზრდას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

სქემაში გამოყენებულ ტერმინებს ამ სქემის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. სქემაში ჩართული მასწავლებლის გეგმა – მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად შექმნილი და წერილობითი ფორმით შემუშავებული აქტივობების გეგმა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს სკოლის დირექტორი.
2. სქემაში ჩართული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობების ამსახველი დოკუმენტაციის კრებული.
3. კრედიტი – აკადემიური და პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული.
4. მონიტორინგის მობილური ჯგუფი – ცენტრის მონიტორინგის მობილური ჯგუფი ახორციელებს სქემაში ჩართულობის პროცესის მონიტორინგს. ჯგუფის წევრები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
5. საიდენტიფიკაციო კომისია – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან არსებული კომისია, რომლის შემადგენლობას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ადგენს და თავმჯდომარეობს ცენტრის დირექტორი.
6. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი – რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი არის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი რომლის კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო).

თავი II. სქემაში ჩართვის რეგისტრაცია

მუხლი 4. მასწავლებლის სქემაში ჩართვის რეგისტრაცია

1. მასწავლებლის სქემაში რეგისტრაცია მოიცავს მასწავლებელთა რეგისტრაციას სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი განათლების სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებში (შემდგომში – რესურსცენტრი).
2. სქემაში ჩართვის მიზნით მასწავლებელი რესურსცენტრში სქემაში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს წარუდგენს ცენტრის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმას.
3. სქემაში ჩართვის რეგისტრაცია განხორციელდება ერთი თვის განმავლობაში წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის ოქტომბერსა და აპრილში. რეგისტრაციის თარიღი და პირობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. სქემაში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის ფორმაში მითითებული მონაცემები შეჰყავს მასწავლებელთა რეგისტრაციის მართვის საინფორმაციო სისტემაში.
5. სქემაში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ანგარიშვალდებულია ცენტრის წინაშე და საჭიროების შემთხვევაში აწვდის მას წერილობით ინფორმაციას სქემაში ჩართული მასწავლებლის შესახებ.

თავი III. მასწავლებლის პროფესიული განვითარების კატეგორიები და კრედიტები

მუხლი 5. მასწავლებლობის უფლების განახლება

მასწავლებლობის უფლების განახლებისა და კრედიტების დაგროვების გზებია:

- ა) სასერტიფიკაციო გამოცდა;
- ბ) კრედიტების დაგროვება.
- გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების კომპონენტების კომბინაცია.

მუხლი 6. სერტიფიცირებული მასწავლებლის კატეგორიები

1. სქემის მიხედვით განსაზღვრულია მასწავლებლის სამი კატეგორია:

- ა) სერტიფიცირებული მასწავლებელი,
 - ბ) პირველი კატეგორიის მასწავლებელი,
 - გ) უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ყველა კატეგორიის მასწავლებელი შესაძლებელია იყოს მენტორი.
 3. 8 წლის მანძილზე მასწავლებელს შეუძლია სქემაში ჩართულობის შედეგად მხოლოდ ერთი კატეგორიით დაწინაურება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია სერტიფიცირებულ, ღვაწლმოსილ და დამსახურებულ პედაგოგს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ვადაზე ადრე მიანიჭოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კატეგორია.
 4. კატეგორიის მინიჭება განისაზღვრება სქემით დადგენილი წესის შესაბამისად.
 5. სქემის მიხედვით მასწავლებლის თითოეული კატეგორიის მოსაპოვებლად საჭიროა შემდეგი რაოდენობის კრედიტების მოპოვება:
 - ა) სერტიფიცირებული მასწავლებელი – 21 კრედიტი,
 - ბ) პირველი კატეგორიის მასწავლებელი – 32 კრედიტი,
 - გ) უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი – 42 კრედიტი,
 6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემით განსაზღვრული კატეგორია მიანიჭოს ვადაზე ადრე ღვაწლმოსილ მასწავლებელს.

მუხლი 7. კრედიტების დაგროვების პროცედურა სქემაში მოცემული აქტივობების მიხედვით

1. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევისა და მასწავლებლობის უფლების მოპოვებისას მასწავლებელი იღებს 21 კრედიტს და მას ენიჭება სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი.
2. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თითოეული ნაწილი ფასდება 10,5-10,5 კრედიტით.
3. სერტიფიცირებული მასწავლებელი 32 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში იღებს პირველი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსს.
4. პირველი კატეგორიის მასწავლებელი 42 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში იღებს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსს.
5. მოპოვებული კატეგორიის შესაბამისად მასწავლებელმა უნდა დააგროვოს კატეგორიის შესაბამისი რაოდენობის კრედიტები.

6. მასწავლებლის თითოეული კატეგორიის კრედიტების მიღწევის შემდეგ კრედიტების ათვლა იწყება თავიდან.
7. კატეგორიისათვის საჭიროზე ნაკლები რაოდენობის კრედიტების დაგროვების შემთხვევაში მასწავლებელი კარგავს კატეგორიას და ჩამოქვეითდება ერთი კატეგორიით.
8. 21-ზე ნაკლები კრედიტების დაგროვების შემთხვევაში მასწავლებელი კარგავს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსს ან ჩააბარებს გამოცდის მხოლოდ ერთ ნაწილს – საგნობრივ გამოცდას.

თავი IV. მასწავლებლის სერტიფიკატის განახლების პროცედურა, კატეგორიის მინიჭებისა და ჩამორთმევის წესი, ვადები

მუხლი 8. პროცესის მონიტორინგი

1. ცენტრის მონიტორინგის მობილური ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულობის პროცესის მონიტორინგს;
2. მონიტორინგის ჯგუფის სამოქმედო გეგმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით;
3. მონიტორინგის მობილური ჯგუფი სქემაში ჩართული მასწავლებლების მონიტორინგს აწარმოებს შერჩევითობის პრინციპით.
4. მონიტორინგის მობილური ჯგუფი მოქმედებს ცენტრის დირექტორის დავალებით და მასწავლებელზე შემოსული ინფორმაციის საფუძველზე მონიტორინგის ჯგუფის გეგმაში შეაქვს ცვლილებები;
5. მონიტორინგის მობილური ჯგუფის ხელმძღვანელი, სამ თვეში ერთხელ, ცენტრს წარუდგენს გეგმის შესრულების ანგარიშსა და სქემაში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესის ანალიზს.
6. მონიტორინგის შედეგებზე მზადდება დასკვნა, რომელიც შეიცავს სქემაში ჩართული თითოეული მასწავლებლის საქმიანობის აღწერილობას, პროცესის ზოგად მიმოხილვასა და რეკომენდაციულ ნაწილს, რომელიც შეტანილ უნდა იქნას საინფორმაციო ბაზაში.
7. დასკვნის წარმოდგენის შემდეგ ცენტრის დირექტორი პროცესის გაუმჯობესების მიზნით იძლევა რეკომენდაციებს სქემაში ჩართული მასწავლებლებისთვის.

მუხლი 9. საიდენტიფიკაციო კომისია

1. საიდენტიფიკაციო კომისია მონიტორინგის ანგარიშის და პორტფოლიოს საფუძველზე აღიარებს და ანიჭებს

კრედიტებს და განსაზღვრავს მასწავლებლის კატეგორიას.

2. საიდენტიფიკაციო კომისია იკრიბება საჭიროების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით, მასწავლებლის პორტფოლიოს შუალედური და საბოლოო განხილვის მიზნით.

მუხლი 10. სქემაში ჩართული მასწავლებლის სერტიფიკატის განახლების, კატეგორიის მინიჭების და ჩამორთმევის ვადები

1. საიდენტიფიკაციო კომისიის მიერ მასწავლებლის პორტფოლიოს საბოლოო განხილვის შედეგად, მასწავლებლის სერტიფიკატის ვადის ამოწურვამდე სულ მცირე შვიდი თვით ადრე ცენტრი აცნობებს სქემაში ჩართულ მასწავლებელს მის მიერ მასწავლებლის სერტიფიკატის მიღებიდან შვიდი წლის განმავლობაში დაგროვილი კრედიტების რაოდენობის შესახებ.
2. სქემაში ჩართული მასწავლებლისთვის მასწავლებლის სერტიფიკატის განახლების, კატეგორიის მინიჭების და კატეგორიის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე ყოველი წლის სექტემბერში.

თავი V. აქტივობები და მათი შესაბამისი კრედიტები

მუხლი 11. აქტივობები და მათი შესაბამისი კრედიტები პროფესიული და კარიერული ზრდის საფეხურების გავლისათვის მასწავლებელმა 7 წლის განმავლობაში უნდა გაიაროს შემდეგი აქტივობებიდან მინიმუმ 7 სხვადასხვა აქტივობა:

- ა) სამინისტროსა და ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული ტრენინგი – 25 საათი/1 კრედიტი;
- ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამები – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითადი და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება – 25 საათი/0,5 კრედიტი;
- გ) ტრენინგ-პროგრამები აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების ან აკრედიტებული სხვა ქვეყნის შესაბამისი სამსახურების მიერ – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითადი და საგნობრივი

ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება – 25 საათი/0,5 კრედიტი;

- დ) სასკოლო ან მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორობა/თანაავტორობა – სახელმწიფოს მიერ გრიფირებული ან აკადემიური გამომცემლობის მიერ გამოცემული. სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორობა – 7 კრედიტი, სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორობა – 3 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების ავტორობა – 4 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების თანაავტორობა – 2 კრედიტი;
- ე) საგანმანათლებლო პროექტის ავტორობა – სწავლა-სწავლების საჭიროებიდან გამომდინარე (7 წლის მანძილზე სულ მცირე 1 პროექტი) – 1 კრედიტი;
- ვ) საგანმანათლებლო კონფერენციები, სემინარები – მომსხენებლად მონაწილეობის მიღება – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);
- ზ) საგანმანათლებლო კონფერენციები, სემინარები – მონაწილეობის მიღება – 0,5 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);
- თ) პროფესიული სტაჟირების გავლა – საგნობრივი კომპეტენციის, გამოცდილების შექმნა/გაზიარების მიზნით (ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ) – სულ მცირე 25 საათი - 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);
- ი) საგანმანათლებლო, პროფესიული, პედაგოგიური თემატიკის მქონე საგანმანათლებლო-პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებული აკადემიური სახის სტატია – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 სტატია) – 2 კრედიტი;
- კ) საგანმანათლებლო თემატიკასთან დაკავშირებული კვლევის ავტორობა – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 კვლევა) – 3 კრედიტი;
- ლ) მენტორ-მასწავლებლად მუშაობა – 1 კრედიტი წელიწადში;
- მ) მასწავლებლის მოსწავლეთა გამარჯვება მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებში – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 გამარჯვება, ინდივიდუალური/გუნდური) – 2 კრედიტი;
- ნ) მასწავლებლის მოსწავლეთა გამარჯვება მოსწავლეთა ეროვნულ ოლიმპიადებში – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 გამარჯვება, ინდივიდუალური/გუნდური) – 1 კრედიტი;
- ო) საგნობრივ კათედრაზე აქტივობები – სხვა საგნის მასწავლებელთან/მასწავლებლებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება (სულ მცირე 3 გაკვეთილი) – 1 კრედიტი, დამუშავებული თემის წარდგენა კათედრაზე, სემინარი/კონფერენცია – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინონ ვიდეორჩანაწერი);

- პ) პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით პრეზენტაციის მოწყობა (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 პრეზენტაცია) – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინონ ვიდეორჩანაწერი);
- ჟ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში – სასწავლო ელექტრონული რესურსების შექმნა და გამოყენება;
- ჟ^ა) მასწავლებელი ქმნის სასწავლო ციფრულ ობიექტებს (პრეზენტაცია, ცხრილი/შეფასების რუბრიკა, ბლოგი, მარტივი კონსტრუქტორით აწყობილი ობიექტები...) და იყენებს სასწავლო პროცესში.
- ჟ^ბ) მასწავლებელი ქმნის ელექტრონულ-პორტფოლიოს და ათავსებს ინტერნეტში.
- ჟ^გ) მასწავლებელი იყენებს ისტ-ს მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციისათვის – 2 კრედიტი;
- რ) სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ადეკვატური სასწავლო გეგმის, ჯგუფური და ინდივიდუალური საკლასო/სასკოლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება – 2 კრედიტი;
- ს) სამინისტროსა და ცენტრის ეგიდით განხორციელებულ ტრენინგებში ტრენერად მუშაობა – 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი სულ მცირე 25 საათი) – 2 კრედიტი;
- ტ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამებში ტრენერად მუშაობა – 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი სულ მცირე 25 საათი) – 1 კრედიტი.

თავი VI. გარდამავალი დებულება

მუხლი 12. 2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად სერტიფიცირებულ მასწავლებელთა სქემაში ჩართვა და კატეგორიები კრედიტები

1. 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად სერტიფიცირებული მასწავლებლების სქემაში ჩართვა მოხდება სქემის ამოქმედებიდან ცენტრის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში;
2. 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად სერტიფიცირებული მასწავლებლებისათვის თითოეული კატეგორიის მოსაპოვებლად საჭიროა შემდეგი რაოდენობის კრედიტების მოპოვება:
 - ა) სერტიფიცირებული მასწავლებელი – 21 კრედიტი;
 - ბ) პირველი კატეგორიის მასწავლებელი – 28 კრედიტი;
 - გ) უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი – 35 კრედიტი.



■ თამარ ლებანიძე

აქტიური და ბევრი მკითხველი ჰყავდეს.

თამარ ლებანიძე: უნდა არსებობდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვა – გრძელვადიანი პროგრამა, სადაც ყველა რგოლის ინტერესი იქნება გათვალისწინებული და გაიწერება კონკრეტული ღონისძიებების ნუსხა. დარწმუნებული ვარ, მოიძებნება უამრავი მოხალისე მშობელი, რომელიც ამ პროცესში ჩაერთვება. ასეთი პროექტების მონაწილეები არსებობს, ვგულისხმობ, არა მხოლოდ „დიოგენეს“, არამედ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წამოწყებებს. უკვე გვქონდა რამდენიმე შეხვედრა გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, რომელიც ამ პრობლემას იკვლევდა. განმეორებითი კვლევა ახლაც ტარდება და შედეგები მალე გვექნება. სახელმწიფომ უნდა ითავოს საბავშვო ლიტერატურის პრიორიტეტად გამოცხადება და ჩამოყალიბება. სკოლის გარდა, არსებობს უამრავი მუნიციპალური ბიბლიოთეკაც, რომლებიც ველარანაირ კრიტიკას ვერ უძლებენ. თანამედროვე ბიბლიოთეკები განვითარებულ ქვეყნებში ლოკალური კულტურის ცენტრებია. შესაძლოა ისინი საკლუბო მუშაობის პრინციპითაც მუშაობდნენ. ის, რასაც „მხატვრული კითხვის წრე“ ერქვა საბჭოთა პერიოდში, დღეს შესაძლოა ცოცხალ ორგანიზმად იქცეს, რაც შეცვლის ბავშვის დამოკიდებულებას წიგნის მიმართ და გააუმჯობესებს მის დიქციას, ფრაზის წყობას, ინტონაციებს. თუ სახელმწიფოს ერთიანი მიდგომა ექნება, ჩემი აზრით, ბევრი პრობლემა მოგვარდება.

სანდრო ასათიანი: ცნობილი ამბავია: რაც უფრო ბევრი



■ ვასილ გულეური

მკითხველია სახელმწიფოში, მით უფრო ნაკლები დამნაშავე ჰყავს მას. ბავშვისათვის წიგნის შეყვარება, ყველაფერთან ერთად, სახელმწიფოსათვის მომგებიანიც არის.

თამარ ლებანიძე: საინტერესო ფაქტია, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი წიგნიერებასა და სამოქალაქო ვალის აღსრულებას შორის. წიგნიერი ადამიანი ვალდებულებებს უფრო კარგად ასრულებს, მათ შორის, დადის არჩევნებზე.

სანდრო ასათიანი: ბავშვის წიგნიერების დონის ამაღლებასათვის აუცილებელია მშობლებთან მუშაობა. ისინი შვილებს წიგნებს ხმამაღლა უნდა უკითხავდნენ. ასეთი ბავშვები იოლად სწავლობენ დამოუკიდებლად კითხვას და უფრო გონებაგახსნილები არიან. მეორე კომპონენტი მასწავლებელია. მან უნდა იცოდეს, როგორ დააინტერესოს ლიტერატურით მოსწავლე. მესამე – წიგნიერების ცენტრი, თანამედროვე ბიბლიოთეკა. მაგალითად, შვედეთში ბიბლიოთეკა ის ადგილია, სადაც ბავშვი არა მხოლოდ კითხულობს, არამედ ერთობა. იქ უფროსი თაობა წინასწარ იკვლევს ბავშვების აზრს იმის შესახებ, თუ როგორი ბიბლიოთეკა სურთ, ჰქონდეთ.

ირაკლი კაკაბაძე: ფინეთში არსებობს შესანიშნავი ტრადიცია: ბავშვის დაბადებისას სახელმწიფოსაგან მშობლები სასაჩუქრე პაკეტს იღებენ, რომელშიც გარკვეულ თანხასა და საჩუქრებთან ერთად საბავშვო წიგნებიც შედის.

თეა კვინტრაძე: კარგია, სახელმწიფომ პრიორიტეტად ბავშვთა წიგნიერება რომ გამოაცხადოს. ამის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან

რატომ უნდა ველოდოთ აქტივობებს? ყველამ, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებმა, ჩვენ-ჩვენი კუთხით გავაძლიეროთ საქმიანობა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმაც გამოსცა სპეციალური ვიდეოგაკვეთილები და სახელმძღვანელო, რომელიც მასწავლებლებს გამოსაყენებელ მეთოდებს აცნობს.

ირაკლი კაკაბაძე: სკოლებმა პრეზიდენტისგან საჩუქრად ახალი სახელმძღვანელოები რომ მიიღეს, ამ ტიპის ხელშეწყობაზე საუბარი. ბიბლიოთეკის პრობლემა მართლაც მოსაგვარებელია სკოლებში. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვს თბილისში ამერიკულ აკადემიას: სკოლის ცენტრში საუკეთესო ოთახი ბიბლიოთეკას დაეთმო, ის იქცა შეხვედრების ადგილად, სადაც მოსწავლეები ერთად ამზადებენ დავალებებს, აყალიბებენ კლუბებს, აქვთ ინტერნეტში მუშაობის საშუალება. ბიბლიოთეკარი არა მხოლოდ წიგნების გამცემია, არამედ ადამიანი, რომელიც გარემოს უქმნის ბავშვებს. ასეთი ბიბლიოთეკა სკოლაში ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც, ადრე თუ გვიან, მათ აუცილებლად მიიზიდავს.

თამარ ლებანიძე: ჩემი ხედვა ასეთია: სახელმწიფო ჩვენ, ყველანი ვართ. არ მაქვს იმის განცდა, რომ კერძო ორგანიზაცია ყველასგან არის იზოლირებული. სწორედ იმიტომ ვსაუბრობთ საერთო პროგრამის არსებობაზე, რომ ამ პრობლემის მოგვარებას კოორდინაცია უკეთ გავუწიოთ. დარწმუნებული ვარ, არც ერთი ქვეყანა არ იტყვის უარს პროგრამის პრინციპების ჩამოყალიბებაზე, მხარდაჭერასა და გამოცდილების გაზიარებაზე. ამ შემთხვევაში, კერძო სექტორის ინიციატივები საკმარისი არ არის.

ვლადიმერ ვარდოსანიძე: მეც პედაგოგი ვარ – არქიტექტორ-ურბანისტი, ვასწავლი ტექნიკურ უნივერსიტეტში რამდენიმე საგანს, მათ შორის ურბანული განვითარების სოციოკულტურულ საფუძვლებს. სტუდენტების წიგნიერების დაბალი დონის გამო ხშირად მიჭირს აუდიტორიასთან ურთიერთობა.



■ ირმა მალაშიძე

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში ერთი წლის განმავლობაში მუშავდებოდა საგნობრივი პროექტი „მსოფლიო კულტურა“. ჩვენი მიზანი იყო, გვეჩვენებინა, რომ კულტურა გაცილებით ღრმა და მნიშვნელოვანი ცნებაა, ვიდრე ხელოვნება; კულტურა ყველაფერია, რაც კაცობრიობამ შექმნა, რაც გადაეცემა სხვა საზოგადოებასა და მომავალ თაობებს. ეს საგანი არჩევითია, 60-საათიანი, განკუთვნილი X, XI, XII კლასებისათვის. თუ მოსწავლე ამ საგანს დაეუფლება, მეტი ინტერესით წაიკითხავს ლიტერატურულ ნაწარმოებს, იოლად გაითავისებს ლიტერატურული გმირების აზრებს, მოტივაციებს. ეს საგანი წიგნიერების განვითარების ერთ-ერთი რესურსია.

2011 წელი ჩვენთვის საპილოტე იყო. ახალი საგანი 14 სკოლაში შევიტანეთ. საპილოტე მასალა სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს სპეციალისტებმა მოამზადეს. ამ საგნის საბოლოო მიზანი ახალგაზრდების სწორი სოციალიზაციაა.

აქ ბიბლიოთეკებზე იყო საუბარი. დავამატებდი, რომ საჯარო ბიბლიოთეკაში არაჩვეულებრივი გარემოა. შეიძლება ექსკურსიების მოწყობა. ახალგაზრდებმა

უნდა ნახონ ის რესურსი, რომელიც ინტერნეტში არაა.

ნატო ინგოროყვა: კიდევ ერთ პრობლემაზე მინდა, გავამახვილო ყურადღება: 10 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის მალაზიებში წიგნების არჩევანი დიდა, მაგრამ მოზარდებისთვის ლიტერატურის შექმნა თითქმის შეუძლებელია. არადა, ჩვენმა

საზრდო, რომელიც ბავშვს ამ ასაკში სჭირდება. გამომცემლები ვფიქრობთ, რომ წიგნები ჩვენ უნდა შევარჩიოთ. შეიძლება ამ ასაკისთვის ყველაზე მისაღები დიალოგის ფორმა იყოს...

ნატო ინგოროყვა: უნდა გვყავდეს წიგნის მოყვარული მასწავლებელი, რომელიც წიგნის მოყვარულ მკითხველს გაზრდის,



თაობამ სწორედ ამ ასაკში დაიწყო ე.წ. საჭირო წიგნების კითხვა.

თამარ ლებანიძე: უცხოეთში ბევრია ამ ასაკისთვის განკუთვნილი წიგნი, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სპეციფიკური თემატიკით გამოირჩევა. ისე კი, ყოველთვის მოიძებნება ამ ასაკის შესაფერისი, ხარისხიანი ლიტერატურა. გარდატეხის ასაკი ბავშვებისთვის ურთულესია: სამყარო უეცრად ფართოვდება და ბავშვი ბევრი კითხვის ნიშნის წინაშე დგება. ძნელია, მოერგო მოზარდის მოთხოვნილებებს. საქართველოში ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის, ფაქტობრივად, არ იქმნება არც ორიგინალური ლიტერატურა, არც ნათარგმნი გამოცემა. გვაქვს საყმაწვილო ენციკლოპედიები, მაგრამ ეს არ არის ის სულიერი

მაგრამ, დღეს, VIII კლასის მასწავლებელმა რომ გვკითხოს, რა შევთავაზო ბავშვებს წასაკითხადო, პასუხი ხომ უნდა გვქონდეს?

ირაკლი კაკაბაძე: სარეკომენდაციო წიგნების სიებზე რას იტყვი? მე მათ არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ისინი ჩვენთანაც არსებობს.

თამარ ლებანიძე: სარეკომენდაციო სიების მინუსი ის არის, რომ ისინი საზოგადოებაში არსებულ გამოცდილებას ეყრდნობა. საკუთარ წევრში ხარშვა კი ცუდია.

ნატო ინგოროყვა: მე, პირადად, წიგნს ვერაფერი ჩამინაცვლებს, მაგრამ ფაქტია, რომ ყველანი ინტერნეტ-სივრცეს მივჯაჭვეთ.

თეა კვინტრადე: მნიშვნელოვანია წიგნის ფორმაც და ისიც, თუ როგორი სახით მივაწვდით მას ბავშვებს. ჩვენი თაობა დაბეჭდილ წიგნზეა გაზრდილი, ახალი თაობა კი ელექტრონულ საშუალებებზეა მიჯაჭვული. მათ კომპიუტერთან ჯდომამ უფრო სიამოვნებით, ვიდრე წიგნის ხელში ალება. დაბეჭდილი და ელექტრონული წიგნები ერთმანეთს ხელს არ უშლის, პირიქით, ერთმანეთს ავსებს. ელექტრონული საშუალებების გამოყენება კარგად შეიძლება იმისათვის, რომ ბავშვს კითხვისადმი ინტერესი გაავსოვივით.

თამარ ლებანიძე: იმისათვის, რომ საქართველოში ელექტრონული წიგნი გავრცელდეს, ბევრი წინაპირობაა საჭირო. უნდა მოგვარდეს საავტორო უფლებების საკითხი, აგრეთვე, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული წიგნის ღირებულების საკითხი. ჩვენი საზოგადოების მსყიდველუნარიანობა დაბალია, თუმცა მიმაჩნია, რომ წიგნი არ არის ძვირი სიამოვნება. „წიგნი ძვირია“, – ეს სოციალურად მაგნე ფრაზაა, რომლითაც შეიძლება მშობელმა ან პედაგოგმა ბავშვს წიგნის მიმართ დისტანცია გაუზარდოს.

დისკუსია, რომელიც ცოცხლად უნდა გაიმართოს, ხშირად ვირტუალურ სივრცეში გადადის. ეს ცუდია, რადგან რეალური პრობლემები რეალობაში უნდა დადგეს. მეორეს მხრივ, ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის სურვილი და ზოგჯერ სხვა გზას ვერ პოულობს, პროგრესი კი მას ამ ფორმას სთავაზობს. უცხოეთში, მაგალითად, გერმანიაში წიგნები მაინც ცოცხლად განიხილება. ეს ტრადიცია ვითარდება და საზოგადოება მის შენარჩუნებას ცდილობს.

» ცნობილი ამბავია: რაც უფრო ბევრი მკითხველია სახელმწიფოში, მით უფრო ნაკლები დამნაშავე ჰყავს მას. ბავშვისათვის წიგნის შეყვარება, ყელაფერთან ერთად, სახელმწიფოსათვის მომგებიანია არის.



ვლადიმერ ვარდოლასანიძე



სანდრო ასათიანი

რადგან პრიორიტეტებზე ვლაპარაკობთ, მნიშვნელოვანია სოციალური ღირებულებების წინ წამოწევა. წიგნიერი ადამიანი პატივსაცემი ფიგურა უნდა იყოს საზოგადოებაში. ბავშვებისთვის ეს კარგი მაგალითი იქნება.

ნატო ინგოროყვა: გამოკითხული ქართველი მშობლების 42%-ი წიგნიერია, მაგრამ ბავშვები წიგნებს მაინც არ კითხულობენ. ამ შემთხვევაში, როგორ მოვიქცეთ?

ირაკლი კაკაბაძე: მიუხედავად ყველაფრისა, ბავშვებისათვის მაგალითი უნდა იყოს უფროსი თაობა – მშობელიც და მასწავლებელიც, განსაკუთრებით მოზარდობის ასაკში, როცა მათთვის ავტორიტეტები მნიშვნელოვანია.

ნატო ინგოროყვა: კარგი წამოწყება იყო, როცა ცნობილი ადამიანები მიდიოდნენ სკოლაში და ბავშვებს წიგნებს უკითხავდნენ, ეწყობოდა წიგნის დღეები. სკოლა თავად უნდა გამოთქვამდეს ამის სურვილს, იწვევდეს მწერლებსა და ცნობილ სახეებს. მანამდე კი მასწავლებელი მოსწავლეებს მათ შემოქმედებას ან საქმიანობას უნდა აცნობდეს.

გია მამულაშვილი: მასსოვს, ბავშვობაში მასწავლებლები წიგნების კითხვას გვაგაღებულულებდნენ და განსაკუთრებული პროტესტი გვიჩნდებოდა. მასწავლებელმა არ უნდა დააძალოს მოსწავლეს წიგნის კითხვა, ამის წინააღმდეგი ვარ. სხვა გზა უნდა მოვიძებნოთ. წიგნის კითხვა სასიამოვნო პროცესი უნდა იყოს, მაგრამ როგორ? აი, ამაზე გვმართებს დაფიქრება.

თამარ ლებანიძე: სამწუხაროდ, ხშირად მშობლები და მასწავლებლები წყვეტენ, რა უნდა წაიკითხოს ბავშვმა, მის პირად არჩევანს კი არ ითვალისწინებენ. რამდენჯერ შემიმჩნევია, ბავშვი წიგნით ინტერესდება, მშობელი კი მას ბარბერს უქმნის. უცხოეთის წიგნის მაღაზიებში ქვედა თაროები სწორედ მცირე ასაკის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი, რათა მათ თვითონ ნახონ და აირჩიონ სასურველი წიგნები.

გია მამულაშვილი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის როლი ბავშვთა წიგნიერების დონის ამაღლების პროცესში უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ტრენინგებს ვუტარებთ პედაგოგებს სხვადასხვა საგანში, უნარებში. ჩვენი ფუნქცია მასწავლებლებთან ურთიერთობა, მათ პროფესიულ ზრდაზე ზრუნვაა. ჩვენმა ცენტრმა, მომავალში, დიდი ადგილი უნდა დაუთმოს ბიბლიოთეკარებისა და პედაგოგების გადამზადებას. ის განწყობა, რომ სკოლაში ბიბლიოთეკარი მეორეხარისხოვანია და მასწავლებელი მთავარი ფიგურაა, უნდა შეიცვალოს. ამიტომ ამ კონტინგენტთან მუშაობა და კონკრეტული ქმედებების გაწერა აუცილებელია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უახლოეს მომავალში ამ საკითხებზე აუცილებლად იმუშავებს.



გადაუდებელი პრიორიტეტი: საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაუმჯობესება



მერაბ ლაბაძე

სწრაფმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა მაღალი დონის სპეციალისტებზე, რომელთაც, საგნის ღრმა ცოდნასთან ერთად, კომპლექსური ამოცანების შემოქმედებითად და ეფექტურად გადაწყვეტა შეუძლიათ. ტესტირების საერთაშორისო სისტემებმა და სხვადასხვა კვლევამ ცხადყო, რომ განვითარებული ქვეყნების მოსწავლეები მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში სტანდარტების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. ეს შემამოფრთხილებელი ტენდენცია ბევრი ქვეყნისათვის საერთოა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესის გაღვივება დაწყებითი კლასებიდან და საბავშვო ბაღიდანაც კი შეიძლება; ზოგი აქცენტს საშუალო საფეხურზე აკეთებს, როცა საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისადმი მოტივაციის გასაზრდელად ახლებური მეთოდების გამოყენებაა შესაძლებელი.

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსების, სიმულაციების, ვირტუალური ლაბორატორიების რაოდენობა განუწყვეტლად იზრდება. მასწავლებელს საშუალება ეძლევა, თავად შექმნას სასარგებლო რესურსი და ინტერნეტის საშუალებით კოლეგებს გააცნოს. კვლევებით დადგინდა, რომ სწორედ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაშია ელექტრონული რესურსების

გამოყენება ყველაზე ეფექტიანი. მართლაც, ხშირად ვირტუალურ ლაბორატორიაში ცდებისა თუ სხვა ბუნებრივი პროცესების სიმულაციით ამა თუ იმ რთული საკითხის ათვისება უფრო იოლად ხდება.

ინფორმაციული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის დივერსიფიცირების კარგ საშუალებას წარმოადგენს. ისტ-ი ხელს უწყობს: მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მონაცემთა მოპოვებას, ჩაწერას და ანალიზს; მათემატიკურ მოდელირებას; სამგანზომილებიანი სტრუქტურების ვიზუალიზაციას; ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩატარებას სათანადო აღჭურვილობის უქონლობის ან რისკის არსებობისას.


მასწავლებლებისთვის ცნობილია საბუნებისმეტყველო საგნებში გადამზადების შესაძლებლობები, რომელთაც მათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სთავაზობს.

საბუნებისმეტყველო საგნების, მათემატიკისა და ტექნოლოგიების სწავლების გასაუმჯობესებლად შედგენილი პროგრამები სხვა ქვეყნებშიც აქტიურად ხორციელდება. მათი გაცნობა საინტერესო იქნება როგორც მასწავლებელთათვის, ასევე განათლების სპეციალისტებისათვის.

აღნიშნული ინიციატივები შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებად დაიყოს.

სტრატეგიები

ზოგიერთ ქვეყანას შემუშავებული აქვს ეროვნული დონის სტრატეგიები მათემატიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწავლების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, ნორვეგიის სტრატეგია საბუნებისმეტყველო საგნებში კომპეტენციების გაზრდაზეა ორიენტირებული, საბავშვო ბაღიდან დაწყებული პროფესიული საქმიანობის ყველა ეტაპის ჩათვლით. ყურადღება მახვილდება განათლებაზე და პროფესიულ



სივრცის შორის კავშირების დამყარებაზე, მათ თანამშრომლობასა და დაახლოებაზე. მსგავსი სტრატეგიების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ამ დასკვნის გამოტანა: რაც უფრო მეტად არის კვალიფიცირებული მასწავლებელი, მით უფრო დიდ გავლენას ახდენს ის მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაზე.

ნიდერლანდების სტრატეგიული პროგრამა „დელტა“ ასევე ორიენტირებულია განათლების სამუშაო პროცესთან დაახლოებასა და მოსწავლის მომზადებაზე პროფესიული საქმიანობის დასაწყებად. არსებობს ეფექტიანი პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს სკოლებს, ინსტიტუტებს, ტრენინგ-ცენტრებს, უნივერსიტეტებსა და ბიზნეს-ორგანიზაციებს, წარმატებულად ითანამშრომლონ და მიაღწიონ საკუთარ მიზნებს საბუნებისმეტყველო საგნების სფეროში.

ირლანდიაში შეიმუშავეს პროგრამა „აღმოაჩინე მეცნიერება და ინჟინერია“ ახალგაზრდებში მეცნიერების მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად. იმისათვის, რომ მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში პროფესიული წინსვლის შესახებ ინფორმაცია მეტად ხელმისაწვდომი იყოს, რეგულარულად ხორციელდება სხვადასხვა პროგრამა.

იტალიაში, საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა კომპეტენციების გაზრდის მიზნით, აწყობენ კონკურსებს, რომელთა ფარგლებშიც, სკოლები თანამშრომლობენ უნივერსიტეტებთან, მუზეუმებთან და კვლევით ცენტრებთან. კონკურსების სამიზნე ჯგუფია დაწყებითი და საბაზო საფეხურების

მასწავლებლები და მოსწავლეები. ასეთი თანამშრომლობითი ინიციატივები საზოგადოებაშიც ზრდის ინტერესს სამეცნიერო თემატიკის მიმართ.

სამეცნიერო განათლების ცენტრები

ზოგიერთ ქვეყანაში, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური ცენტრები იქმნება. მაგალითად, შვედეთში 4 რესურს-ცენტრია იმ მასწავლებლებისთვის, რომელთა მიმართულებებიცაა: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ტექნოლოგია. რესურს-ცენტრებში ტარდება მასწავლებელთა ტრენინგები, იქმნება სხვადასხვა სახის სასწავლო მასალები, ეწყობა

ნური კვლევითი სწავლება მიმდინარეობს. მოსწავლეები ადგენენ ინოვაციური პროექტებს, ქმნიან კლუბებს, ატარებენ სემინარებს და ახორციელებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ აქტივობებს.

ბევრ ევროპულ ქვეყანაში, ზუსტი მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სწავლების მხარდასაჭერად, რესურს-ცენტრები რეგიონებშიც იქმნება. ასეთი ცენტრები ხშირად კარგად არის აღჭურვილი. ადგილობრივი ცენტრები საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მოსწავლეებსა და მათ ენთუზიასტ მასწავლებლებს, მიიღონ უფრო მეტი ცოდნა, შექმნან ახალი პროექტები,

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაშია ელექტრონული რესურსების გამოყენება ყველაზე ეფექტიანი. მართლაც, ხშირად ვირტუალურ ლაბორატორიაში ცდებისა თუ სხვა ბუნებრივი პროცესების სიმულაციით ამა თუ იმ რთული საკითხის ათვისება უფრო იოლად ხდება.


კონფერენციები და მუშავდება პედაგოგიური რესურსები.

შვეიცარიაში ტექნოლოგიების ფედერალურ ინსტიტუტთან შეიქმნა ცენტრი, რომლის მიზანია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მეთოდების, სასწავლო ობიექტების, პროგრამებისა და კურიკულუმის განვითარება, როგორც დაწყებით და საბაზო საფეხურზე, ასევე პროფესიულ სკოლებში.

ისრაელის სამეცნიერო სწავლების ცენტრებში, კერძოდ, 5 მრავალდარგობრივ ლაბორატორიაში მულტიდისციპლი-

ნული კონფერენციები და მუშავდება უახლეს მიღწევებს.

მეცნიერების ცენტრები და მუზეუმები პოლონეთში საკმაოდ პოპულარული გახდა. ახლახანს ვარშავაში ევროპაში ყველაზე დიდი ინტერაქტიული სამეცნიერო ცენტრი – „კოპერნიკი“ გაიხსნა. მისი მიზანია საზოგადოებაში მეცნიერების პოპულარიზაცია და საბუნებისმეტყველო პროფესიების მიმართ ინტერესის გაზრდა. ცენტრის ინტერაქტიული გალერეები საშუალებას აძლევს სტუმრებს, თავად მიიღონ მონაწილეობა



ექსპერიმენტებში, დაესწრონ პრეზენტაციებს, ეწვიონ პლანეტარიუმსა და აღმოჩენათა პარკს. პრაქტიკულ მეცნიერებასთან უშუალო და ხალისიანი კონტაქტი მოტივაციის გაზრდისა და არაფორმალური სწავლების საუკეთესო საშუალებაა.

საზოგადოებაში მეცნიერების პოპულარიზაციის ცენტრები რამდენიმე ქვეყანაში არსებობს. სწორედ ამ მისიით შეიქმნა პორტუგალიაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური კულტურის ეროვნული სააგენტო. მისი ამოცანა სამეცნიერო ლაბორატორიებში საბაზო საფეხურის მოსწავლეთა სამუშაო პრაქტიკების ორგანიზება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კვირეულის მოწყობა და ისეთი ინიციატივების მხარდაჭერაა, რომლებიც საზოგადოების ინფორმირებულობას ზრდის. სააგენტოს ასევე აქვს სასკოლო პროგრამაც, რომლის მიზანაც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაუმჯობესებაა. ის ეხმარება სკოლებს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებაში.

მეცნიერების კვირეულები ბევრ ქვეყანაშია პოპულარული. ირლანდიაში სამეცნიერო ფესტივალი მოიცავს სამეცნიერო პროექტების კონკურსს, სამეცნიერო გამოსვლების ციკლს, უნივერსიტეტების ლაბორატორიების დათვალიერებასა და ა.შ. ირლანდიის ფესტივალი მოსწავლეებს მეცნიერებისადმი ინტერესს უღვივებს და საშუალებას აძლევს მათ, წარმოადგინონ საკუთარი აღმოჩენები.

რამდენიმე საინტერესო პროგრამა საქართველოშიც ხორციელდება. განახლდა საგნობრივი ოლიმპიადები, ჩატარდა მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი „ლეონდარდო და ვინჩი“,

რომელმაც ნიჭიერ ახალგაზრდებს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისა და ინოვაციური მიდგომების გამოვლენის საშუალება მისცა.

სასწავლო გეგმები

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა კურიკულუმის რეფორმირება.

თურქეთში, სადაც, საქართველოს მსგავსად, მოსწავლეებს დიდი რაოდენობით

სწავლებაში კვლევითი პროექტის მეთოდების გამოყენებას განსაკუთრებული ყურადღება სხვა ქვეყნებშიც ექცევა. ფინეთში, სადაც მოსწავლეები სტაბილურად იღებენ უმაღლეს შეფასებებს საერთაშორისო ტესტებში, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

საფრანგეთში, საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისადმი მოტივაციის ასამაღლებლად, ხდება მოსწავლე-



გადაეცათ პირადი ნეთუქები და სხვა მობილური მოწყობილობები, შეიქმნა კონსტრუქტივისტულ-საგანმანათლებლო თეორიებზე დაფუძნებული სპეციალური სასწავლო გეგმა. მისი მიზანი, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაუმჯობესებაა.

ირლანდიაში განახლდა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება დაწყებით საფეხურზე. შემოიღეს დამატებითი ქულების სისტემა სამეცნიერო პროექტის განხორციელებისათვის, დაინერგა კვლევაზე დაფუძნებული მიდგომა მათემატიკის სწავლებაში.

ების წახალისება, რათა მათ თავად განავითარონ ჰიპოთეზები და ჩაატარონ ექსპერიმენტები. მოსწავლეებს მასწავლებლები მითითებებს აძლევენ, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში მეცნიერების, მათემატიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების მაგალითები მოზარდებმა დამოუკიდებლად უნდა იპოვონ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მასწავლებელთა გადამზადებაც.

ესტონეთში ახალი სასწავლო გეგმა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას. გაკვეთილები საბუნებისმეტყველო საგნებში მცირე ჯგუფებში

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ზუსტ მეცნიერებებთან დაკავშირებულ პროფესიებზე იფიქრონ, მათ უნდა იცოდნენ, თუ რას წარმოადგენს კარიერა თანამედროვე მეცნიერებასა თუ ტექნოლოგიაში.

ტარდება, რაც გულისხმობს მეტი დროისა და რესურსების გამოყოფას პრაქტიკული აქტივობებისათვის, კვლევითი პროექტებისათვის, სკოლის გარეთ სწავლებისათვის და ა.შ.

მასწავლებელთა გადამზადება

ბოლო დროს სულ უფრო მეტად ხორციელდება დისტანციური სწავლების პროგრამები მასწავლებელთა გადასამზადებლად საბუნებისმეტყველო საგნებსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში.

ჩვენთვის შექმნილია სპეციალური პორტალი, რომელიც მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას უწევს მასწავლებლებს სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. შემოთავაზებული ტრენინგები და რესურსები პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის არის განკუთვნილი. მათ შორისაა სასწავლო ვიკიპედია, ციფრული სასწავლო ობიექტები, ციფრული პორტფოლიოები. აღნიშნული პორტალით ჩვენ მასწავლებელთა 28% სარგებლობს.

ირლანდიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გადამზადებას. განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა ეროვნული გაერთიანების მხარდაჭერით, პროგრამის „აღმოაჩინე მეცნიერება“ ფარგლებში, მასწავლებლებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში, გამოიყენონ ელექტრონული რესურსები და საჭირო ხელსაწყოები.

იტალიაში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მუზეუმებთან თანამშრომლობით, განხორციელდა მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა ექსპერიმენტული მეცნიერების სფეროში.

შვედეთში საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა ინტენსიური გადამზადება მასწავლებელთა მხარდაჭე-

რის ფართომასშტაბიანი პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. პროგრამა სთავაზობს მასწავლებლებს, აირჩიონ სასურველი კურსი საუნივერსიტეტო დონის 200 კურსიდან, როგორც საგნის თეორიაში, ასევე საგანმანათლებლო პედაგოგიაში. ის აგრეთვე სთავაზობს მათ უნივერსიტეტებში გადამზადებას, დისტანციური სწავლების პროგრამებს, მოკლევადიან კურსებს სამუშაოსთან შეთავსებით და ა.შ.

ბოლო პერიოდის კვლევები მოწმობს, რომ მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივება დაწყებით კლასებში უნდა ხდებოდეს. ამდენად, აუცილებელია, დაწყებითის მასწავლებლები კარგად იცნობდნენ როგორც მეცნიერების მიღწევებს, ასევე იმ პედაგოგიურ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადრეულ ეტაპზე მოსწავლეებში ზუსტი მეცნიერებისადმი ინტერესის გაჩენას.

მოსწავლეებში ზუსტი მეცნიერებებთან დაკავშირებული პროფესიების პოპულარიზაცია

სკოლიდან სამუშაო პრაქტიკაზე გადასვლა მნიშვნელოვანი ნაბიჯია. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ზუსტი მეცნიერებებთან დაკავშირებულ პროფესიებზე იფიქრონ, მათ უნდა იცოდნენ, თუ რას წარმოადგენს კარიერა თანამედროვე მეცნიერებასა თუ ტექნოლოგიაში. ზოგადად, გავრცელებულია ორი მიდგომა: პირველის მიხედვით, პროფესიონალები ან უნივერსიტეტების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სტუდენტები სკოლებს სტუმრობენ და მასწავლებლებთან თუ მოსწავლეებთან მუშაობენ. მეორე შემთხვევაში, მასწავლებლები და მოსწავლეები თავად ეცნობიან რეალურ სამუშაო ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერებებთან.

ესტონეთში პოპულარობა მოიპოვა ეროვნულმა ინიციატივამ – სამეცნიერო ავტობუსის ტურებმა სკოლებში. უნივერსიტეტების სტუდენტები სკოლებში სამეცნიერო აქტივობებს ატარებენ და დისკუსიებს აწყობენ. ინიციატივის მიზანია, გაზარდოს მოსწავლეთა ინტერესი და ინფორმირებულობა ტექნიკურ და ზუსტი მეცნიერებებთან დაკავშირებული პროფესიების მიმართ. გარდა ამისა, განათლების სამინისტროსა და ესტონეთის ფიზიკის საზოგადოების მხარდაჭერით, სპეციალისტების ჯგუფები აწყობენ ყოველთვიურ სამეცნიერო შეხვედრებს და ატარებენ კურსებს რეგიონულ ცენტრებში. სემინარებზე დასწრება ყველა მოსწავლეს შეუძლია.

მოსწავლეთა ინფორმირებულობის გაზრდას ემსახურება შვეიცარული ინტერნეტ-პორტალი „უბრალოდ, მეცნიერება“. ის განკუთვნილია 12-16 წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის და ონლაინ-პლატფორმის საშუალებით სთავაზობს მათ დახმარებას მეცნიერებასთან დაკავშირებული პროფესიების დაგეგმვაში.

ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბუნებისმეტყველო სფეროსთან დაკავშირებული პროფესიებისადმი გოგონების ინტერესის გაზრდას, რადგან, კვლევების თანახმად, გოგონებში ასეთი პროფესიები სულ უფრო ნაკლები პოპულარობით სარგებლობს.

ზემოთ აღნიშნული ინიციატივები თუ პროგრამები ჯერ კიდევ აქტიური განხილვისა ფაზაშია. თუმცა, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში, მათი განხორციელება ბევრი ქვეყნის განათლების სისტემისათვის გადაუდებელ პრიორიტეტს წარმოადგენს.



სოციალური უთანასწორობა და განათლება



ანა ჯანელიძე

დიდი ხანია, რაც სოციალური სტრატეგიკაცია განათლების მკვლევართა ინტერესს წარმოადგენს. განათლების სისტემა შესაძლოა, ერთი მხრივ, ხელს უწყობდეს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას, მეორე მხრივ კი, თავად წარმოადგენდეს იმ ინსტიტუციას, რომელიც უთანასწორობის შემცირებას განაპირობებს. ამრიგად, მეტად საინტერესოა, რა როლს თამაშობს სხვადასხვა განათლების სისტემა სხვადასხვა გარემოში არსებულ სოციალურ უთანასწორობასთან მიმართებაში.

განათლების სფეროში უთანასწორობა შესაძლოა არსებობდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის თუ სხვა საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, კვლევის საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორ ხდება განათლების სისტემის მიერ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის წარმომადგენელთა სტრატეგიცირება და მათთვის განათლების მიღების პირობების უზრუნველყოფა. საგულისხმოა, რომ განათლების სფეროში არსებულ უთანასწორობას შესაძლოა თავად განათლების სისტემა კი არ განაპირობებდეს, არამედ ზოგადად არსებული სოციალური უთანასწორობა, ხოლო განათლების სისტემა „აღრმავებდეს“ განსხვავებას სხვადასხვა ჯგუფს შორის: მდიდრებსა და ღარიბებს შორის, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის და ა.შ.

მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ბავშვები შედარებით მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან, საშუალოდ, უკეთ სწავლობენ, ვიდრე ბავშვები შედარებით დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან. სხვადასხვა მკვლევარი აღნიშნულ განსხვავებას სხვადასხვა ფაქტორით ხსნის, რომლებიც ორ მსხვილ კატეგორიად ჯგუფდება: შინ არსებული გარემო და სკოლაში არსებული გარემო.

შინ არსებული გარემო, როგორც განათლებაში უთანასწორობის ხელშემწყობი ფაქტორი

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განათლების მიღება უფასოა, მშობლებს მაინც მნიშვნელოვანი თანხის გაღება უწევთ, რათა შეიღებოს განათლება უზრუნველყონ.

ცხადია, მხოლოდ სკოლაში სიარულით ბავშვი სრულყოფილ, მრავალმხრივ განათლებას ვერ მიიღებს. სახელმძღვანელოების, სხვადასხვა საგნისთვის საჭირო სასწავლო მასალების შეძენა შესაძლოა მნიშვნელოვან ტვირთად იქცეს შედარებით ღარიბი ოჯახებისათვის. ამასთანავე, საშუალო და მდიდარი ფენების წარმომადგენლებს მეტი ფინანსური რესურსი აქვთ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ბავშვის ისეთ აქტივობებში ჩართვა, რომლებიც ხელს უწყობს, ზოგადად, განათლებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ცნობისმოყვარეობის გაღვივებას და ა.შ. (ექსკურსიებში მონაწილეობა, კლასგარეშე საკითხავი წიგნების შეძენა და ა.შ.) ცხადია, ეს ყველაფერი ღარიბი ოჯახებისათვის ფუფუნებაა, მაშინ, როცა

შესაძლოა, ბავშვი სათანადოდ არ იკვებებოდეს და ამის გამო სწავლაზე კონცენტრირება უჭირდეს.

საცხოვრებელი პირობებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას

საშუალო და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებს მეტი შესაძლებლობა აქვთ, „კულტურული კაპიტალი“ დააგროვონ, რაშიც იგულისხმება:

ლებებს შორის განსხვავებას. საშუალო და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახები მეტად ამხვილებენ ყურადღებას განათლების მნიშვნელობაზე – იმაზე, თუ რა როლს




ახდენს განათლების მიღების პროცესზე. შედარებით მდიდარ ოჯახში მეტი შესაძლებლობაა იმისათვის, რომ მეცადინეობისას ბავშვს მშვიდი გარემო ჰქონდეს. შედარებით ღარიბ ოჯახში კი შესაძლოა, არასაკმარისი ფართი, არაჯანსაღი საცხოვრებელი პირობები არა მხოლოდ ხელს უშლიდეს ბავშვს მეცადინეობაში, არამედ იწვევდეს მის ხშირ ავადმყოფობას და ამის გამო სკოლის ხშირად გაცდენას.

- ❖ წიგნების სიმრავლე ოჯახში;
- ❖ საგანმანათლებლო სათამაშოები;
- ❖ კომპიუტერი და სხვა ტექნოლოგიები;
- ❖ ვიზიტები მუზეუმებსა და გალერეებში;
- ❖ განათლებული წევრები ოჯახში და ა.შ.

ეს ყველაფერი დიდწილად უკავშირდება ფინანსურ რესურსებს, თუმცა ერთგვარად ასახავს კიდევ ღირებუ-

ითამაშებს ის მომავალში უკეთესი სამუშაო ადგილის შოვნასა და ფინანსური უზრუნველყოფის მიღწევაში. კვლევები ადასტურებს, რომ შედარებით დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებში მშობლები სხვადასხვა მიზეზის გამო (დროის სიმცირე, განათლების მნიშვნელობის არასათანადოდ გაცნობიერება და ა.შ.) ნაკლებად არიან ჩართული ბავშვის სასკოლო ცხოვრე-



მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალურად მიდგომა, მაღალი მოლოდინების შენარჩუნება და მათი წახალისება. მასწავლებელს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სკოლაში ისეთი კულტურის ჩამოყალიბებაში, რომელიც თანაბრად შეუწყობს ხელს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ბავშვთა განათლებას.



ბაში, შესაბამისად, ნაკლებ ინფორმირებულნი არიან, უფრო იშვიათად სარგებლობენ სკოლაში არსებული რესურსებით და ა.შ.

სკოლაში არსებული გარემო, როგორც განათლებაში უთანასწორობის ხელშემწყობი ფაქტორი

მკვლევართა ნაწილი უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სკოლაში არსებულ გარემოს, როგორც ძირითად ფაქტორს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეთა განსხვავებული მიღწევების ასახსნელად.

სტერეოტიპული დამოკიდებულება

მასწავლებლებს სწავლის პროცესში ბუნებრივად უყალიბდებათ გარკვეული დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ. სამწუხაროდ, კვლევები ცხადყოფს, რომ

„ცუდი მოსწავლის“ იარლიყს უფრო ხშირად შედარებით დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეებს ანიჭებენ. დევიანტური ქცევა, რაც, თავისთავად, შესაძლოა ასეთ სტატუსს უკავშირდებოდეს, მასწავლებლებს ხშირად აფიქრებინებს, რომ ბავშვი ცუდი მოსწავლეა, ნაკლებად ნიჭიერია, რაც შესაძლოა რეალობას საერთოდ არ შეესაბამებოდეს.

მასწავლებლის მოლოდინები თითოეულ მოსწავლესთან მიმართებაში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსწავლის წარმატებაზე. ხშირად მასწავლებელი მეტ დროსა და ყურადღებას უთმობს მას, ვისაც „კარგ“, „ნიჭიერ“ მოსწავლედ მიიჩნევს. ისინი კი, რომელთა წარუმატებლობაზეც მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს, ხშირ შემთხვევაში, სწავლის შედეგის გაუმჯობესების ნაცვლად, საკუთარი თავის

რწმენასა და სწავლის სურვილს კარგავენ. ასე რომ, განათლების სფეროში სოციალური უთანასწორობის გამწვავების ხელშემწყობი კიდევ ერთი მიზეზი შესაძლოა მასწავლებლების დამოკიდებულება იყოს.

სუსტი და ძლიერი ჯგუფები

კვლევები ადასტურებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სკოლაში ბავშვებს, აკადემიური მოსწრების მიხედვით, „სუსტ“ და „ძლიერ“ ჯგუფებში ანაწილებენ, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეები უფრო ხშირად „სუსტ“ ჯგუფებში ხვდებიან, ხოლო საშუალო და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეები – „ძლიერ“ ჯგუფებში. სუსტ ჯგუფებში, სადაც მოსწავლეთა მიმართ მოლოდინი ნაკლებია, ხშირ შემთხვევაში, ბავშვები სწავლის მიმართ

ნაკლებ ინტერესს იჩენენ და მათ შედარებით დაბალი თვითშეფასება უყალიბდებათ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც სკოლაში არსებული გარემო ხელს უწყობს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეთა შორის არსებული უთანასწორობის გაღრმავებას. ამ დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი, რომელსაც შეუძლია პოზიტიური დამოკიდებულებისა და მოსწავლეთა მიმართ მაღალი მოლოდინების საშუალებით მეტ-ნაკლებად შეამსუბუქოს

დაძლევის ეფექტურ გზად მიიჩნევა. მაშინ, როდესაც საწყისი „კულტურული კაპიტალი“ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებში განსხვავებულია, უფასო, საყოველთაო განათლება ამ განსხვავების შემცირების საშუალებას იძლევა. უკეთესი ზოგადი განათლების მიღების გზით, შედარებით დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოზარდს შესაძლებლობა ეძლევა, განაგრძოს სწავლა და დასაქმდეს შედარებით მაღალანაზღაურებად სამსა-

როგორ შეიძლება განათლებამ შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი სოციალური უთანასწორობის დაძლევის პროცესში?

ცხადია, ამ მხრივ უნივერსალური მიდგომა არ არსებობს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა, სხვადასხვა დონეზე – სახელმწიფო პოლიტიკის, სკოლის, თემის, ოჯახის დონეებზე – სხვადასხვა სტრატეგია გამოიყენებოდეს. განსაკუთრებით საგულისხმოა სკოლისა და მასწავლებლის როლი. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი აცნობიერებდეს, რომ თითოეულ მოსწავლეს სწავლისა და შემეცნების უნიკალური უნარი აქვს და ის ნაკლებად უკავშირდება მის წარმომავლობას, მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს ისე, რომ მან თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოიყენება შეძლოს. ამრიგად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალურად მიდგომა, მაღალი მოლოდინების შენარჩუნება და მათი წახალისება. ამასთანავე, მასწავლებელს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სკოლაში ისეთი კულტურის ჩამოყალიბებაში, რომელიც თანაბრად შეუწყობს ხელს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ბავშვთა განათლებას.



აღნიშნული უარყოფითი ეფექტი.

განათლება, როგორც უთანასწორობის დაძლევის გზა

მიუხედავად აღნიშნული ფაქტორებისა, განათლება სოციალური უთანასწორობის

ხურში, რაც მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ნიშნავს. მიუხედავად ამისა, საქართველოში, ისევე როგორც ბევრ განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყანაში, განათლების ეს „კეთილშობილური“ ფუნქცია განუხორციელებელი რჩება.



პრეზენტაცია, როგორც სწავლების ეფექტური ფორმა



მანანა რატიანი

რამდენიმე წელია, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო პროცესისადმი წაყენებული მოთხოვნები შეიცვალა. მთავარი გახდა პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლება, რომლის ცენტრშიც მოსწავლე დგას. თითოეული საგნისა და მთლიანად სკოლის ამოცანაა, მოსწავლემ იმ მიზნების მიღწევა შეძლოს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტშია გაწერილი. სკოლამ საზოგადოების მომავალ წევრებს უნდა განუფითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, რაც არა მხოლოდ წერას, კითხვას, მოსმენასა და მეტყველებას გულისხმობს, არამედ საკუთარი ნააზრევის, კვლევის პრეზენტაციასაც. ეს უკანასკნელი მეტად მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევაა.

საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსწავლეებს მუდმივად უნდა უწევდეთ მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი კვლევების წარდგენა კლასის წინაშე. კარგია, როდესაც მოსწავლე ფლობს პრეზენტაციის წარმოების უნარს. ეს არა მხოლოდ სკოლაში მაღალი შეფასების წინაპირობაა, არამედ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის ფორმაც.

თითოეული საგნისა და მთლიანად სკოლის ამოცანაა, მოსწავლემ იმ მიზნების მიღწევა შეძლოს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტშია გაწერილი.

ამ სტატიის მიზანია, პრეზენტაციასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხები მოგაწოდოთ, რათა სწორად გამოიყენოთ იგი სასწავლო პროცესში.

1. რა არის პრეზენტაცია?

პრეზენტაცია ლათინური სიტყვაა და წარდგენას ნიშნავს. ეს არის რაიმე საკითხის აუდიტორიის წინაშე საჯაროდ წარდგენის პროცესი. ამ შემთხვევაში, პრეზენტაციის მიზანია, მოსწავლემ თანაკლასელებს გააცნოს თავისი საქმიანობის, კვლევის შედეგები.

2. რა სარგებლობა მოაქვს პრეზენტაციას?

სკოლაში მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს, მოსწავლეებს განუფითაროს ეს უნარ-ჩვევა სასწავლო წლის მანძილზე. თუ სხვადასხვა საგანში პრეზენტაციები სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდება (რაც გულისხმობს კვლევის შედეგების აუდიტორიის წინაშე წარდგენას), მოზარდები ბევრად უფრო მომზადებულები შეხვდებიან ცხოვრების გამოწვევებს. ამავდროულად სასწავლო პროცესი ბევრად საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება.

3. რა შემთხვევაში ვატარებთ პრეზენტაციას?

პრეზენტაციას ვატარებთ, როდესაც მოსწავლეები შემოქმედებით ან კვლევით ნამუშევარს ასრულებენ და საჭიროა შედეგების გაცნობა მთელი კლასისთვის. მოსწავლის ნამუშევარი შეიძლება იყოს:

- პროექტი;
- კვლევა (მ.შ. გამოკითხვა);
- თემის შეჯამება;
- საკუთარი შემოქმედება;
- ახალი დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და გაცნობა.

4. როგორია ეფექტური პრეზენტაცია?

სასურველია, მოსწავლეების მიერ გაკეთებული პრეზენტაცია იყოს მოკლე (არაუმეტეს 10-15 წუთისა). სხვადასხვა თვალსაჩინოების გამოყენების გარდა, აუცილებელია, მომხსენებელმა გაითვალისწინოს არავერბალური კომუნიკაციის ისეთი ელემენტები, როგორცაა ხმის ტემპრი, სხეულის ენა/ჟესტიკულაცია. მოსწავლეებს ამის შესახებ ინფორმაცია სწორედ მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს. პედაგოგმა უნდა აუხსნას მათ, თუ როგორ უნდა მოემზადონ პრეზენტაციისთვის.

5. როგორ უნდა მომზადდეს პრეზენტაცია?

იმისათვის, რომ პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიაროს, საჭიროა აუდიტორიის შესწავლა, შესავლის, მოხსენების ძირითადი ნაწილის და დასკვნის დაგეგმვა, სადემონსტრაციო თვალსაჩინოებების შერჩევა. ამის შემდეგ უშუალოდ მოხსენება იწერება. მოსწავლე უნდა მოემზადოს შესაძლო შეკითხვებზე პასუხის გასაცემადაც.


თუ პრეზენტაცია აუდიტორიისთვის გასაგებად არ იქნება წარმართული, მისდამი ინტერესი გაქრება. ასევე კარგად უნდა იყოს დაგეგმილი გამოსვლის დრო. რაც უფრო მცირეა დრო, მით უფრო რთულია ყველა ძირითადი იდეის წარმოჩენა. მოხსენების მომზადებისას გასათვალისწინებელია, რომ, საშუალოდ, მომხსენებელი 100 სიტყვას ამბობს წუთში, აუდიტორიის ინტერესს კი გამოსვლის პირველი წუთები განაპირობებს. თემა არ უნდა იყოს მშრალი და მხოლოდ თეორიულ მასალებზე დაფუძნებული. ის უნდა შეივსოს საინტერესო მაგალითებით. სწორედ საინტერესო მაგალითები იძლევა იმის საშუალებას, რომ აუდიტორიამ თემა უკეთ დაიმახსოვროს.

ძირითადი იდეების რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს (საშუალოდ, სამამდე), რადგან ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა აუდიტორიის ყურადღების გაფანტვას იწვევს. ისევე, როგორც პრეზენტაციის დასაწყისი, გამოსვლის დასასრულიც მნიშვნელოვანია.

სჯობს, დასასრული იყოს პოზიტიური, ან მთავრდებოდეს შეკითხვით. ამით მომხსენებელი აუდიტორიას საფიქრალს უტოვებს და განხილულ საკითხთან აბრუნებს.

შესაძლებელია, აუდიტორიას საშუალება მიეცეს, კითხვები პრეზენტაციის მსვლელობისასაც დასვას. ასეთ დროს გამოსვლის რეგლამენტი მატულობს. თუმცა, ამ შემთხვევაში, ფორმატის დაცვა რთულდება და ხშირია საკითხიდან გადახვევა. ამიტომ, სჯობს, მოსწავლეებმა ჩაინიშნონ კითხვები და ისინი გამოსვლის დასრულებისას დასვან.

თვალსაჩინოებები გამომსვლელის პოზიციის ერთგვარი დადასტურებაა და ძირითად იდეებზე ყურადღების გამახვილებას უწყობს ხელს. ისინი დამწყებ პრეზენტატორს ეხმარება საკუთარი ფიგურიდან აუდიტორიის ყურადღების გადატანაში.



თვალსაჩინოება შეიძლება იყოს ორი ტიპის: ტექსტური და გრაფიკული. ისინი მოხსენების მნიშვნელოვან დანამატს წარმოადგენს.

* ტექსტურში წარმოჩენილი უნდა იყოს მთავარი დებულებები/პოსტულატები, რაც აუდიტორიის მხედველობითი მეხსიერების გამოყენების საშუალებას

იძლევა და მას ადვილად ამახსოვრებინებს საკითხს. დებულება/პოსტულატი უნდა ეწეროს გარკვევით, დიდი შრიფტით და არ უნდა აღემატებოდეს 4-5 ხაზს.

* გრაფიკული შეიძლება იყოს სქემა, დიაგრამა, ცხრილი, რუკა, ფოტო, ნახატი. აუცილებელია, ილუსტრაცია თემატურად ასახავდეს საკითხს/საკითხებს, ავსებდეს გამოსვლას. მიუღებელია ძნელად აღქმადი თვალსაჩინოების წარდგენა. თუნდაც ბოლო რიგში მჯდომმა უნდა მოახერხოს წარმოდგენილის დანახვა.

პრეზენტატორმა უნდა მოამზადოს ოთახი და გაარკვიოს, თუ რა დასჭირდება ილუსტრაციების გამოსაკრავად.



სკოლამ საზოგადოების მომავალ წევრებს უნდა განუფითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, რაც არა მხოლოდ წერას, კითხვას, მოსმენასა და მეტყველებას გულისხმობს, არამედ საკუთარი ნააზრების, კვლევის პრეზენტაციასაც.



წარმატებული გამოსვლისთვის საჭიროა აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება. გამოსვლისას გასათვალისწინებელია ხმის ტემბრი, რაც აუდიტორიის ზომიერად დამოკიდებული. დგომა, შესტები უნდა იყოს ბუნებრივი. მეტყველება უნდა იყოს გამართული და მშვიდი, წინადადებები – მარტივი. მოსწავლემ თავი უნდა აარიდოს თემიდან თემაზე გადახტომას, რაც აუდიტორიას ხელს შეუშლის საკითხზე კონცენტრირებაში.

6. როგორ უნდა შეფასდეს პრეზენტაცია?

არანაკლებ მნიშვნელოვანია პრეზენტაციის სწორად შეფასება, ისეთი კომენტარების გაცემა, რაც მოსწავლეებს მომავალში პრეზენტაციის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. ამისათვის მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეადგინოს პრეზენტაციის შესაფასებელი კრიტერიუმები. სასურველია, ეს კრიტერიუმები მოსწავლეებთან ერთად იყოს შედგენილი. სჯობს, მათ წინასწარ იცოდნენ,

თუ რას მიექცევა მეტი ყურადღება, რის გამო შეიძლება მიიღონ არასასურველი ქულა.

გთავაზობთ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებს, თუმცა, აუდიტორიიდან გამომდინარე, მასწავლებელს ამ კრიტერიუმების მოდიფიცირება შეიძლება დასჭირდეს:

- რამდენად საინტერესო იყო შესავალი ნაწილი?
- რამდენად გამოკვეთილად იყო ჩამოყალიბებული თეზისი?
- რამდენად დამაჯერებელი იყო არგუმენტაცია?
- რამდენად გამყარებული იყო მსჯელობა კონკრეტული მაგალითებითა და ფაქტებით?
- რამდენად შემაჯამებელი იყო პრეზენტაციის დასკვნითი ნაწილი?
- რამდენად საინტერესო და ორიგინალური იყო საპრეზენტაციო თემა?
- რამდენად დაცული იყო მსჯელობის ნაწილებს შორის წონასწორობა?
- რამდენად მიიპყრო პრეზენტატორმა აუდიტორიის ყურადღება?
- რამდენად შესძლო პრეზენტატორმა აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება პრეზენტაციის ბოლომდე?
- რამდენად მოზომილი და მიზნობრივი იყო პრეზენტატორის შესტიკულაცია და მანერები?
- რამდენად დაძლია პრეზენტატორმა ნერვიულობის ფონი?
- რამდენად თამამად და დამაჯერებლად გასცა მან მსმენელების მიერ დასმულ კითხვებს პასუხი?
- რამდენად დაიცვა პრეზენტატორმა საპრეზენტაციო რეგლამენტი?
- რამდენად იყო პრეზენტატორი მომზადებული ზეპირი მეტყველებისათვის, მიეჯაჭვა თუ არა იგი ბარათებს, ფურცლებს, მასალას?
- რამდენად იყენებდა პრეზენტატორი თვალსაჩინოებებს?

მასწავლებელმა თითოეული კრიტერიუმის გასწვრივ შესაბამისი ნიშანი უნდა დაწეროს. ამის შემდეგ ქულები ჯამდება და გამოითვ-

ლება საშუალო არითმეტიკული. შესაძლებელია, მასწავლებელმა არ გამოიყენოს ყველა კრიტერიუმი და შეარჩიოს რამდენიმე უფრო მნიშვნელოვანი.

აუდიტორიის ყურადღების მოზიზღებისთვის მასწავლებელმა შესაძლოა მოსწავლეებს სთხოვოს, თითოეული პრეზენტატორის გამოსვლა სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით შეაფასონ.

მოსწავლის პრეზენტაციის დროს მასწავლებელი ინიშნავს პრეზენტატორის ძლიერ და სუსტ მხარეებს, პრეზენტაციის დასრულების შემდეგ კი ამის შესახებ საუბრობს.

კრიტერიუმები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცხრილის სახით, რაც მოსწავლეებს შეფასებას გაუადვილებს.

შეფასების კრიტერიუმები	მოსწავლის სახელი, გვარი			
1. რამდენად საინტერესო იყო საპრეზენტაციო თემა?				
2. რამდენად მიიპყრო პრეზენტატორმა თქვენი ყურადღება?				
3. რამდენად გაგიჩინათ პრეზენტაციამ კითხვების დასმის სურვილი?				
4. რამდენად გაგიჩინათ პრეზენტაციამ ამ საკითხზე ფიქრის სურვილი?				

მასწავლებლის ძალისხმევა აუცილებლად აისახება მთლიანად სასწავლო პროცესზე, მოსწავლეთა ჩართულობაზე, მათ მოტივაციაზე. ეს ყველაფერი კი ხარისხიანი განათლების წინაპირობაა.



მემკვიდრეობა

ზოგჯერ, გვარისა და ქონების გარდა,
წინაპრები პროფესიასაც გვიტოვებენ
მემკვიდრეობად. როცა პროფესია ოჯახის
ტრადიციადაა ქცეული, არჩევანის
გაკეთება იოლია. მასწავლებლობა,
რომელიც რთულიც არის და საამაყოც,
ხშირ შემთხვევაში, შთამომავლობას
მემკვიდრეობად გადაეცემა.

ბელა ჩეკურიშვილი



**დედა მასწავლებელი:
ეს იყო ჩვენთვის
დიდი ექვიანობის
საბაზი**

დედა არ ჩარეულა
გადაწყვეტილების მიღების
პროცესში, მაგრამ ჩვენი
არჩევანით ძალიან ამაყობს“.

რას ნიშნავს, როცა დედა
მასწავლებელი გაყავს?

თბილისის სკოლა „მარჯის“
დაწყებითი კლასის მასწავ-
ლებელი ანა ხუციშვილი
სკოლაში ფიზიკის კვლევითი
ინსტიტუტიდან მივიდა.
როცა პროფესიის შეცვლა
გადაწყვიტა, ზუსტად იცოდა,
მასწავლებლობა უნდა
აერჩია. დედამისი – თბილი-
სის 126-ე სკოლის გეოგრა-
ფიის მასწავლებელი შურა
კაპანაძე არასდროს ჩარეულა
შვილების არჩევანში, მაგრამ
მისი ოთხი ქალიშვილიდან
სამი პედაგოგი გახდა.

ანა ხუციშვილისთვის,
პირველ რიგში, ეს
„ექვიანობის“ საბაზი იყო.
დღეს კი მისი შვილები და
დისშვილები „ექვიანობენ“.
მასწავლებელი დედები რომ
განუწყვეტლად ლაპარაკო-
ბენ საკუთარ მოსწავლეებზე,
ოჯახის წევრებმა ყველას
გვარ-სახელი იციან და
ხშირად ისეთი შთაბეჭდი-
ლება იქმნება, რომ მათთვის
მოსწავლეები შვილებზე
უფრო მნიშვნელოვანი არიან.

ანა ხუციშვილი: „15 წელია,
სკოლაში ვმუშაობ. შემძლე
ფიზიკის მასწავლებელი
გავმხდარიყავი, მაგრამ
პატარებთან მუშაობა
მინდოდა. დღეს სამივე და
ერთ სკოლაში ვმუშაობთ.

გარდა ამისა, მასწავლებელი
დედის შვილები ერთგვარ
უხერხულობას განიცდიან
თანაკლასელებისა და
ზოგადად, მთელი სკოლის
წინაშე.

ანა ხუციშვილი: „დედა მკაცრი იყო სახლში, კარგს იშვიათად ამბობდა ჩვენზე. სულ ვბრაზობდით, თავის შვილებს ყველა აქებს და შენ არასდროს შეგვაქებო. წარმოიდგინეთ, სკოლაში რა იქნებოდა. შეიძლება ზედმეტი პასუხისმგებლობა არც იყო კარგი: ჩვენ საუკეთესოები უნდა ვყოფილიყავით. ასეთი ბავშვები ხშირად გარიყულან კლასიდან. საბედნიეროდ, მე და ჩემმა დებმა მოვახერხეთ, თანაკლასეებთან მეგობრებად დავრჩენილიყავით.“

ცხადია, ეს რთული იყო. დედა ყოველ ჩვენს პატარა ცულულტობას მაშინვე იგებდა. დღეს ჩემი თანამშრომლის შვილები და შვილიშვილები რომ სწავლობენ ჩემთან, ამას ხაზს არ ვუსვამ. არასდროს მითქვამს მათთვის, ყველაზე კარგები უნდა იყოთ, ყველამ თქვენგან უნდა აიღოს მაგალითი-მეთქი. ესენი ჩვეულებრივი ბავშვები არიან და მათ ზედმეტ პასუხისმგებლობას არ ვაკისრებ.“

გადავწყვიტე, რომ ჩემს შვილებს ჩემს სკოლაში არ ესწავლათ. თუმცა ისინი იმ სკოლაში მივიყვანე, რომელიც მე დავამთავრე. 126-ე სკოლა მართლაც ძალიან კარგია“.

როდესაც შურა კაპანაძე, ვინც უკვე 43 წელია, პედაგოგია, თავის შვილებს, როგორც მასწავლებლებს, აქებს, ეს ანა ხუციშვილისა და მისი დებისთვის ყველაზე დიდი აღიარებაა.

ანა ხუციშვილის უფროსი ქალიშვილი სკოლას ამთავრებს და როდესაც პროფესია უნდა აერჩია, დედამ მას მასწავლებლობა შესთავაზა. „უარი მითხრა. ამ ასაკში მეც ვერ წარმომედგინა, რომ მასწავლებელი ვიქნებოდი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამ საკითხზე კიდევ დაფიქრდება“, – ამბობს ანა ხუციშვილი.

ის ბავშვობის კიდევ ერთ მოგონებას გვიზიარებს: „როცა პატარა ვიყავი, ძალიან მრცხვენოდა ერთი რაღაცის: დედა სკოლიდან რომ მოვიდოდა, ისადილებდა, დაისვენებდა და მერე აუცილებლად წიგნს აიღებდა ხელში. ვფიქრობდი, რომ მან გეოგრაფია არ იცოდა, მეცადინეობა სჭირდებოდა და ეს არავის უნდა გაეგო. ახლა კი მეც ამას ვაკეთებ. მეტიც, რადგან დაწყებითის მასწავლებელი ვარ, ვუყურებ მულტიფილმებს, ვაკვირდები კომპიუტერულ თამაშებს, ვსწავლობ იმ ენას, რა ენაზეც ჩემი მოსწავლეები ლაპარაკობენ.“

ვგრძნობდი, რომ დედას უზომოდ უყვარდა ბავშვები და მეც უზომოდ მიყვარს ისინი. ეს პირველი პირობაა, სხვანაირად ვერ იმუშავებ. ასევე, ვგრძნობდი, რომ მას ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა. წინა დღეს რომ ავად ყოფილა, მომდევნო დილით სკოლაში მაინც წასულა. ახლა დედა 75 წლისაა და ძალიან ენერჯიულია, მუშაობას აგრძელებს და ამბობს, მაშინვე ვიგრძნობ იმ წუთს, როცა უნდა დავანებო სკოლას თავიო. ის დღემდე რთულ კლასებში შედის“.



არ გააკეთო ისე, რომ მითხრან, ჯერ შენი შვილი გაზარდე და სხვებს მერე ასწავლეო!

თბილისის 53-ე სკოლის პედაგოგს, ნინო ბურჯალიანს დედაც მასწავლებელი ჰყავს და ბებიაც პედაგოგი ჰყავდა.

ბებია, მერი ჩიჩუა ქართულ ენასა და ლიტერატურას ჯერ კიდევ მაშინ ასწავლიდა, როცა 53-ე სკოლას მე-7 ვაჟთა სკოლა ერქვა. დედა კი, მადონა ძოძუაშვილი ამავე სკოლის ქიმიის მასწავლებელი იყო.

ნინო ბურჯალიანი: „ბებია 50 წელი იყო სკოლაში, დედა – 38. ის მაშინ წავიდა, მე რომ მუშაობა დავიწყე. სკოლაში ჩემი მოსვლა, ცოტა არ იყოს, რთული იყო – აღარ დამთავრდა იმის დამტკიცება, რომ კარგი ვარ. ყურადღების ცენტრში ისე აღმოვჩნდი, როგორც მოსწავლეობის დროს. ბავშვობისას კი ყველაზე მეტად ეს მლლიდა: „შენ თუ რამეს დააშავებ, სხვას რა პასუხი მოვთხოვო?“ „შატალოზე“ წასვლა იყო, თუ

მიუხედავად ამისა, ნინო ბურჯალიანი მიიჩნევს, რომ მასწავლებელი დედა როგორი ობიექტურიც უნდა იყოს, შვილი მაინც ზედმეტად იძაბება. სჯობს, ბავშვი ამ ფაქტზე არ ფიქრობდეს და შემოქმედებით თავისუფლებას გრძნობდეს.

ნინო ბურჯალიანი პროფესიით ქიმიკოსია და როცა სკოლას ოქროს მედალზე ამთავრებდა, მასწავლებლობაზე ნამდვილად არ ფიქრობდა. თუმცა როცა პროფესიის

გასაგრძელებელიცაა. ამბობს, როცა გინდა, შენი სკოლა მუდმივად თავის სიმალეზე იდგეს, ამაში წვლილი შენც უნდა შეიტანო. „თუ ძლიერი ხარ, რაც არ მოგწონს, შეცვალე და რაც მოგწონს, შეინახე. ასეთია ჩემი პოზიცია. შვილებს მხოლოდ ამას ვეუბნები: არ გააკეთოთ ისე, რომ მითხრან, ჯერ შენი შვილი გაზარდე და სხვებს მერე ასწავლეო. სხვა მხრივ, მათ ზედმეტს არასდროს ვთხოვ – რისი უნარიც აქვთ, ის აკეთონ“, – ამბობს ნინო ბურჯალიანი.



როცა პროფესია ოჯახის ტრადიციადაა ქცეული, არჩევანის გაკეთება იოლია. მასწავლებლობა, რომელიც რთულიც არის და საამაყოც, ხშირ შემთხვევაში, შთამომავლობას მემკვიდრეობად გადაეცემა.



საყურეების გაკეთება, მე პირველი ვჩანდი.

ბებო ჩემი დამრიგებელი იყო მე-6-7-8 კლასებში. „ვეფხისტყაოსანს“ გავდიოდით. წინა დღეს სახლში სტუმრები გვყავდნენ და ვერ ვიმეცადინე. ბებომ გაიძახა სხვები და მეც მეკითხება. სახტად დავრჩი. ალბათ ეგონა, რომ სტუმრების მოსვლამდე ვიმეცადინებდი. ჟურნალში ორიანი ჩამიწერა. ყველამ ნახა, როგორ გამათანაბრა სხვებთან და როგორ ვიწვალე ნიშნის გამოსწორებაზე. მე არასდროს ვიცოდი საკონტროლოს თემა. ვთვლი, რომ ამგვარმა დამოკიდებულებამ სწავლისადმი სულ სხვა პასუხისმგებლობა ჩამომიყალიბა და ეს მაშინაც გამომადგა, როცა პროფესიის შეცვლა დამჭირდა“.

შეცვლაზე მიდგა საქმე, მან ოჯახური ტრადიციის გაგრძელება გადაწყვიტა და მასწავლებელთა გადამზადების ცენტრში ერთწლიანი ტრენინგები გაირა.

„დედას არ უნდოდა სკოლაში ჩემი წასვლა. ამ ამბავს დიდი სიხარულით არ შეხვედრია. იცის, რომ მასწავლებლობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ჩემი წარმატება ბებოს ძალიან გაუხარდებოდა. ხშირად მითქვამს, ახლა ბებია რომ ცოცხალი იყოს, როგორ გაიხარებდა-მეთქი. მისთვის სკოლა თითქმის მეორე სახლი იყო – სახლიდან მიჰქონდა ფარდები, ლარნაკები, რათა საკლასო ოთახი გაელამაზებინა“.

ნინო ბურჯალიანიმა შვილებიც 53-ე სკოლაში მიიყვანა. თვლის, რომ ამ სახელოვანი სკოლის ტრადიციები მისი

დაბრუნება „ვეფხისტყაოსანთან“



ნაირა ცხვედიანი

საბედნიეროდ, დღეს აღარავინ საუბრობს იმის შესახებ, ვასწავლოთ თუ არა სკოლაში „ვეფხისტყაოსანი“, თუმცა ჯერ კიდევ აქტუალურია საკითხი: როდის და როგორ ვასწავლოთ იგი?

„ვეფხისტყაოსანი“, რა თქმა უნდა, იოლად შესასწავლი ტექსტი არ არის. მისი მოცულობა, უანრი, ენა, პრობლემატიკა, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვნება სირთულეების წინაშე აყენებს მასწავლებელსაც და მოსწავლესაც. მთავარი სირთულე კი, რომელიც შოთა რუსთაველის პოემის შესწავლას ახლავს, ფსიქოლოგიურ ფაქტორს უკავშირდება. მოსწავლეთა უმრავლესობა შიშით ელოდება იმ „მძიმე წელიწადს“, როცა ამ ნაწარმოებს უნდა შეეჭიდოს.

იოლად ასახსნელი არ არის, თუ ვინ და რა ქმნის ამ დამზაფრავი მოლოდინის განცდას: შესაძლოა, უფროსკლასელები (რომელთაც უკვე „გაიარეს“ პოემა), ან მშობლები (რომელთაც „ვეფხისტყაოსნის“ საბეპირობის გაზუთხვას აიძულებდნენ), იქნებ პედაგოგები (რომლებიც ამ ნაწარმოებით „ემუქრებიან“ მაღალი ნიშნების

მოსურნეთ), ანდა, საერთოდ, საზოგადოება (რომელიც არაფერს აკეთებს ამ ნაწარმოების პოპულარიზებისათვის).

დღეს, როდესაც მსოფლიო მიისწრაფვის გახსნილი, ტოლერანტული საზოგადოებისაკენ, რომლის ცენტრშიც ადამიანი დგას, „ვეფხისტყაოსანი“ ქართული აზროვნებისა და მსოფლმხედველობის, კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების უპირველესი მაჩვენებელი უნდა იყოს.

საქართველოში ყველა აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გენიალური ნაწარმოებია, ერთი-ორი აფორიზმის გახსენება ბევრს შეუძლია, მაგრამ ეს პოემა თავიდან ბოლომდე წაკითხული ცოტას თუ აქვს. სანამ „ვეფხისტყაოსანსა“ და ქართველ მკითხველს შორის გაუცხოება არ დაიძლევა, მანამ დარჩება ის „დიდ და საშიშ“ ნაწარმოებად ქართველი ბავშვებისათვის.

„მეგონა, „ვეფხისტყაოსანს“ ვერასდროს გავიგებდი“; „არც ისე რთული ტექსტია“; „დაწყებით კლასებში ვიტანჯებოდი, ზეპირად მასწავლიდნენ“; „ვიღას სჭირდება „ვეფხისტყაოსანი“, რაც იქ ხდება, ცხოვრებაში აღარასდროს განმეორდება“; „აღარც ტარიელივით უყვარს ვინმეს, აღარც ავთანდილები არიან“, – ეს ამონაწერებია X კლასელების თხზულებებიდან „ჩემი შთაბეჭდილება „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვის შემდეგ“.

პედაგოგთა ნაწილი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უფროს კლასებში უნდა ისწავლებოდეს, რადგან მისი სრულფასოვნად აღქმა გარკვეულ ასაკსა და ლიტერატურულ მომზადებას მოითხოვს.

პედაგოგთა ნაწილს მიაჩნია, რომ პატარა ქართველის ყური და გონება ადრეულ ასაკშივე უნდა მიეჩვიოს პოემის ენობრივ სამყაროს; ბავშვმა უნდა გაითავისოს



მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად შერჩეული ტექსტის სწავლება ყოველთვის სასურველ შედეგს იძლევა. არასწორად შერჩეული მასალის სწავლება, გამორჩეულად ღირებულისაც კი, არაეფექტურია.



იგი, თუნდაც ზოგი რამ მისთვის გაუგებარი იყოს.

არსებობს მოსაზრებაც, რომ ადაპტირებული „ვეფხისტყაოსნით“ დავიწყეთ მოზარდებისათვის ტექსტის გაცნობა, რათა სწორედ ამბავი იქცეს მომავალში მათი დაინტერესების საფუძვლად.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტების შესწავლა V-VI კლასებიდან უნდა დაიწყოს, ოღონდ საჭიროა ისეთი მონაკვეთების შერჩევა, რომლებიც ამ ასაკის მოსწავლეებისათვის შინაარსობრივად გასაგები და აზრობრივად მეტ-ნაკლებად დასრულებული იქნება. ასეთი თავებია: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“; „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“; „ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო“; „ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი“; „წასვლა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთა შეყრა“ და სხვ.

ამ თავებიდან ნებისმიერის შესწავლის დროს შესაძლებელია ტექსტის სრულფასოვნად გაგება, გარკვეული პრობლემების გამოყოფა, ანალიზი, მსჯელობა, პერსონაჟთა დახასიათება, მწერლის ენაზე მუშაობა.

მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად შერჩეული ტექსტის სწავლება ყოველთვის სასურველ შედეგს იძლევა. არასწორად შერჩეული მასალის სწავლება, გამორჩეულად ღირებულისაც კი, არაეფექტურია.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი საუკეთესო მონაკვეთია „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისა“. ამ თავში სატრფოსა და მეგობარს დაშორებული ავთანდილი, რომელმაც ერთდროულად „ორი მზე“ დატოვა („თუ ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვამცივნებს, მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამაღ რად არ ივნებს?“), ციურ სხეულს შესტირის თავის სატიკივარს. აქ ყველაზე სრულყოფილადაა გადმოცემული კოსმიური და მიწიერი სამყაროების მთლიანობის იდეა და ადამიანის განუყოფელი კავშირი მთლიან სამყაროსთან, განცდა იმისა, რომ არა მხოლოდ ქვეყანაზე (რომელიც ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა“), არამედ სამყაროშიც (რომელიც ღმერთმა „ძალითა მით ძლიერითა“ შექმნა) ადამიანი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, რომლის სათქმელიც ყველას ესმის, რომელსაც ყველა თანაუგრძნობს.

აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთის შესწავლა კონტექსტიდან ამოგლეჯილად სრულიად გაუმართლებელია. როდესაც მოსწავლეები, ერთ-ერთი სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით, აღნიშნულ თავს სწორედ ასე სწავლობდნენ, ისინი ვერ იგებდნენ ავთანდილის ტირილის მოტივს, არ თანაუგრძნობდნენ იმ პერსონაჟს, რომლის მეტაფორული სახეც ამგვარია: „ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, ალვისა რტო ირხეოდა, ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდექცოდა“. მოსწავლეები ვერ აცნობიერებდნენ მზის, ზუალის, მუშთარის, მარხის, ასპიროზის, ოტარიდის, მთვარის მიმართ წარმოთქმული სიტყვების არსს. ასე რომ, მათი ასაკის, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია ლიტერატურული ტექსტების ადეკვატურად აღსაქმელად.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მხატვრული ტექსტის შესწავლის არაეფექტურობას განაპირობებს, დაზეპირებაა. პედაგოგთა ერთი ნაწილი, მოსწავლეებს პოემის მონაკვეთებს ღრმად და საფუძვლიანად კი არ აანალიზებინებს, არამედ მათგან ტექსტის დაზეპირებას მოითხოვს. აუხსნელი და გაუანალიზებელი მასალის სწავლა კი არა თუ რთული, არამედ ბევრისთვის შეუძლებელიცაა.

ზოგადად, დიდი ტექსტების შესწავლის დროს ყველაზე მეტად მოსწავლეებს ის აინტერესებთ, თუ რა მოცულობის მასალა ექნებათ შესასწავლი



მომდევნო ვაკვეთილისათვის, ან ექნებათ თუ არა საზეპიროები. ტექსტების ღრმად და გააზრებულად შესწავლა უმთავრესი პირობაა იმისა, რომ მოსწავლეს შიშის განცდა გაუქრეს და საჭირო განწყობა შეექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები ყველა კლასში უნდა ისწავლებოდეს (V კლასიდან დაწყებული), გარკვეულ ეტაპზე მისი თავიდან ბოლომდე სრულყოფილად და საფუძვლიანად შესწავლა აუცილებელია.

„ვეფხისტყაოსნის“ სრულ ტექსტს მოსწავლეები სასკოლო გამოცემიდან სწავლობენ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ; რედაქტორია ალ. ჭინჭარაული). ამ გამოცემამ წლების მანძილზე უდავოდ დიდი როლი შეასრულა, მაგრამ თანამედროვე სწავლების მეთოდები განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს სასკოლო სახელმძღვანელოს. სკოლას პოემის ისეთი გამოცემა სჭირდება, რომელსაც დართული ექნება შესაბამისი მეთოდოლოგიური ნაწილი და ამგვარად, შესაძ-

მართებულად მიმაჩნია, უფროსკლასელთა სახელმძღვანელოებში ქართული ლიტერატურის განვითარების გზა მკაფიოდ ჩანდეს, რათა მოსწავლეთა ცნობიერებაში ლიტერატურული მემკვიდრეობის საინტერესო და მრავალფეროვანი სურათი აღიბეჭდოს.

ლებელი იქნება ტექსტის ყველა მონაკვეთის სრულყოფილად გაანალიზება, მისი კრიტიკულად და შემოქმედებითად აღქმა. „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული სასკოლო გამოცემა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, მიიღოს მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ფაქტობრივი ცოდნა, მაგრამ ის ვერ ეხმარება მას დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში. „ვეფხისტყაოსნის“ უკეთესი გამოცემის მომზადება კი საშური საქმეა.

ის, თუ რომელ კლასში უნდა ისწავლებოდეს შოთა რუსთაველის პოემის სრული ტექსტი, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. სხვადასხვა სახელმძღვანელოს ავტორები მას სხვადასხვა კლასის სასწავლო კურსში ითვალისწინებენ (IX-დან XII-ს ჩათვლით). ეს შეუთანხმებლობა, ძირითადად, იმ მოსწავლეებს აზარალებს, რომელთაც ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა უწევთ. ზოგი ორჯერ სწავლობს ტექსტს, ზოგი – ერთხელაც ვერა.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა რომელიმე თემატურ რეკალში უნდა მოიაზრებოდეს, ზოგისთვის კი ის ქართული

ლიტერატურის პერიოდიზაციის სისტემის ნაწილია. ორივე მოსაზრების მომხრეებს საკუთარი არგუმენტები აქვთ.

ვფიქრობ, უფრო სწორია, როცა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი ჰაგიოგრაფიის შემდეგ ისწავლება. მოსწავლემ ქართული ლიტერატურის ისტორიული განვითარების ქრილში უნდა დაინახოს ამ ტექსტის არა მხოლოდ მხატვრული ღირებულება და ენობრივი თავისებურება, არამედ ის ფუნქციაც, რომელსაც პოემა ასრულებს ქართული ცნობიერების, მსოფლმხედველობის, აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი ქართული ლიტერატურა, გარკვეულწილად, რუსთაველის ჩრდილქვეშ მოექცა. პოემის ავტორი ერთგვარი კანონმდებელი გახდა. ამიტომაც მართებულად მიმაჩნია, უფროსკლასელთა სახელმძღვანელოებში ქართული ლიტერატურის განვითარების გზა მკაფიოდ ჩანდეს, რათა მოსწავლეთა ცნობიერებაში ლიტერატურული მემკვიდრეობის საინტერესო და მრავალფეროვანი სურათი აღიბეჭდოს.





რეზო ხოფერია

მასწავლებლის პროფესიული რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში

ნაწილი I

I. მასწავლებლის პროფესიის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები

მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ძირითადი სამართლებრივი საფუძველია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. ეს კანონი განსაზღვრავს მასწავლებლის საქმიანობის წესსა და პირობებს.

მასწავლებლის პროფესიის რეგულირების მიზნით გამოცემული მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე აქტებია:

- მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესი;
- მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობები;
- ინსტრუქცია საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ;
- ეროვნული სასწავლო გეგმა.

II. მასწავლებლობის უფლების მოპოვება

საქართველოში მასწავლებლის უფლების მოპოვებისთვის აუცილებელია 3 წინაპირობის დაკმაყოფილება:

1. კვალიფიკაციის მიღება

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლების უფლების მოპოვებისთვის საჭიროა განათლების ბაკალავრის

კვალიფიკაცია, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლებისთვის პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი (საგნის) ბაკალავრის კვალიფიკაცია. ბაკალავრის კვალიფიკაცია მოეთხოვება აგრეთვე სპეციალური საჭიროების მქონე პირების მასწავლებელს.

რაც შეეხება სახელოვნებო, სასპორტო და სამხედრო საგნის მასწავლებლებს, მათ მიმართ სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებია დადგენილი: კერძოდ, სრულ ზოგად განათლებასთან ერთად, შესაბამისი სახელოვნებო, სასპორტო და სამხედრო განათლება.

აღსანიშნავია, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის გარდა, ყველა სახის მასწავლებელს გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ბაკალავრიატის შემადგენელი ნაწილია. ამასთან, კანონმდებლობით დაშვებულია აღნიშნული პროგრამის გავლა ბაკალავრიატისგან დამოუკიდებლად.

თუმცა კვალიფიკაციის მიღება არ არის საკმარისი წინაპირობა მასწავლებლის უფლების მოპოვებისთვის.

2. მაძიებლობის პერიოდის დაძლევა

კვალიფიკაციის მოპოვების შემდეგ, მასწავლებლობის მსურველმა წარმატებით უნდა გაიაროს მაძიებლობის პერიოდი, რომლის მიზანია პროფესიული ცოდნის გაღრმავება, პედაგოგიური უნარების შექმნა, განვითარება და სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია.

მაძიებლის ვაკანსიას აქვეყნებს სკოლა ვებ-გვერდზე www.pedagogi.ge. ვაკანსიის გამოქვეყნება შესაძლებელია,

თუ სკოლას ჰყავს მენტორი – სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს/საგნობრივ ჯგუფს და ხელმძღვანელობს მაძიებლის პედაგოგიურ საქმიანობას.

მაძიებლობის მსურველმა პირმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია რესურს-ცენტრში. ამისთვის აუცილებელია „მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესით“ განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენა.

მაძიებლობის პერიოდი გრძელდება 1 წელი. ამ დროის განმავლობაში მაძიებლის პედაგოგიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს მენტორი. იგი ახორციელებს მაძიებლის პედაგოგიური საქმიანობის მიმდინარე, შუალედურ და საბოლოო შეფასებას.

მაძიებლის პედაგოგიური საქმიანობა უნდა წარიმართოს ინდივიდუალური პროგრამის საფუძველზე, რომელსაც შემოუშვავებს მენტორი, მაძიებლის თანამონაწილეობით. პროგრამაში აღწერილია მაძიებლობის პერიოდის მიზნები და მისაღწევი შედეგები, მაძიებლობის ეტაპები და სამოქმედო გეგმა, აგრეთვე მაძიებლისა და მენტორის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

მასწავლებლობის მაძიებელი სკოლაში სწავლების პერიოდში სარგებლობს ყველა იმ უფლებებით, რასაც კანონი ანიჭებს მასწავლებელს, გარდა შრომის ანაზღაურების უფლების და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებისა.

იმ შემთხვევაში, თუ პირი წარმატებით დაძლევა მაძიებლობის პერიოდს, იგი უფლებამოსილია გავიდეს სასერტიფიკაციო გამოცდაზე.

3. სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება

მაძიებლობის პერიოდის წარმატებით დაძლევის შემდეგ, პირი უფლებამოსილია, გავიდეს სასერტიფიკაციო გამოცდაზე. სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგად ირკვევა, აქვს თუ არა მასწავლებლობის მსურველს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ყოველწლიურად და მის ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით. უცხო ენის გამოცდა კი ტარდება როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით.

სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსი განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე. გამოცდა შედგება შინაარსობრივი და უნარების ნაწილებისაგან. გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელი ქულების რაოდენობა განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ.

მასწავლებლობის კანდიდატების საგამოცდო ნაშრომები სწორდება გამოცდების ეროვნულ ცენტრში. გამოცდის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია საპრეტენზიო საბჭოში, რომელიც იქმნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ.

სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, პირს 8 წლის ვადით ენიჭება სკოლაში სწავლების უფლება. ამ უფლების განახლებისათვის კი აუცილებელია მასწავლებელმა იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე.

4. სკოლაში სწავლების უფლების მოპოვება გარდამავალ ეტაპზე

2014 წლის ბოლომდე მასწავლებლად მუშაობის დაწყება ან მასწავლებლობის მაძიებლად რეგისტრაცია შეუძლია პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება.

ამ დრომდე ყველა მოქმედი მასწავლებელი ვალდებულია, ჩააბაროს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა.

III. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და შეწყვეტა

შრომითი ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის კოდექსი. თუმცა, საჯარო სკოლასა და მასწავლებელს შორის არსებული შრომითი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, გარდა შრომის კოდექსისა, გამოიყენება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი განსაკუთრებული პირობები.

შრომითი ურთიერთობა მასწავლებელსა და სკოლას შორის წარმოიშობა საქმიანობის ფაქტობრივად დაწყების

მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

საჯარო სკოლასა და მასწავლებელს შორის შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობით. სხვა ინფორმაციასთან ერთად, ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სამუშაო დრო, შრომის ანაზღაურების პირობები, შვებულების მიცემის წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ასევე ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი.

მასწავლებელსა და სკოლას შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შესაძლებელია საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში. კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი შესაძლოა იყოს:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;
- შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა;
- შრომითი ხელშეკრულების მოშლა;
- მხარეთა შეთანხმება;
- სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
- თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა (თუ შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 50 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს შვებულება);
- დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორს უფლება აქვს, ვადამდე შეუწყვიტოს ხელშეკრულება მასწავლებელს სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში. განსაკუთრებული წესია დადგენილი საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი მასწავლებლის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ამ შემთხვევაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას დასაქმებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის გამო, ან დასაქმებულის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში.

ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში, მასწავლებელი არ არის უფლებამოსილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარადგინოს ადმინისტრაციული საჩივარი. იგი უფლებამოსილია, დარღვეული უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, რომელიც დავას განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სტატიის მეორე ნაწილი, რომელშიც განხილული იქნება მასწავლებლის უფლებები და ვალდებულებები, დაიბეჭდება ჟურნალის მომდევნო ნომერში.



წლის შემაჯამებელი კონფერენცია ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგებისთვის



ნათია ნაცვლიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2009 წლიდან ახორციელებს პროგრამას „კვალიფიციური ქართული ენის სპეციალისტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“. ამ პროგრამის ფარგლებში, კონკურსის საფუძველზე შერჩეული პედაგოგები იგზავნიან ეთნიკური უმცირესობებით

ხელი უნდა შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ეთნიკურად ქართველ მოსახლეობასთან, ვინაიდან სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნა წარმოადგენს საფუძველს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ თავი.



შერჩეული პედაგოგების მიზანი არ შემოიფარგლება მხოლოდ გაკვეთილზე მისაღწევი მიზნებით. მათ მიერ განხორციელებული, ქართული ენის სწავლებასა თუ ქართულენოვან გარემოსთან დაკავშირებული თითოეული კლასგარეშე ინიციატივა თუ პროექტი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია და ეთნიკურად ქართველი და არაქართველი მოსახლეობის ინტეგრაციას ემსახურება.



დასახლებული რეგიონების სკოლებში და იქ არა მარტო მოსწავლეებს ასწავლიან ქართულს, არამედ კოლეგებს და მოსახლეობასაც ეხმარებიან სახელმწიფო ენის შესწავლაში.

პროგრამაში ჩართული პედაგოგების მოტივაციას, მაღალი ანაზღაურების გარდა, ის განსაკუთრებით ეროვნული და სახელმწიფო-ებრივი საგანმანათლებლო მიზანი განსაზღვრავს, რომელმაც, საბოლოოდ,

2011 წლის 14-16 მაისს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაბა ჩაქვში უმასპინძლა წლიურ კონფერენციას იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ასწავლიან ქართულს, როგორც მეორე ენას და თან ერთგვარ მისიონერულ ფუნქციასაც ასრულებენ, ქართულ ენაზე ალაპარაკონ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა თუ კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების არაქართულენოვანი მოსახლეობა.

» სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნა წარმოადგენს საფუძველს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ თავი.

კონფერენციის ფორმალური თუ არაფორმალური ნაწილის მიზანი გამოცდილების, პრობლემებისა და მიღწევების ურთიერთგაზიარება და მთელი წლის შრომის ერთგვარი ანგარიში იყო. კონფერენციაზე ცენტრის თანამშრომლებმა პედაგოგებს წარუდგინეს პროგრამის მონიტორინგის შედეგები, ასევე, დრო დაეთმო მოკლე ტრენინგ-კურსს „პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვება სწავლის პროცესში“, რაც პედაგოგებს არა მარტო მოსაწავლეთა სწავლის მონიტორინგსა და შედეგების გაზომვაში დაეხმარება, არამედ ხელს შეუწყობს თემში არსებული სიტუაციის შეფასებაში. ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო-მეთოდური ფილმის გაცნობის გარდა, პედაგოგებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მეორე ენის სწავლებისადმი კომუნიკაციური მიდგომის რამდენიმე ეფექტური სტრატეგია და სასწავლო რესურსი, ასევე,

რამდენიმე მასწავლებლის მიერ შარშან განხორციელებული ე.წ. „საზაფხულო სკოლების“ პროექტი, რომლის ფარგლებშიც სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეები ქართულენოვან მოსწავლეებთან ერთად 2 კვირა ცხოვრობდნენ და ქართულ ენაზე საუბრის კომპეტენციის გარდა, ერთმანეთთან კომუნიკაციის უნარებსაც იუმჯობესებდნენ. პედაგოგები სიხარულით აცნობდნენ კოლეგებს იმ შედეგებს, რაც „საზაფხულო სკოლების“ პროექტმა მათ მოსწავლეებს მოუტანა და აძლევდნენ რეკომენდაციებს, მსგავსი პროექტების ეფექტურად დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

„საზაფხულო სკოლების“ გარდა, პედაგოგთა დიდი მოწონება დაიმსახურა „სკოლების დამეგობრების“ პროექტმა, რომელიც, პროგრამაში ჩართული მასწავლებლების წყალობით, რამდენიმე სკოლისთვის უკვე



საკონფერენციო დარბაზში პედაგოგთა მიერ განსახიერებული რამდენიმე სახალისო სასწავლო მეთოდი თუ აქტივობა, რომელთა საგაკვეთილო პროცესში გამოყენებაც მასწავლებლებმა ადგილზევე დაგეგმეს.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, შერჩეული პედაგოგების მიზანი არ შემოიფარგლება მხოლოდ გაკვეთილზე მისაღწევი მიზნებით. მათ მიერ განხორციელებული, ქართული ენის სწავლებასა თუ ქართულენოვან გარემოსთან დაკავშირებული თითოეული კლასგარეშე ინიციატივა თუ პროექტი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია და ეთნიკურად ქართველი და არაქართველი მოსახლეობის ინტეგრაციას ემსახურება. სწორედ ამიტომ, დანარჩენი პედაგოგებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა პროგრამის მონაწილე

ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვან გამოცდილებად იქცა.

წლის შემაჯამებელმა კონფერენციამ პედაგოგებს საშუალება მისცა, შეეფასებინათ მთელი წლის შრომა, გაეზიარებინათ კოლეგების გამოცდილება და დაეწყოთ მუშაობა მომდენო სასწავლო წლის დაგეგმვაზე.

პროგრამის მონაწილე პედაგოგებს სათანადოდ აქვე გააზრებული პროგრამის მიზანიც და თავიანთი მისიაც, ასევე, ის სირთულე, რაც ამ მიზნის მიღწევისას შეხვდებოდათ, მაგრამ მათი ძალისხმევა და პროფესიონალიზმი გვაფიქრებინებს, რომ შემდეგი წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე მოსწავლეთა უფრო მაღალ შედეგებსა და უფრო საინტერესო პროექტებს გააცნობენ ერთმანეთს.



გათავისუფლდი

- მაღალი ტაჩიუებისგან
- დაფახული ხაჩუებისგან
- დაბალი ხაჩისხისგან
- შუზლუდვებისგან
- უჩთფუეჩოვნებისგან

გა1ანდი

ჯეოსელში შენივე ნომჩით



ჯეოსელი

www.geocell.ge

☎ 7777 ☎ 822770177

ცნობილ ნორვეგიელ დრამატურგ იბსენს, ერთმა
ნაცნობმა სთხოვა დახმარება, რათა მიიღოთ ის
თეატრში სუფლიორად.
– მაშ, სუფლიორად გინდათ იმუშაოთ?

– დიახ.
– მუშაობის გამოცდილება გაქვთ?
– არცთუ მცირე, სკოლაში ათი წლის მანძილზე
კარნახის მეტი არაფერი გამიკეთებია.

